ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

პარასკევი, 10 მაისი, 2013 №109 (6110) ფასი: 30 თეთრი

9 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ფროიდი
8 ლარი




# ირაკლი ალასანია: „მე ვიცი, ვინ იქნება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი“

გვ.3



## ვანო მერაბიშვილი: „ხელისუფლებამ გლეხებს 80 მილიონი მოჰპარა“

გვ.3






## გიგი უგულავა: „საპრეზიდენტო კრიტერიუმებს დავით ბაქრაძე და ირაკლი ალასანია აკმაყოფილებენ“

გვ.6



## აკაკი ასათიანი: „ქართული ოცნების“ რეიტინგი ეცემა“

გვ.2



## ნიკოლოზ მჭავანაძე: „უსუფაშვილი კოალიციისა და ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგოდ მოქმედებს“

გვ.5



## ნაციონალებს რუსული გაზის ეშინიათ

გიორგი ვაშაძე საააკაშვილს ვეტოს დადებისკენ მოუწოდებს

გვ.3

7 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
საქართველოს ისტორია
10 ლარი




## ნინო ბურჯანაძემ ვეტერანებს გამარჯვების დღე მიულოცა

გვ. 5





## ბიძინა ივანიშვილი: „ქვეყნის კულტურა იმით იზომება, თუ როგორ ექცევა ის სამშობლოსათვის თავგანწირულ ადამიანებს“

გვ.6

ISSN 1987-9385

7 პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრეცედენტი და გამოცხადებული „ვიდეოომის“ ქრონიკა

6 რატომ არ განიხილება ევროპის მინისტერიალზე საქართველოს კონფლიქტის საკითხი

7 რატომ დაიწუნეს შრომის კოდექსის ახალი ვარიანტი?

5 დავით უსუფაშვილი: „9 მაისი დემოკრატიული მსოფლიოს ზეიმია“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# აკაკი ასათიანი: „ქართული ოცნების“ რეიტინგი ეცემა“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ტრადიციონალისტთა ლიდერ აკაკი ასათიანთან

*— ბატონო აკაკი, დღეს ერთ-ერთი აქტუალური საკითხი საპრეზიდენტო არჩევნები და მომავალი პრეზიდენტია. საუბარია, რომ ოცნებას კანდიდატი უკვე შერჩეული ჰყავს და რამდენიმე დღეში საზოგადოებას წარუდგენს. თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს ოცნების კანდიდატი?*

— მეც მხოლოდ იმ ინფორმაციებს ვფლობ, რაც ცხადდება და არ დაგიმალავთ, ნაკლებად მაინტერესებს, შიგნით რა პროცესები მიდის. რა კანდიდატებიც ჩამოითვალა, მე ვფიქრობ, პიროვნულად ძალიან ნორმალური, სიმპათიური ხალხია, მაგრამ მათ პრეზიდენტობასთან დაკავშირებით აღტაცებისაგან შორს ვარ. ვითომ ითვლება, რომ ეს ძალიან წარმომადგენლობითი და პირობითია, დროშის აღმართვა, ჩამოშვება, მაგრამ სინამდვილეში საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტი ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი არ არის. ამავე დროს, უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ხელს კი არ შეუშლის, არამედ შეუწყობს ნებისმიერს დადებითს და ხალხსაც მიაჩვევს თანდათან საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის ფუნქციას ანუ პრეტენზია და ამბიცია კი არ ექნება ყველაფერში ჩარევის. ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ ეს არის წარმომადგენლობითი ფუნქცია და ხელს უნდა უწყობდეს კომპრომისს, ურთიერთთანამშრომლობას ქვეყანაში, კრიზისების დროს რაღაცა ფუნქციას უნდა იღებდეს თავის თავზე. ხომ ხედავთ, იტალიაში იძულებული გახდნენ, 97 წლის კაცი დაებრუნებინათ პრეზიდენტად, ისევ დღეში ჩავარდნენ.

*— თქვენ მომხრე ხართ, რომ ასე უფუნქციო პრეზიდენტი ჰყავდეს ქვეყანას?*

— მე საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე ვარ, კი ბატონო, მაგრამ მთავარია, თვითონ როგორი იქნება, როგორ შეხედავს ამ ყველაფერს. მე მგონია, ერთი ფუნქცია აუცილებლად ექნება მას — აფხაზეთი, ცხინვალი — ეს ტერიტორიები დასაბრუნებელია და მას, სულ მცირე, უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ დალაპარაკება შეძლოს იმ ხალხებთან.

*— ვხედავთ, რამხელა აჟიოტაჟია ატეხილი და, თუკი უფუნქციო იქნება პრეზიდენტი, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება? ან ამხელა მნიშვნელობას რატომ ანიჭებენ?*

— მე არ ვიცი, ისინი რატომ ანიჭებენ. მე ერთს ვანიჭებ ძალიან დიდ მნიშვნელობას. ეს არის აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობის საკითხი და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება ამჟამად. გამოყოლილი ინერციაა, ეტყობა, რომ პრეზიდენტ სერიოზული ფუნქციები ექნება, რომ სერიოზული ბერკეტები ექნება. შეიძლება პატივია ვიღაცისთვის და სიამოვნებს. მე არ მგონია, რომ ვინმეს პატივსა და სიამოვნებაზე უნდა იყოს... კოალიცია თვლის, რომ ისეთი უნდა იყოს, დავარქვათ მორჩილი, რომელიც პრობლემებს არ შექმნის, მაგრამ რატომ უნდა შექმნას ნორმალურმა კაცმა პრობლემები, ეს არ ვიცი. ნაციონალებს ამოცანა აქვთ, რომ მეორე ადგილზე მაინც გავიდნენ და დააფიქსირონ, რომ არსებობენ და მეორე ძალა არიან, იმიტომ რომ, ძალიან საეჭვო გახდა, ნაძალადევის არჩევნების მერე არის თუ არა მეორე ძალა ნაციონალები. თანდათანობით აღარ არიან და საერთოდ აღარ იქნებიან, როგორც კი სერიოზული პოლიტიკური ოპოზიციური ძალა გაჩნდება. სხვათა შორის, ძალიან მალე გაჩნდება.

*— ოპოზიციურ ძალებს რაც შეეხება, აცხადებენ, რომ აუცილებელია შეიქმნას მესამე ძალა, ჰყავდეთ პრეზიდენტობის საერთო კანდიდატი და სწორედ ოპოზიციურმა კანდიდატმა გაიმარჯვოს, რათა დაბალანსდეს სიტუაცია ქვეყანაში. რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას და არსებობს თუ არა ოპოზიციურ ფლანგზე ისეთი კანდიდატი, რომელიც კონკურენციას გაუწევს ოცნების კანდიდატს?*




— მე ვფიქრობ, რომ ეს არის სწორი, ეს ამბავი მოხდება და კანდიდატი ერთი კი არა, რამდენიმეც შეიძლება დასახელდეს. მთავარი ამოცანა იქნება ამ ოპოზიციური ძალების შეთანხმება. აუცილებელი იმიტომ არის, რომ ჩვენ ვხედავთ, მთელი სიმპათიების მიუხედავად ოცნებისადმი, გაურკვევლობა გრძელდება. გაურკვევლობაა იგივე სოფლის მეურნეობის კუთხით. ნამდვილად რომ გაურკვევლობაა, მე ვთვლი, რომ არასწორი მიდგომა იყო იმთავითვე. იქ ახლა ვიღაცას დააპატიმრებენ, ის მართალი აღმოჩნდება თუ მტყუანი, ამას კი არა აქვს მნიშვნელობა. ის ხალხი მოეკიდა, რა ამოცანაც იყო, ამოცანა კი იყო არასწორად განსაზღვრული. თუ სახელმწიფო იღებს თავის თავზე ამ პროგრამის განხორციელებას, ვთქვათ, სოფლის მეურნეობის განხორციელების, ის პირდაპირ უნდა გადიოდეს მოსახლეობაზე. უნდა შეიქმნას შესაბამისი სტრუქტურები. ნუ გვეშინია, რომ აი სოციალიზმი, საბჭოთა კავშირი დაბრუნდება. ამერიკა მიდის უკვე ამ გზაზე, ბანკებში სახელმწიფო მონაწილე ხდება, აქციებს ყიდულობს, თუ ვინმემ იცის ეს ამბავი ოღონდ. აქ ჩარჩენილები არიან, პერესტროიკის დროს, რომ რაც უკვე დიდი ხნის გავლილი იყო დასავლეთში, ის ახსოვთ ხოლმე და ახალს ვერ იგებენ. იცვლება სიტუაცია, ევროპაზე ხომ ლაპარაკი არ არის. დღეს სხვა ეტაპია განვითარების. ამიტომ ჩვენ უნდა გამოვტოვოთ ის მინუსები, რაც ახლდა სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკას, რაც ვნახეთ და ვიწვნიეთ ჩვენს თავზე და ახლა შეგვიძლია, ავყვეთ მიმდინარე პროცესებს, სოფელი იქნება ეს თუ სხვა რამ, თუნდაც დაზღვევა. კობა დავითაშვილს კორუფციაში ნამდვილად ვერ დავადანაშაულებ, მართლა პატიოსანი და წესიერი კაცი ჩანს, მაგრამ იქაც სხვანაირი მიდგომა უნდა ყოფილიყო. აი, განათლების მინისტრი სწორი მიმართულებით წავიდა იმავე სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. მესმის, რომ ეს პრობლემა იყო რამდენიმე გამომცემლობისთვის, მაგრამ სხვა გზა აღარ დარჩა ამ ქვეყანაში. იგივე მიწების ყიდვა-გაყიდვა, ამას რას ვშვრებით?! საფრანგეთშიც კი, სადაც მოსახლეობა შეძლებულია, ამას დიდი სიფრთხილით ეკიდებიან და ამ ღარიბ მოსახლეობაში რომ უშვებ ნებისმიერ უცხოელს, ნებისმიერი რაოდენობით შეუძლია შეიძინოს მიწა, ამ ხალხს რა ვუყოთ, სად წავიდნენ?! ჩვენები წავიდნენ მოახლეებად და მენაგვეებად ევროპაში?! და აქ მიწა დაამუშაონ სხვებმა! მილიარდნახევრიანმა ჩინეთმა და ინდოეთმა თუ როგორ იქნება ჩვენი საქმე?!

*— პრობლემა უამრავია, ბატონო აკაკი.*

— დიახ, გეთანხმებით. თანდათან ძალიან ბევრი პრობლემა გროვდება და ოცნებას ამაზე მკაფიო პასუხები არა აქვს. პრობლემა ის არის, რომ, მგონი, თვითონაც არა აქვს ჩამოყალიბებული იდეოლოგია ამასთან დაკავშირებით. ამიტომ უსათუოდ გაჩნდება მარჯვენა ფლანგზე უფრო მკვეთრი და ხისტად ჩამოყალიბებული იდეოლოგიის მქონე ძალა. ეს ნურავის გაუკვირდება და ნუ ეწყინება. ეს ძალა, რა თქმა უნდა, არ იქნება მკვეთრად დაპირისპირებული ოცნებასთან იმ სახით, როგორც ეს ხდებოდა ჩვენთან ყოველთვის ოპოზიციის დაპირისპირება, იმიტომ რომ ეს ხალხი არ იწვევს ისეთ მიუღებლობასა და აგრესიას, ნამდვილად. არ მოქმედებენ და, დარწმუნებული ვარ, არასოდეს იმოქმედებენ ისე, როგორც ნაციონალები მოქმედებდნენ. მე ამაში ვარ ღრმად დარწმუნებული, მით უმეტეს, თავისუფალი პოლიტიკური ბრძოლის, ნორმალური ცივილიზებული ბრძოლის, ანუ იდეური ბრძოლის საშუალება იქნება. ეს არის აუცილებელი და საპრეზიდენტო არჩევნებიც ერთ-ერთი ასეთი იქნება. ერთსაც დავამატებდი, მე არ ვიცი, ვინ, რატომ, მაგრამ რაღაცა პოზიცია რომ უნდა დაფიქსირდეს ეროვნული ტიპის, მკაფიოდ გამოხატული, ეს არის აუცილებელი, სხვა თუ არაფერი, თუნდაც მაგიტომ, უკვე საპრეზიდენტო არჩევნებზე. მე მგონია, რომ იგივე ნაძალადევის არჩევნები ოცნებისთვის გამოსაფხიზლებელი შხაპი უნდა იყოს და, იმედი მაქვს, ასეც იქნება.

*— საუბარია, რომ ოცნება თანდათან კარგავს რეიტინგს. ბევრი პრობლემა დაგროვდა და თავს ვერ ართმევენ.*

— თქვენ შეხედეთ, ნაძალადევის რაიონში 70 მოსულში 72% აიღო წულუკიანმა და 28 მოსულში 39% აიღო ამ კანდიდატმა. ოთხჯერაა შემცირებული. ასეთი ვარდნა ძალიან ცუდია. ვინც არ მოვიდა, იმან, უბრალოდ, ჯერ კიდევ ანგარიში გაუწია ოცნებას. აქტიური მომხრე რომ ყოფილიყო მოვიდოდა. წინააღმდეგ გადასვლა არ უნდათ არც ამათ, არც მე არ მინდა და არავის ენდომებოდა, მაგრამ ეს გაურკვევლობა ძალიან გაჭიანურდა. ჯერ ერთის თქმა, მერე შეცვლა, მერე კიდე შეცვლა ანუ ცხადი ხდება, რეალურად დაწერით კი დაწერეს, მაგრამ ამაზე კონცეპტუალურად წარმოდგენა არ ჰქონდათ, რას აკეთებდნენ. არიქა, არ დაგვაბრალონ პრორუსულობა, არ დაგვაბრალონ სოციალისტურობა, არ დაგვაბრალონ კიდევ, რა ვიცი, ათასი რამ. ამ რეჟიმში მოქმედება ხელისუფლებისთვის შეუძლებელია. თუ რამეს სწორად თვლის, ის უნდა გააკეთოს, მაგრამ რას თვლის სწორად, ჩვენ ხომ არ ვიცით? თვითონაც თუ არ იციან, აი, მაშინ რა გვეშველება, ის ვიკითხოთ.

*— საუბრობენ იმის თაობაზე, რომ სრული ინფორმაცია არა აქვს ივანიშვილს შექმნილ ვითარებაზე, რომ უჭირს გადაწყვეტილებების მიღება... რომ სხვისი ზეგავლენის ქვეშ არის...*

— არ ვიცი, რატომ არ უნდა ჰქონდეს ინფორმაცია. სხვისი აზრიც უნდა გაიზიაროს, თუ ის ნორმალურია და ამ კაცს აქვს ეს დადებითი თვისება. ბევრი კარგი თვისება აქვს და მათ შორის ეგეც. უნდა ჩამოყალიბდნენ, თვითონ სად მიდიან, რა ქვეყანას აშენებენ. ნაციონალებს ჰქონდათ სქემა, გეგონება, ლაბორატორიაში ატარებენ რაღაცა ცდას, მოდით საქართველოში განვახორციელოთ ეს, სადღაც ვიღაცამ ეს განახორციელა. ოღონდ მე ვიქნები ხელისუფლებაში და რასაც ვიზამ, ყველაფერი მაპატიეთ და აგერ მოვიმკეთ კიდეც ამ ათი წლის შედეგები. მათ ჩაატარეს ექსპერიმენტი სხვის მიერ შემუშავებულ სქემაზე და რა შედეგიც მივიღეთ, ვხედავთ. მოდით, ჩვენ ჩვენი შევიმუშაოთ, ეკონომიკაში იქნება თუ სოციალურ სფეროში, სამხედროში თუ განათლებაში. ვერ ექნება ოთხმილიონიან ქვეყანას, უნიკალურს თავისი ცივილიზაციით, თუნდაც ენის თვალსაზრისით და თავისი შიდა ურთიერთობების თვალსაზრისით ისეთივე ტიპის ეკონომიკა ან განათლების სისტემა, როგორიც შეიძლება იყოს შტატებში. ეს არის გამორიცხული. დღეს ჩვენ თუ ვლაპარაკობთ ევროპაზე, უნდა გავითვალისწინოთ ევროპის მაგალითი, რომელიც ყველაფერს უფარდებს თავის ეროვნულ ტრადიციას, თავის ისტორიას, გეოგრაფიას. ამას ყველაფერს ხომ უნდა გათვალისწინება? დღეს ჩვენი ამოცანა არ არის ის, რომ ევროპას გადავასწროთ რაღაც-რაღაცებში. რაში ვასწრებთ? ჩვენი ამოცანა არ არის გადასწრება, ჩვენი ამოცანაა თავისთავადობა. ჯერ, ელემენტარულად, ამ ხალხის დაპურება, მერე ჩვენი კულტურა და ჩვენი ხალხი თავის საუკეთესო თვისებებს გამოავლენს.

პრობლემას თავს ვერ ართმევენო... უამრავი პრობლემა რომ დაგროვდა, ამისთვის მისცა მათ ხალხმა ხმა. ეს არ არის თავის გამართლება. ერთი და ორი თვე ხომ არ არის გასული, უკვე საკმარისი დრო გავიდა იმისთვის, რომ რეალურად ძვრები დაწყებულიყო. ყველამ კეთილი უნდა ინებოს და რისთვისაც მოვიდნენ, ის საქმე გააკეთოს. სხვა გზა არ არის, დღე და ღამე უნდა გაასწორონ.

*— შრომის კოდექსთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?*

— აბა, რა გითხრათ. ჯერ ერთი ითქვა, მერე მეორე, მერე მესამე... მარტივია, ან იმ გზით მივდივართ, ნაციონალები რომ იძახდნენ, ოღონდ ვინმე შემოვიდეს და უუფლებოა ჩვენი მუშა, როცა უნდათ, მიიღებენ, როცა უნდათ, გააგდებენ. ეს არის ველური კაპიტალიზმი მე-19 საუკუნის, მეტისაც კი არ არის, შეერთებულ შტატებში იყო ეს ამბავი. ან და მეორე — ევროპული. სანამ გაურკვეველია სიტუაცია, მე გარწმუნებთ, რომ ინვესტორი ასეთ ვითარებაში უფრო არ შემოვა. სერიოზული ინვესტორი კი ამ პირობითაც შემოვა. თუ სერიოზულ წინადადებებს შევთავაზებთ, თუ სერიოზულად მოწესრიგდება ეს ქვეყანა, შემოვა, აუცილებლად შემოვა. ხომ შეიძლებოდა, დამსხდარიყვნენ და საერთო აზრი გამოეტანათ, მერე გზადაგზა არ აღმოეჩინათ, რომ მთლად ასე არ არის. რა თქმა უნდა, მთლად ასე ვერ იქნებოდა. სულ ჩანს ჩამოუყალიბებლობა. ეს სერიოზული პრობლემაა. ამიტომ არის რეიტინგის ვარდნა და იმედგაცრუებების მატება. დღეს ერთს ამბობენ, ხვალ მეორეს. ნაციონალებს სულ ტყუილად უხარიათ ეს ამბავი, რადგან ეს ხმები მათ არ ემატებათ. ამიტომ ჩნდება ვაკუუმი და ეს ვაკუუმი შეივსება აუცილებლად.

*— ასევე მინდა, ბიზნესთან დაკავშირებითაც გკითხოთ. საუბარია, რომ ბიზნესს არანაირი შვება არ უგრძნია, რომ ის კვლავ მარწუხებშია მოქცეული და ახალი ხელისუფლება ცდილობს ახლა მის გაკონტროლებას. თქვენ თუ გაქვთ ამის თაობაზე ინფორმაციები?*

— მარწუხებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ პარალიზებული ნამდვილად არის. ეს სიმპტომატური რამ არის. ყველას გვესმოდა, რაც თქვეს ივანიშვილმა და ხუხაშვილმა, ივანიშვილს უნდოდა დაეცვა ხუხაშვილი და თქვა, მაგან მოაგვარა ერთი საკითხი, რაც ჰქონდა კერძო ხალხს, სახელმწიფოს დაუბრუნაო. ხუხაშვილმაც დაადასტურა და განმარტა მერე რკინიგზასთან დაკავშირებით. ეს კარგია, სახელმწიფოს რომ დაუბრუნდა, მაგრამ ნახეთ, რა ხდება? ეს ხდებოდა მანამ, სანამ ხუხაშვილი დაინიშნებოდა ოფიციალურ მრჩევლად. აი, ეს სახელმწიფოში შეიძლება ხდებოდეს, რომ ცალკე პირი, მხოლოდ იმიტომ, რომ ივანიშვილთან ვიცით, რომ კარგად არის, აგვარებს რაღაცებს, ვიღაცებს ელაპარაკება, შენ დათმე ახლა ათი მილიონი. ვიმეორებ, კარგია, სახელმწიფოსთვის რომ ეს გაკეთდა, მაგრამ ძალიან ცუდია, რომ ეს არასახელმწიფოებრივი ფორმით კეთდება. აი, ამაში გამოვლინდა მიდგომა, რომ ამათ მაინც არ ესმით, რა არის სახელმწიფოებრიობა და, რაც უფრო ადრე გაიგებენ, მით უკეთესი იქნება. ახლა ეს ნათქვამი აჩენს ეჭვებს, იგივე ხომ არ ხდება, რაც ნაციონალების დროს ხდებოდა?! სააკაშვილი რომ იძახდა, ამას ამდენი მილიონი წავართვი, იმას იმდენი მილიონი წავართვი... რას ჰქვია, წაართვი?! თუნდაც წასართმევი ყოფილიყო, თუნდაც ის კარგ საქმეს მოახმარე, რას ჰქვია, წაართვი?! ამიტომ ამთავითვე უნდა აღიკვეთოს ასეთი რამ. უნდა ეკავოს ოფიციალური თანამდებობა კაცს, ყველამ უნდა ვიცოდეთ, რაზეა ლაპარაკი, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება და სად მიემართება ეს ყველაფერი.

*— საჯარო უნდა იყოს ეს პროცესი?*

— დიახ, თუ საჯაროზეა ლაპარაკი, საჯარო უნდა იყოს, თუ არა და იყვნენ ისინიც და ამ საქმეს შესანიშნავად ართმევდნენ თავს. ორ წელიწადში 7 მილიარდი გახადეს ბიუჯეტი, გზები დაიგო, წესრიგი დამყარდა და მაშინ ესენიც აგერ არიან... უბრალოდ, იმდენი საშინელება დაატრიალეს, რომ აღარავინ არაფრად ჩათვალა ეს ყველაფერი... იმდენი პრობლემა დახვდათო, დახვდებოდათ, აბა, რა ეგონათ?! აბა რატომ უპირისპირდებოდნენ ნაციონალურ მოძრაობას?! პრობლემები რომ შექმნა იმან, ამიტომ. შიდა ბიზნესიც სასწრაფოდ უნდა გათავისუფლდეს და ის კი არა და გარედანაც, განსაკუთრებით წარმოშობით ქართველ ბიზნესმენებს ყველანაირი კარტბლანში უნდა მიეცეთ, თუკი მოისურვებენ აქ შემოსვლას და მოისურვებს ძალიან ბევრი.

*— მოდით, ისევ საპრეზიდენტო კანდიდატით დავასრულოთ ჩვენი საუბარი. თუკი გადაწყვეტს ოპოზიცია, შეიქმნას მესამე ძალა, დააყენოს ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატი, ვინ შეიძლება იყოს ოპოზიციის კანდიდატი? ყველაზე აქტუალურად მაინც ბურჯანაძის კანდიდატურაზე საუბრობენ და ასეა?*

— ამ კონსულტაციებში ჩვენ, ტრადიციონალისტებიც, აქტიურად ვართ ჩართულნი. კანდიდატებს რაც შეეხება, სახელდება ბურჯანაძეც და სხვებიც. მიმდინარეობს კონსულტაციები. მე არ მქონია ქალბატონ ნინოსთან საუბარი. არ არის გამორიცხული, სხვა კანდიდატებიც დასახელდეს და ზოგიერთი მათგანი ბევრისთვის მოულოდნელიც იყოს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვანო მერაბიშვილი: „ხელისუფლებამ გლეხებს 80 მილიონი მოჰპარა“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი ოპოზიციის ნიშის მორგებას ცდილობს. ამ მიზნის მისაღწევად ბევრი რამეა გასაკეთებელი. ყველაზე მარტივი, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ლანძღვაა. ხელისუფლების ლანძღვა ხალხის გულსა და ყურს ყოველთვის სიამოვნებს, თუმცა, იმასაც ხომ გააჩნია, ვინ ვის ლანძღავს.

ახალმა ხელისუფლებამ, მართალია, საოცნებო გზას გადაუხვია, მაგრამ, ამის მიუხედავად, მერაბიშვილის მხრიდან მათი ლანძღვა ერს ჯერ მაინც არ ედება გულზე სალბუნად.

ეს მერაბიშვილმაც იცის და ამიტომაც ცდილობს, თავგანწირული ოპოზიციონერის იარლიყი მოირგოს. ამ ეტაპზე ის დაჩაგრული ქართველი გლეხების გამო ტირის. მის ბედზე სოფლის მეურნეობის სამინისტროში ის სკანდალი აგორდა. ეს რომ არ მომხდარიყო, საინტერესოა, რას იტყოდა მერაბიშვილი.

ძალიან კარგია, დღეს გლეხების ინტერესებს რომ იცავს, თუმცა გვითხრას, სად იყო მაშინ, როცა მისი მინისტრობის დროს გლეხებს აწიოკებდნენ. კახეთში მისი პოლიციელები დასდევდნენ გლეხებს და საკუთარი სახლების წინ საკუთარი მოსავლის გაყიდვაში უშლიდნენ ხელს.

მათი საგმირო საქმეების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მერაბიშვილი ამ ამბებს არაფრით არ გაიხსენებს. სამაგიეროდ, ახალ ხელისუფლებას უთვლის ცოდვებს.

გუშინ მან საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მერაბიშვილი საოცნებო ხელისუფლებას 80 მლნ ლარის გაფლანგვაში ადანაშაულებს. ამ თემაზე ის წინა კვირაშიც გმინავდა. სწორედ ერთი კვირის წინ აგორდა ის სკანდალი. რომელსაც დავით კირვალიძის თანამდებობა შეეწირა. მერაბიშვილმა მაშინაც ისაუბრა თანხების გაფლანგვაზე.

– მე ერთი კვირის წინ გავაკეთე განცხადება და ვთქვი, რომ სოფლის მეურნეობის პროგრამიდან მოპარულ იქნა 80 მილიონი ლარი. მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა იმ პროგრამას, რომელიც მიმართულია ჩვენი სოფლისა და საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვისადმი. უფრო მეტიც, ჩვენს წინასაარჩევნო პროგრამაში გვქონდა 1000-ლარიანი ვაუჩერი და ვფიქრობდით, რომ ხელისუფლების ეს ნაბიჯი დაეხმარებოდა სოფელს, შედეგიანი იქნებოდა, თუმცა ხელისუფლებამ იმთავითვე დაუშვა ძალიან ბევრი შეცდომა, არ გაითვალისწინა ხალხისა და ჩვენი რჩევები, რომ გლეხებს ამ სასოფლო-სამეურნეო ბარათების თუ ვაუჩერების ბანკებში განაღდების საშუალება ჰქონოდათ. ამით ავიცილებდით ყოველგვარ სპეკულაციას, რომელიც




ამ თემას მოჰყვა, – განაცხადა მერაბიშვილმა.

თვალსაჩინოებისთვის ნაცმოძის გენმდივანმა წარმოადგინა ფერმერების მხრიდან ყველაზე ხშირად ნაყიდი სასოფლო-სამეურნეო ნივთები.

– გლეხმა მინიმუმ 30% წააგო ანუ ქართველმა გლეხმა 80 მილიონი ლარი წააგო. ჩვენი ფრაქცია მომავალი კვირიდან დაიწყებს აქტიურ კამპანიას, პარლამენტში მოიწვევს მთავრობის წარმომადგენლებს და გამოვდივართ ინიციატივით, რომ ეს დანაკარგი, 80 მილიონი, რომელიც იქნა წართმეული გლეხებისთვის საკომპენსაციოდ საშემოდგომოდ თითოეულ ოჯახზე 120-ლარიანი ვაუჩერი ან, თუ გნებავთ, ბარათი დარიგდეს, ოღონდ ამ ბარათზე მაინც იქნეს დაშვებული, რომ განაღდება შესაძლებელი იქნება. მე ბრალად ვდებ დღევანდელ ხელისუფლებას ბიუჯეტიდან 80 მილიონის უკანონოდ გახარჯვას და მოვითხოვ, ეს თანხა ქართველ გლეხებს დაუბრუნდეს, – განაცხადა ნაცმოძის გენმდივანმა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებულ სიტუაციას ის შევარდნაძის კადრებს აბრალებს. ამაზე მან ერთი კვირის წინაც განაცხადა. გაიხსენა ის ფაქტი, რომ დავით კირვალიძე შევარდნაძის დროსაც იყო მინისტრი. მერაბიშვილმა აღნიშნა რომ რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ვარდოსნებმა კირვალიძე დააკავეს და მასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმეს.

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, „ოპოზიცია ხელისუფლებას აფრთხილებდა, რომ შევარდნაძის დროინდელი კადრების დაბრუნება არ შეიძლებოდა, თუმცა არ გაითვალისწინა და შედეგიც სახეზეა“.

– მე სპეციალურად არ ვსაუბრობ კომბაინებსა და ტრაქტორებზე, რადგან მათი 95% არის ჩვენს დროს შეძენილი და, მადლობა ღმერთს, რომ გლეხებმა ისინი გამოიყენეს. ფაქტია, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ჩვენი თანხით შეძენილ ტრაქტორებზე გარიგებებს ჰქონდა ადგილი. შევარდნაძის ეპოქის უკვე დავიწყებული გმირები გამოჩნდნენ. ჩვენ ხელისუფლებას ვაფრთხილებდით, რომ შევარდნაძის დროინდელი კადრების დაბრუნება არ შეიძლება, რადგან ისინი არ მოეშვებიან ფულის მოპარვას, დაპირებასა და შანტაჟს. თქვენ იცით, რომ ამ მაქინაციაში ჩაბმული სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდა, იქ იყვნენ შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნები, ცნობილი ლეგენდარული ალავიძის მეთაურობით და მე იმედი მაქვს, ხელისუფლება გამოიჩენს პრინციპულობას და ბოლომდე მიიყვანს ამ საქმეს, – განაცხადა მერაბიშვილმა.

ისე, მერაბიშვილი შევარდნაძის მინისტრებზე რომ საუბრობს, იმას რატომ ივიწყებს, სააკაშვილიც ედუარდის მინისტრი რომ იყო? სოსო ალავიძე კი აქტიურად მონაწილეობდა ვარდების რევოლუციაში.

ნაცმოძის გენმდივნის გოდებას საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ეკა ბესელია გამოეხმაურა. მისი თქმით, მერაბიშვილის განცხადებები უფრო უტიფრობაა, ვიდრე პოლიტიკურ განცხადება.

– მერაბიშვილი რომ ამ თემაზე საუბრობს, არასერიოზულია. მგონია, რომ ეს უფრო უტიფრობას ჰგავს, ვიდრე პოლიტიკურ განცხადებებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს და სამართალდამცველები ყველა საკითხს კომპლექსურად სწავლობენ. პრინციპული და მნიშვნელოვანია, რომ დღეს, ჩვენი ხელისუფლების პირობებში, ჩვენივე გუნდის წევრების მიმართ ასეთი გამოძიება დაიწყო. ეს მიანიშნებს, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია და ხელს არავინ არავის დააფარებს, – აღნიშნა მან.

ბესელიას განცხადებით, დავით კირვალიძე პატიოსანი ადამიანია, მერაბიშვილზე კი დეპუტატი დადებითს ვერაფერს იტყვის.

– მერაბიშვილი იმ ხელისუფლების წარმომადგენელია, რომლის დროსაც მოქალაქეებისთვის ჩამორთმეული ქონების ოდენობამ 160 მლნ-ს გადააჭარბა. ეს არის იმ ადამიანების ქონების ოდენობა, რომელთაც გამოძიებას მომართეს. შესაძლოა, მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყოს და, არ არის გამორიცხული, ზიანი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში საქართველოს მოქალაქეებს მიადგათ, მილიარდს აღემატებოდეს, – განაცხადა ბესელიამ.

# ირაკლი ალასანია: „მე ვიცი, ვინ იქნება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი“

შორენა მარსაგიშვილი

ორშაბათს „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატს დაასახელებს. როგორც მეოცნებეები ამბობენ ამ ეტაპზე 5 კანდიდატურა განიხილება. დეპუტატი გია ვოლსკის მტკიცებით კი შესაძლოა მეექვსე კანდიდატურაც გამოჩნდეს. ყველაზე რეალურ კანდიდატურებად სალომე ზურაბიშვილი, კახა კალაძე და ირაკლი ალასანია სახელდებიან. გუშინ გაჟღერდა რომ ოცნებაში ამერიკაში მოღვაწე ქართველი მეცნიერის გია დვალის კანდიდატურაც განიხილება.

მეოცნებეები პირობას დებენ, რომ კანდიდატურის შერჩევას დიდი გულისყურით მოეკიდებიან. ამასთან ყველამ იცის რომ ამ ამბავში გადამწყვეტი სიტყვა ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის. იმასაც ამბობენ რომ საპრეზიდენტო ფალავანის ვინაობა უკვე ცნობილია. ოღონდ ამის შესახებ მხოლოდ მეოცნებეთა ვიწრო წრემ იცის.

ამ ვიწრო წრეში მოხვდა საქართველოს ამირსპასალარი ირაკლი ალასანია. საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მან დაახლოებით იცის, თუ ვინ იქნება კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი.



– საპრეზიდენტო კანდიდატის შესარჩევად პრაიმერი არ ჩატარდება და საერთო კანდიდატი კონსულტაციების გზით შეირჩევა, – განაცხადა გადაცემა „დიალოგში“ სტუმრობისას ალასანიამ.

ალასანიას თქმით, პოლიტსაბჭო, რომელიც სავარაუდოდ შაბათს, 11 მაისს შეიკრიბება ამ საკითხს განიხილავს. განხილვაში თავადაც მიიღებს მონაწილეობას.

– არ დაგიმალავთ, ვიტყვი, რომ საპრეზიდენტო კანდიდატების შერჩევისას, შეიძლება, ითქვას, რომ სერიალის ბოლო სერია ნანახი მაქვს; ანუ დაახლოებით, ვიცი, ვინ შეიძლება, დასახელდეს და ვის აქვს შანსი, რომ მის ირგვლივ კონსესუსი შედგეს. ამის შესახებ გარკვეულწილად კონსულტაციები პრემიერ-მინისტრმა და კოალიციის თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა ჩემთან გაიარა. ვიცი, კიდევ რამდენიმე წევრთან გვქონდა ასეთი საუბრები. ამის ირგვლივ ძალიან ღია და გულწრფელი დისკუსიები იყო. მე დარწმუნებული ვარ, რომ შაბათსვე შევთანხმდებით ასეთ კანდიდატზე, შემდეგ დაგეგმილი აქვს კოალიციის ლიდერს, რომ უმრავლესობასთან შედგეს საუბარი კვირას, 12 მაისს, ორშაბათს კი უკვე საზოგადოებას წარვუდგენთ. ბუნებრივია, მე არ გავამხელ ვინ შეიძლება, იყოს ეს კანდიდატი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის იქნება ღირსეული კანდიდატი და ასევე, დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ჩვენი კანდიდატი გაიმარჯვებს, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მოგეხსენებათ რომ ოქტომბერში არჩეულ პრეზიდენტს ის უფლებები აღარ ექნება რაც აქამდე ჰქონდათ პრეზიდენტებს. ირაკლი ალასანია ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტის მომხრე იყო. მას თავის დროზე სწორედ ამაზე ჰქონდა ივანიშვილთან მძიმე საუბარი.

ჟურნალისტის კითხვაზე ოქტომბერში ქართველი ხალხი საქართველოს პრეზიდენტს თუ პრემიერ-მინისტრის პრეზიდენტს აირჩევს ალასანიამ შემდეგი პასუხი გასცა:

– ყველა ვარიანტში ხალხი აირჩევს საქართველოს პრეზიდენტს, პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი წესით; საზოგადოების დიდმა უმრავლესობამ უნდა დაუჭიროს მათ მხარი. გამომდინარე აქედან, ჩვენს მომავალ პრეზიდენტს საზოგადოების მხრიდან ექნება მაღალი ლეგიტიმაცია. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ამას კონსტიტუციური რეალობა დაუშვებს, პრეზიდენტი იქნება არბიტრი პარლამენტსა და მთავრობას შორის და მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც საზოგადოების ნების გამოვლენა იქნება. ამდენად, პირდაპირი პასუხი თქვენს კითხვაზე სწორედ ესაა – ის იქნება საზოგადოების უმრავლესობის ნების გამომხატველი პრეზიდენტი.

გადაცემა „დიალოგში“ ალასანიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას რომ საქართველოს სჭირდება პრეზიდენტი, რომელსაც ექნება მეტი საშუალება, რომ ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი გადაწყვეტილებები მიიღოს.

– მე მხარს ვუჭერ და ვთვლი, რომ საქართველოში ძლიერი საპრეზიდენტო რესპუბლიკა ძლიერი საპარლამენტო ზედამხედველობით და დამოუკიდებელი სასამართლოთი იქნება სწორი მოდელი. ქვეყანას, რომელსაც რეალურად ძალიან ბევრი გამოწვევა აქვს, მათ შორის აქვს ისეთი გამოწვევა, როდესაც ტერიტორიის დიდი ნაწილი, 20% ოკუპირებულია, სჭირდება პრეზიდენტი, რომელსაც ექნება მეტი საშუალება, რომ ხშირ შემთხვევაში მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც იქნება გადამწყვეტი. ასევე, მგონია, რომ როდესაც გვაქვს საქმე საპარლამენტო რესპუბლიკასთან, ძალიან რთული იქნება პარლამენტში ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომელიც აგვარიდებს სამთავრობო კრიზისს. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი მაძლევს იმის საფუძველს, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკასთან დაკავშირებით, ჩემ აზრზე ვიყო, – განაცხადა ალასანიამ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ნაციონალებს რუსული გაზის ეშინიათ

## გიორგი ვაშაძე სააკაშვილს ვეტოს დადებისკენ მოუწოდებს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ ნაციონალები შოკში ჩააგდო. ამჯერად კალაძეს ავტოგოლი აღარ გაუტანია. ნაცმოძი რუსულ გაზთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო ჩავარდა შოკში.

რამდენიმე დღის წინ კახი კალაძემ რუსეთიდან ბუნებრივი აირის შესაძლო მიღებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. აღნიშნულ განცხადებას საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა. აღშფოთებულმა მიხეილ სააკაშვილმა ბიძინა ივანიშვილისგან მოითხოვა განმარტებები. განმარტებებს გიორგი ვაშაძეც ელის.

„პირველი რადიოს“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ვაშაძემ განაცხადა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყება შოკისმომგვრელია. მისი თქმით,

როგორ შეიძლება, დაიწყოს განხილვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმ ქვეყანასთან, რომელსაც ტარიფი ორ-ნახევარჯერ მეტი აქვს. ვაშაძემ გაიხსენა ის ამბავიც, რუსეთმა ცივ ზამთარში გაზი რომ გაგვითიშა.

– რუსეთი ბუნებრივ აირს ყიდის 400-450 დოლარად და უკრაინაში მისი ღირებულება არის დაახლოებით 600-650 დოლარი. როგორ შეიძლება ჩვენ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი – აზერბაიჯანი – დავაყენოთ კითხვის ნიშნის ქვეშ?! კითხვა არ გვიჩნდება არავის?! ჩვენ ევროპის კონტინენტზე ვართ ერთადერთი ქვეყანა, რომელიც არის უსაფრთხო და დივერსიფიცირებული გაზისა და ელექტროენერგიის მოწოდების კუთხით. ჩვენ არ ვართ დამოკიდებული რუსეთის ფედერაციაზე. რუსეთის საერთაშორისო ფასი რაც არის, იმაზე ორჯერ ნაკლებს იხდის საქართველო. ჩვენ გვერდზე გვყავს პარტნიორი აზერბაიჯანი, რომელმაც 2006 წელს, როდესაც რუსეთმა გაზი გაგვითიშა, თავისი ნახევარი მოსახლეობა გათიშა და ჩვენ მოგვაწოდა გაზი. სჯერა თუ არა საქართველოში ვინმეს, რომ რუსეთის ფედერაცია საქართველოსთან მიმართებით თავის დამოკიდებულებას შეცვლის? – კითხულობს ვაშაძე.

მისთვის მიუღებელია იმ ქვეყანასთან მოლაპარაკებები, რომელსაც საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებული აქვს.

მომდევნო კვირაში საქართველოს პარლამენტი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანაზე იმსჯელებს. ეს ცვლილებები ნაციონალებს არ მოსწონთ. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ ოცნებამ კანონში ცვლილებები არ შეიტანოს.

წინა სასესიო კვირაში უმცირესობამ უმრავლესობას პროცედურული ომი გამოუცხადა და ცვლილებების განხილვა 6 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, ხელისუფლებამ კი, ამის მიუხედავად, ცვლილებების პირველი მოსმენით მიღება ვერ შეძლო და საკითხზე მსჯელობა მომავალი კვირის ოთხშაბათს, 15 მაისს გაგრძელდება.

მშვიდად არც ეს დღე ჩაივლის. გიორგი ვაშაძემ გუშინ განაცხადა, რომ ნაციონალები „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ პროექტს“ ისევ საპროცედურო ომს გამოუცხადებენ.

– იმისათვის, რომ პარლამენტმა კანონი არ მიიღოს, მომავალ საპარლამენტო სასესიო კვირას რთული პროცედურული ომი იქნება. ყველანაირად ვეცდებით, ამ კანონპროექტის მიღებას ხელი შევუშალოთ, – აღნიშნა ვაშაძემ.

გუშინვე მან მიხეილ სააკაშვილს მოუწოდა, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კანონს ვეტო დაადოს.

ნაციონალ დეპუტატს მშობლიური საგარეო უწყება შემოეკრიტიკა. მისი თქმით, სამინისტროს არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ 2013 წლის ევროსაბჭოს მინისტერიალის



დღის წესრიგში აგვისტოს ომის საკითხი შესულიყო.

– 2011 წელს სტამბოლის მინისტერიალზეც არ იყო აღნიშნული საკითხი შეტანილი, მაგრამ ამის საპასუხოდ ქართულმა მხარემ თურქეთს ვეტო დაუდო კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მათ ინტერესში შედიოდა. ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანა-არშეტანასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნებს შეიძლება სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდეთ, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია. თუ ჩვენ ერთ ყურში შევუშვებთ და მეორეში გავუშვებთ, რომ ეს საკითხი არ უნდა შევიდეს დღის წესრიგში, დამერწმუნეთ, უკუსვლას დავიწყებთ. ეს წყალს დაასხამს რუსეთის ქმედებებზე, რომ კიდევ უფრო მეტი ქვეყანა აღმოჩნდეს მსოფლიოში, ვინც აღიარებს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობას, – აცხადებს დეპუტატი.

ვაშაძემ მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზეც ისაუბრა. რამდენიმე დღეში მეოცნებეები თავიანთ კანდიდატს დაასახელებენ. ვაშაძემ არ იცის, ვინ იქნება მათი ან ოცნების კანდიდატი. ერთ რამეში კი ღრმად არის დარწმუნებული – მათი კანდიდატი ოცნებისას აჯობებს.

# საქართველოში უხარისხო საავტომობილო ზეთები ისევ შემოდის

შორენა გონგლაძე

ვარდების რევოლუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ნავთობპროდუქტების ბაზრის თავიდან ბოლომდე მოწესრიგება. უნდა ითქვას, რომ ეს ბიზნესი ერთადერთია საქართველოში არსებულ ბიზნესთა შორის, რომელიც თავისი მოწესრიგებულობითა და გამჭვირვალობით ნებისმიერ კითხვას პასუხობს. რა თქმა უნდა, ამ საქმის „პროფესიონალი ექსპერტებიც" ბლომად არიან, ვინც შეიძლება არ დამეთანხმოს, მაგრამ ეს მათი პრობლემაა. სწორედ ამ ექსპერტების წყალობით იყო, რომ ყველა დროში, თითქმის ყველა პარტიისა და ბოლოს „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო დაპირებებს ამშვენებდა ბრძნული ექსპერტული გათვლები იმისა, თუ როგორ ხელოვნურად არის გაზრდილი ნავთობპროდუქტებზე ფასები და რომ ფასი მინიმუმ 10-15 თეთრით უნდა დავარდეს. თუმცა იმ მამლისა არ იყოს, რომ ყივის და გათენდება თუ არა სულ ცალ ფეხზე კიდია, ჩვენ ვაი ექსპერტებსაც სწორედ ასე დაემართათ: იყივლეს, გათენდა, მაგრამ ფასი იგივე დარჩა, რატომ? ამ კითხვაზე პასუხის მოსმენა სწორედ მათგან არის ერთი სიამოვნება, თორემ ამ საქმის პროფესიონალებმა კი კარგად იციან, თუ რა შემთხვევაში შეიძლება საწვავზე ფასის კლება და რომ ფასის თუნდაც ათი თეთრით დაკლება ეს საქართველოსთვის კი არა, სრულიად მსოფლიოსთვის დარჩება ოცნებად. თუმცა რაც იყო, იყო, წინასაარჩევნო ანტურაჟი ამ სულელურმა დაპირებამ აშკარად გაალამაზა და თავისი საქმე გააკეთა. მიუხედავად სისტემის ასეთი თანმიმდევრული წყობისა, პრობლემები არც აქ არის იშვიათობა. საკმაოდ სერიოზული პრობლემებია სამანქანე ზეთებთან დაკავშირებით, ეს პრობლემა წლებია დგას, თუმცა არ თუ ვერ მოხერხდა ამ საკითხზე მიხედვა. ალბათ, უფრო წინა ხელისუფლების ნება არ იყო პრობლემის მოგვარება თუმცა, არც ახალ მთავრობას დაუკარგავს ძილი და მოსვენება ამაზე ფიქრში. პრობლემის ახლოს გასაცნობად ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარეს, ვანო მთვრალაშვილის მივმართეთ. მთვრალაშვილის განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში არ ხორციელდება საავტომობილო ზეთების ხარისხობრივი კონტროლი, ზემოაღნიშნული პრობლემა მოუგვარებელი რჩება და უფრო მეტიც, მისი მასშტაბები კიდევ უფრო იზრდება, მთვრალაშვილის თქმით, დაზარალებულები არიან, პირველ რიგში, მომხმარებლები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ახორციელებენ მათთვის სასურველი ბრენდის საავტომობილო ზეთის შეძენას, თუმცა სინამდვილეში ყიდულობენ გაურკვეველი წარმოშობისა და ხარისხის საავტომობილო ზეთს.



— ჩვენ ყოველთვის აქტიურად ვსვამთ ამ საკითხს. ის პრომლემატიკა, რაც ამ სფეროში გვაქვს, არ დაწყებულა გუშინ და დღეს, ეს პრობლემა წლებია უკვე არსებობს. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ხდება რეალიზებული საავტომობილო ზეთის გაყალბება, ანუ მომხმარებელი, რომელსაც გონია, რომ ის იძენს მისთვის სასურველი კატეგორიის ზეთს, სინამდვილეში ის იღებს გაურკვეველი წარმოშობის უხარისხო, არასტანდარტულ პროდუქტს, შესაბამისად ამ პრობლემიდან გამომდინარე, გამოდის, რომ ზარალდება როგორც მომხმარებელი, ასევე კეთილსინდისიერი მეწარმეც. საკმარისია საავტომობილო ზეთმა გარკვეული პოპულარობა მოიპოვოს და უკვე იწყება მისი გაყალბება არაკეთილსინდისიერი პირების მიერ. ზეთის ხარისხი ბუნებრივია ძალიან მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ უხარისხო ზეთის მოხმარების შემთხვევაში მომხმარებელი იღებს საკმაოდ სერიოზულ ზარალს. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ზეთის ვიზუალური დათვალიერების შემთხვევაში შეუძლებელია განისაზღვროს მისი ხარისხიანობა, ამიტომაც მომხმარებელი ძალიან ადვილად შედის შეცდომაში. უხარისხო ზეთმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ავტომობილის ძრავას და გამოიწვიოს მატერიალური ზარალი. ზემოაღნიშნული პრობლემა ხელს უშლის საავტომობილო ზეთების ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოსა და ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას, იქიდან გამომდინარე, რომ უხარისხო დაბალფასიანი ზეთები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ. გაყალბების ობიექტი არის ძირითადად ელიავას მიმდებარე ტერიტორია. დაბალი ფასი არ ნიშნავს ეკონომიას, მაღალი ხარისხი არის სწორედ ეკონომიურობა.

***— ძირითადად რომელი ბრენდებია წარმოდგენილი ჩვენს ბაზარზე?***

— საქართველოში არის მსოფლიოში ცნობილი ყველა ბრენდი წარმოდგენილი, ეს ინდუსტრია ჩვენთან საკმაოდ კარგად არის განვითარებული. ასევე წარმოდგენილია ნალებად ცნობილი ბრენდები, ანუ მომხმარებელს საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს, მას შეუძლია ნებისმიერი კატეგორიის ზეთის შეძენა, იმპორტი ხორციელდება თავისუფალ რეჟიმში. არანაირი ხელოვნური ბარიერი არ არსებობს, მთავარია პროდუქტის ხარისხი და ფასი იყოს კონკურენტუნარიანი, რათა ბაზარზე დაიმკვიდროს თავისი ადგილი. თუ ბოლო სტატისტიკას გადავხედავთ, თუ რომელი ქვეყნები ლიდერობენ, 2011 წელს ლიდერობდა თურქეთიდან შემოტანილი ზეთები, შემდეგ მოდიოდა ირანიდან შემოტანილი ზეთები და მესამეზე იყო გერმანია და ასე შემდეგ. რაც შეეხება 2012 წლის სტატისტიკას, პირველ ადგილზე გადმოვიდა ირანი, შემდეგ — თურქეთი და შემდეგ გერმანია.

***— მომხმარებლის დაცვის მექანიზმი რა არის ამ შემთხვევაში?***

— მთავარი მექანიზმი არის ის, რომ მომხმარებელი იყოს ყურადღებით, ძირითადად ამ საქმიანობით დაკავებული არიან ზეთის გამოცვლის ობიექტები. ბაზარზე უნდა იყოს რა თქმა უნდა სხვადასხვა კატეგორიის ზეთები დაბალფასიანი არ ნიშნავს უხარისხოს, მაგრამ ის დაბალფასიანიც თავისი ხარისხის პარამეტრებში უნდა ჯდებოდეს, მაგრამ მთავარია ეს დაბალფასიანი პროდუქტი გაიყიდოს თავისი სახელით, სწორედ პრობლემა არის იმაში, რომ ეს დაბალფასიანი იყიდება შეფარვით, მაღალხარისხიანი ზეთის ნაცვლად. თუ მომხმარებელი ყიდულობს ბალონებით, ბალონი უნდა იყოს დაპლომბილი, რაც შეეხება ჩამოსასხმელ ზეთს, ამ შემთხვევაში უპრიანი იქნება, რომ ნორმალური ზეთის გამოცვლის ობიექტს მიაკითხოს და არა საეჭვო წარმოშობის ობიექტს, სადაც ხდება ზეთის გაყალბება. მასშტაბები ძალიან სერიოზულია, ზარალდება მომხმარებელი, ზარალდება მეწარმე და ასევე ზარალდება სახელმწიფო.

# ქართველი ვეტერანები რუსეთში არ გაუშვეს

შორენა გონგლაძე

**ქართველ ვეტერანებს ლარსის სასაზღვრო პუნქტის გადალახვის შესაძლებლობა ქართველმა მესაზღვრეებმა არ მისცეს — ამის შესახებ განცხადება „პრაიმტაიმის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა, შოთა აფხაიძემ და ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის წარმომადგენლებმა, ირაკლი ყიფიანმა, გიორგი მდივანმა და ირაკლი უბილავამ გააკეთეს.**

მათი თქმით, ქართველი ვეტერანები, დღევანდელი დღის აღნიშვნას რუს და ოს ომის ვეტერანებთან ერთად აპირებდნენ.

— ლარსის გამშვებ პუნქტზე რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, ნეიტრალურ ზონაში, დაგეგმილი იყო დიდი სამამულო ომის ოსი და ქართველი ვეტერანების საზეიმო შეხვედრა, რომელიც ევრაზიის ინსტიტუტმა შეათანხმა ქართველ ვეტერანებთან. რუსული მხარის თხოვნით საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა კავშირმა დიდი სურვილი გამოთქვა ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენ უზრუნველვყავით ქართველი 20-კაციანი ჯგუფის შეხვედრა ოს ვეტერანებთან. ე.წ. ნეიტრალურ ზონაში. მიუხედავად ჩვენი არაერთგზის თხოვნისა, შს სამინისტროსგან პასუხი ვერ მივიღეთ. ჩავთვალეთ, რომ მათი დუმილი თანხმობის ნიშანი იყო, ამასთან, რუსეთის სასაზღვრო დეპარტამენტმა შესაბამისი თანხმობის წერილი გამოაგზავნა საქართველოს შსს-ში. როდესაც ვეტერანების დელეგაცია მივიდა ლარსის პუნქტზე, მათ არ მიეცათ საზღვრის გადალახვის საშუალება. სასაზღვრო პოლიციის გამშვები პუნქტის ხელმძღვანელი ძალიან შეწუხდა ამის გამო, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა — აცხადებენ ორგანიზაციის წარმომადგენლები.

შოთა აფხაიძის განცხადებით, ამ ღონისძიების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში და მათი ურჩიეს ხელისუფლებას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

— აშშ-ს საელჩომ მისცა რჩევა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ეს პოზიტიური ნაბიჯი არ იქნებოდა. ჩვენ გამოვთქვამთ წუხილს აღნიშნულის გამო და კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და არ არის საჭირო მუდმივი ზეწოლა პრემიერ-მინისტრ ივანიშვილზე — აცხადებს აფხაიძე.

ამასთან დაკავშირებით ევრაზიის ინსტიტუტმა სპეციალური განცხადებაც გაავრცელა, სადაც ნათქვამია:

„მიმდინარე წლის 7 მაისს, ლარსის გამშვებ პუნქტზე, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, ნეიტრალურ ზონაში, დაგეგმილი იყო დიდი სამამულო ომის ოსი და ქართველი ვეტერანების საზეიმო შეხვედრა, რომელიც ევრაზიის ინსტიტუტმა შეათანხმა ქართველ ვეტერანებთან, რუსული მხარის თხოვნით. საქართველოს ომის და შრომის ვეტერანთა კავშირმა დიდი სურვილი გამოთქვა ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

გამომდინარე იქიდან, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ დაამკვიდრა ქვეყანაში დიდი სამამულო ომის მიმართ აგდებული დამოკიდებულება, რის შედეგადაც ქართველ ვეტერანებს ჩამოერთვათ ბევრი ის შეღავათი, რომელიც არსებობდა საბჭოთა დროიდან მოყოლებული, ჩვენს ვეტერანებს არ აქვთ საშუალება, შეღავათიანი წესით მიიღონ ე.წ. საზღვარგარეთის პასპორტები (ანუ საქართველოს პასპორტი, რომელიც საშუალებას იძლევა, იმოგზაურო საზღვარგარეთ). როგორც ცნობილია, ამგვარი პასპორტის ფასი შეადგენს მინიმუმ 100 ლარს და ამ თანხის გადახდის საშუალება ქართველ ვეტერანებს, სამწუხაროდ, არ გააჩნიათ. აქვე აღვნიშნავთ სამწუხარო ფაქტს, რომ არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ომის ვეტერანებს ისეთი სავალალო მატერიალური მდგომარეობა არ აქვთ და სახელმწიფოს მიერ იმგვარად უყურადღებოდ არ არიან, როგორც საქართველოში. ამიტომაც, ევრაზიის ინსტიტუტმა არაერთგზის წერილობითი თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, უზრუნველეყო ქართველი ვეტერანების 20-კაციანი ჯგუფის შეხვედრა ოს ვეტერანებთან, ე.წ. ნეიტრალურ ტერიტორიაზე, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე. ქართველი ვეტერანები გადალახავდნენ საზღვარს ნეიტრალურ ზონაში, იქ შეხვდებოდნენ რუს და ოს ვეტერანებს და საზეიმო ღონისძიების დასრულების შემდეგ უკან დაბრუნდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ასეთი პრაქტიკა მიღებულია საერთაშორისო ურთიერთობებში და ის არანაირ პრობლემას, არც იურიდიულს და არც პრაქტიკულს, არ წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოსთვის. — ნათქვამია განცხადებაში.

## ირაკლი ღარიბაშვილი ომის ვეტერანებს გამარჯვების დღეს ულოცავს



შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ომის ვეტერანებს, ისრაელიდან, სადაც ის ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, გამარჯვების დღეს, — 9 მაისს ულოცავს.

„მე სიამაყით ვიხსენებს მეორე მსოფლიო ომში ქართველი მებრძოლების თავგანწირვას და ქედს ვიხრი დაღუპულ ჯარისკაცთა ხსოვნის წინაშე" — ნათქვამია ღარიბაშვილის მილოცვის წერილში.

**ნიუსპრესი**

## გამოკითხულთა უმრავლესობა კირვალიძის თანამდებობაზე აღდგენას მხარს უჭერს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის" მიერ, მიმდინარე წლის 2 მაისიდან 9 მაისამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა დავით კირვალიძის სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტზე აღდგენას მხარს უჭერს.

კითხვაზე — „მიგაჩნიათ თუ არა, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრი თანამდებობაზე უნდა აღდგეს," გამოკითხვაში მონაწილეთა 42,9 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, 35,7 პროცენტი კი ამის წინააღმდეგია.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხვაში მონაწილეთა 21,4 პროცენტს გაუჭირდა.

**ნიუსპრესი**



## პატრიარქმა უცნობი ჯარისკაცის საფლავი ყვავილებით შეამკო

ვაკის პარკში ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორემ უცნობი ჯარისკაცის საფლავს პატივი მიაგო და ის ყვავილებით შეამკო.

**ნიუსპრესი**

## ოქტომბრამდე, შესაძლოა, პარლამენტის ადგილსამყოფელის შეცვლას ეყაროს კენჭი



წელს ოქტომბრამდე, შესაძლოა, პარლამენტში კენჭისყრაზე მისი ადგილსამყოფელის შეცვლის საკითხი დადგეს. როგორც ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ეკა ბესელიამ განუცხადა , ამ საკითხის კენჭისყრამდე ყველა პროცედურა გავლილია. მისი ინფორმაციით, ერთ-ერთი საკითხი, რომელიც საერთო-სახალხო განხილვის ფორმატში უკვე განხილულია, პარლამენტის ადგილსამყოფელის შეცვლაა.

„შესაძლოა ამის, როგორც უკვე განხილული საკითხის, ინიცირება მოხდე დაკენჭისყრაზე დადგეს", -— აღნიშნა ეკა ბესელიამ. მისივე თქმით, სხვა საკითხების განხილვა ოქტომბრამდე ვერ მოხერხდება.

„დაჩქარებული წესით რაიმე ცვლილების მიღება არ გვინდა", -— აღნიშნა ეკა ბესელიამ.

**მედიანიუსი**

## დავით მაღრაძე: „პრეზიდენტის კანდიდატობა ჩემთვის არავის შემოუთავაზებია"

პოეტი დავით მაღრაძე უარყოფს მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ის „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია.

როგორც „მედიანიუსს" მაღრაძემ განუცხადა, მასთან ამ თემაზე არც პრემიერს და არც „ქართული ოცნების" სხვა წარმომადგენელს არ უსაუბრია.

„არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა. არასწორი ინფორმაცია გავრცელდა. რომც შემომთავაზონ, არ დავთანხმდები, რადგან ბევრად უფრო საინტერესო საქმეები მაქვს საკეთებელი",— აღნიშნა „მედიანიუსთან" საუბრისას დავით მაღრაძემ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ქართული ოცნება" პრეზიდენტობის კანდიდატებად ფიზიკოს გია დვალს და დავით მაღრაძეს განიხილავს.

**მედიანიუსი**

## კახა კალაძემ ღვაწლმოსილ ენერგეტიკოსებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა



ნაციზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერან ენერგეტიკოსებს შეხვდა და გამარჯვების დღე მიულოცა.

მინისტრმა კომპანია „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მმართველთა საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად ღვაწლმოსილ ენერგეტიკოსებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

**მედიანიუსი**

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „უსუფაშვილი კოალიციისა და ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგოდ მოქმედებს“

გულიკო ბალაძე

**„უფლებადამცველთა გაერთიანება“ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილისაგან ახსნა-განმარტებას ითხოვს იმ განცხადების გამო, რომელიც მან 2003-2012 წლებში გამოტანილი უკანონო განაჩენების გადასინჯვასთან დაკავშირებით გააკეთა.**

უკვე რამდენიმე თვეა, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ საქართველოში ადამიანები დიდი მოთმინებით ელოდებიან იმ კომისიის შექმნას, რომელიც გადასინჯავს 2003-2013 წლებში სააკაშვილის რეჟიმის პირობებში უკანონოდ დაპატიმრებული და გასამართლებული პირების საქმეებს, უკანონო განაჩენებს.

თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს სხვა გეგმები აქვს და კოალიციის დაპირების შესრულებაზე აღარ ფიქრობს.

თავისი პოზიცია 2003-2013 წლებში მიღებული უსამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვაზე უარის თქმის თაობაზე დავით უსუფაშვილმა ახლახან პრესკონფერენციაზე გამოხატა.

საქმე ისაა, რომ იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“, რაც მიუღებელი აღმოჩნდა პარლამენტის თავმჯდომარისთვის.

აღნიშნული კანონპროექტის თანახმად, უნდა შეიქმნას კომისია, რომელმაც უნდა გადასინჯოს ის უკანონო გადაწყვეტილებები, რომელიც იქნა მიღებული სააკაშვილის რეჟიმის პირობებში.

— უსუფაშვილი კოალიციისა და ბიძინა ივანიშვილის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. იმ დროს, როცა ათეულათასობით უკანონოდ გასამართლებული საქართველოს მოქალაქე ელოდება საქართველოს კანონის „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის“ შექმნასა და ამოქმედებას, 2003-2012 წლებში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასასინჯად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აცხადებს: „ახლავე გეუბნებით, ძალიან გამიჭირდება, მხარი დავუჭირო პროექტს, რომელიც 2003-2012 წლებში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას ითვალისწინებს. ეს სწორი და ადეკვატური არ იქნება. შესაძლოა, განცდა გვაქვს, რომ ამ წლებში დიდი უსამართლობა იყო, მაგრამ მოქალაქეებს სხვა პერიოდებიც ახსოვთ. ამიტომ გადაწყვეტილების მიღებამდე ამ ყველაფრის გაანალიზებაა საჭირო. კომისიის შექმნის გადაწყვეტილება იმის გამო არ არის მიღებული, რომ სათანადო მექანიზმი ვერ გამოიკვეთა“. დავით უსუფაშვილის განცხადება წინააღმდეგობაში მოდის მთლიანად კოალიციისა და მისი ლიდერის ბიძინა ივანიშვილის პოზიციასთან. ეს არის უპასუხისმგებლო, არაადეკვატური და დაუსაბუთებელი განცხადება. ხელისუფლებამ 200-ზე მეტი პოლიტპატიმრის არსებობით, სააკაშვილის რეჟიმისვე შეფასებით, აღიარა, რომ ქვეყანაში სრული უკანონობა იყო. ამ ფონზე გაუგებარია პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება. როგორც ჩანს, უკანონოდ გასამართლებულები ამაოდ ელოდებიან სამართლიანობის აღდგენას, — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ პრესკონფერენციაზე.

— ჩვენ გვახსოვს სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დავით უსუფაშვილისა და რესპუბლიკური პარტიის განცხადებები იმის თაობაზე, რომ სასამართლო აღარ არსებობს და მართლმსაჯულება გადაიქცა რეპრესიების მექანიზმად. გვახსოვს წინასაარჩევნო დაპირებები სამართლიანობის აღდგენაზე. დღეს კი, თუ უსუფაშვილის სიტყვებით ვიმსჯელებთ, მას და მის გუნდს დარჩათ მხოლოდ განცდა, რომ ამ წლებში დიდი უსამართლობა იყო.

პარლამენტის თავმჯდომარემ კარგად უნდა იცოდეს, რომ ქართველი ხალხის შეკვეთა იყო 2003-2012 წლებში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების გადახედვა და არა 1907 წლიდან დაწყებული უკანონობის გასწორება, რაც შეუძლებელიცაა და არც არავის მოუთხოვია „ქართული ოცნებისთვის“, — აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.



ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება აბსურდია. ასე მეფის რუსეთამდე მოგვიწევს ჩასვლა. უკანონობები სხვა დროსაც ხდებოდა, მაგრამ ქართველი ხალხის შეკვეთა იყო, „ქართულ ოცნებას“ ის უკანონობები გაესწორებინა, რაც ხდებოდა 2003-2012 წლებში. პარლამენტის თავმჯდომარე მიზეზებს ეძებს, სამართლიანობის აღდგენის პირობა რომ არ შესრულდეს.

— ეს არის მიზეზების ძებნა პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან, რომ სხვა პოზიციები დააფიქსიროს. ამასთან, ეს არის, ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილისა და კოალიციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯიც, ვინაიდან ბატონმა ბიძინამაც დააფიქსირა პოზიცია, რომ საქმეები უნდა გადაიხედოს და მალე დაიწყოს სამართლიანობის აღდგენის პროცესი, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე სულ სხვა პოზიციას აფიქსირებს.

ნიკოლოზ მჟავანაძეს მიაჩნია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადება 2003-2013 წლებში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვაზე უარის თქმის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების“ შიგნით განსახილველი საკითხია.

— ეს, ფაქტობრივად, კოალიციის განსჯის საგანი უნდა გახდეს, იმიტომ რომ კოალიციის წევრები სულ სხვა პოზიციაზე არიან. ჩვენ ვითხოვთ ახსნა-განმარტებას პარლამენტის თავმჯდომარისაგან. რით ვერ მიიღეს გადაწყვეტილება კომისიის შექმნისა და უკანონო განაჩენების გადასინჯვის თაობაზე? — კითხულობს ნიკოლოზ მჟავანაძე.

უფლებადამცველი ამბობს, რომ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება და პოზიცია არის შეურაცხყოფა იმ ათასობით ადამიანისა, რომლებიც უკანონოდ გასამართლდნენ.

— ბატონო ნიკა, როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა გაეკეთებინა პარლამენტის თავმჯდომარეს ამგვარი განცხადება?

— პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა პარლამენტის თავმჯდომარეს კითხვა დაუსვა, კომისია როდის ამოქმედდებაო. პარლამენტის თავმჯდომარემ კი უპასუხა, ჩვენ განცდა გვაქვს, რომ უსამართლობა იყოო. თურმე განცდა აქვს. განცდა აქვს თუ თვითონ ამ უსამართლობის ტალღაზე მოვიდა? პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, ჩვენ ვერ დავუჭერთ მხარს ასეთი კომისიის შექმნას, როგორი სქემითაც ახლაა წარმოდგენილი კანონპროექტიო, მაშინ იმ ხალხმა რა დააშავა, ვინც 2003 წლამდე უკანონოდ გასამართლდაო. ჯერ ერთი, ქართველი ხალხის შეკვეთა იყო, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში რაც მოხდა, იმაზე ეგო პასუხი ხელისუფლებას. რაც ქართველი ხალხის შეკვეთა იყო, ის უნდა შესრულდეს. როგორც აღვნიშნე, პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადება წინააღმდეგობაში მოდის ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ პოზიციასთან. მარტო კობა დავითაშვილს რომ ტუქსავენ, რაღაც პოზიციებს რატომ არ ათანხმებს კოალიციასთანო, ავტომატურად დავით უსუფაშვილსაც უნდა მოეთხოვოს პასუხი მის ამ განცხადებაზე. დავით უსუფაშვილი, ფაქტობრივად, გამოდის იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის წინააღმდეგ. აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს კომისიის შექმნას, რომელმაც წინა ხელისუფლების პირობებში მიღებული უკანონო გადაწყვეტილებები უნდა გადასინჯოს. უსუფაშვილს მიაჩნია, რომ 2003 წლამდეც ხდებოდა უკანონობები და დანაშაული იქნება, იმ ხალხსაც თუ არ დავეხმარეთო.

— რა უშლით ხელს, თუნდაც 1991 წლიდან რომ დაიწყონ. თუ უკანონობები იყო, განიხილონ?

— ამის გაკეთება ცოტა რთული იქნება. თუ გააკეთებენ, გააკეთონ, მაგრამ ეს არის მიზეზების ძებნა. ჯერ ერთი, 90-იან წლებში თუ რაღაც უკანონობები ხდებოდა, კი ბატონო, გამოიძიონ.

— ცხინვალის ომის გამოძიება რომ იწყება, ეს, ფაქტობრივად, წინა წლებში მომხდარსაც მოიცავს.

— ამაზე ცალკე კომისია უნდა შეიქმნას. იქ ომი ვინ დაიწყო და ამასთან დაკავშირებული საკითხები სხვა კომისიამ უნდა გამოიძიოს.

— თქვენი აზრით, სინამდვილეში რატომ უნდა იყოს წინააღმდეგი პარლამენტის თავმჯდომარე ამგვარი კომისიის შექმნისა?

— დავით უსუფაშვილი ამგვარი კომისიის შექმნის წინააღმდეგი რომ არის, ამას ერთი მიზეზი აქვს. პარლამენტის თავმჯდომარე ღიად აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა უნდა შენარჩუნდეს, რადგან ეს არის დემოკრატიისთვის კარგი. ის თან რეალურად ლობირებს იმ პოზიციას, რომ არავინ დაისაჯოს. სხვანაირად აუხსნელია დავით უსუფაშვილის ამგვარი განცხადებები. ქართველ ხალხს არავისი სისხლი არ სწყურია, არც ჩვენი და არც სხვისი, ყველა ციხეში რომ იქნეს ამოლპობილი, მაგრამ უსამართლობა და უკანონობა უნდა აღმოიფხვრას. იმ პარტიას, რომელიც დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობს, იმდენი უფლებები არ უნდა მიეცეს, რომ გადაწყვეტილებების მიღებაზე იმოქმედოს. იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის თაობაზე“. ამ კანონპროექტზე მუშაობენ როგორც იუსტიციის სამინისტროში, ასევე ადვოკატთა კოლეგიაში და სამეცნიერო წრეებში. დავით უსუფაშვილის განცხადება კი ყველაფრისთვის წყლის გადასხმას ნიშნავს. თუ დავითაშვილს მოსთხოვეს პასუხი, გუნდთან შეუთანხმებლად, რაღაც განცხადება რომ გააკეთა, პარლამენტის თავმჯდომარესაც უნდა მოვთხოვოთ ახსნა-განმარტებები.

— ისე, რეპრესირებულები ამ კომისიის შექმნასა და საქმეების გადასინჯვას მოთმინებით ელოდებიან, პროტესტსაც ამიტომ არ გამოთქვამენ.

— დიახ, ამ პირობებში გამოდის პარლამენტის თავმჯდომარე და რაღაცას იმიზეზებს, რომ კომისია არ შეიქმნას. ამ კომისიის ამოქმედება აუცილებელია და რაღაც დაბრკოლებების შექმნა ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯია.

## ბიძინა ივანიშვილი: „ქვეყნის კულტურა იმით იზომება, თუ როგორ ექცევა ის სამშობლოსათვის თავგანწირულ ადამიანებს“



პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ქართველ ხალხს – 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 68-ე წლისთავს ულოცავს.

„9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღე კაცობრიობის ისტორიაში. ყველას გილოცავთ ამ დღეს!

ფაშიზმის დამარცხებით ცივილიზაციამ გაიმარჯვა ბარბაროსობაზე და ეს დღე იქცა უკლებლივ ყველა იმ ადამიანის გამარჯვების დღედ და ყველა იმ ადამიანის კუთვნილებად, ვინც ამ ომში ფაშიზმის წინააღმდეგ ერთნაირი თავდადებით იბრძოდა.

საქართველომ უდიდესი წვლილი შეიტანა ამ ბრძოლაში. ჩვენმა თანამემამულეებმა თავგანწირულად იბრძოლეს ფაშიზმის წინააღმდეგ. საქართველოდან წასული 300 ათასამდე მებრძოლი გმირულად დაეცა ამ ომში, მარტო ქერჩის ბრძოლებს 120 ათასი ქართველი შეეწირა. ჩვენ სამშობლოს ბევრი სახელოვანი გმირი ჰყავს, ბევრის თავდადება კი დღემდე უცნობია. მინდა პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას, გმირების უკვდავ სახელებს.

განსაკუთრებული მოწიწებით ვულოცავ ამ დღეს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, ჩვენს სახელოვან ვეტერანებს და ქედს ვიხრი მათ წინაშე.

ჩვენი, როგორც ცივილიზებული სახელმწიფოს, ვალია განსაკუთრებით ვიზრუნოთ ჩვენს ვეტერანებზე, სათანადო პატივი მივაგოთ მათ, ყველა პირობა შევუქმნათ ღირსეული და დაფასებული ცხოვრებისთვის. სწორედ ამით იზომება ქვეყნის კულტურა – როგორ ექცევა იგი სამშობლოსათვის თავგანწირულ ადამიანებს“ – ნათქვამია პრემიერის მილოცვის ტექსტში.

ნიუსპრესი

## შს მინისტრი ისრაელში მესაზღვრეების საჩვენებელ წვრთნებს დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ისრაელში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ისრაელის სახმელეთო დაცვისა და კავშირგაბმულობის მინისტრ გილან ერდანს შეხვდა. შეხვედრაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ისრაელის სახელმწიფოს საშინაო ფრონტალური დაცვის სამინისტროს შორის საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოეწერა ხელი.

მინისტრმა შეხვედრა გამართა ასევე ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ზეევ ელკინთან. საუბარი ორ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობასა და სამომავლო გეგმებს შეეხო.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ღარიბაშვილმა სასაზღვრო პოლიციის ბაზაც დაათვალიერა და საჩვენებელ წვრთნებს დაესწრო.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ასევე საქართველოს შს მინისტრის შეხვედრები ისრაელის უშიშროების მინისტრ იცჰაკ აარონოვიჩთან და ისრაელის მთავრობის სხვა ოფიციალურ პირებთან.

ნიუსპრესი

## ნინო ბურჯანაძემ ვეტერანებს გამარჯვების დღე მიულოცა



პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, „სახალხო კრების“ თავმჯდომარემ ნონა გაფრინდაშვილმა და „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრებმა, ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, დღეს, ვაკის პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკეს.

ამ დღესთან დაკავშირებით, „დემოკრატიული მოძრაობა“ სპეციალურ განცხადებასაც ავრცელებს.

„ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი წვლილი შეიტანა მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში. ასიათასობით ჩვენი თანამემამულე იბრძოდა და მათგან სამას ათასზე მეტმა სიცოცხლე შესწირა, რათა საკუთარი ქვეყანა და მსოფლიო ფაშისტური რეჟიმისგან გადაერჩინა. ვიცით, რომ 9 მაისი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე თითოეული ადამიანისთვის უდიდესი ზეიმია და ამ თარიღს განსაკუთრებული ემოციით მოელის.

„დემოკრატიული მოძრაობა“ აფასებს თითოეული ადამიანის იმ უდიდეს ღვაწლსა და თავგანწირვას კაცობრიობის წინაშე, რის შედეგადაც მსოფლიოში ფაშიზმი დამარცხდა. ამ დღეს მთელი პროგრესული კაცობრიობა განსაკუთრებით აღნიშნავს.

ჩვენ გულითადად ვულოცავთ დღევანდელ დღეს მეორე მსოფლიო ომის თითოეულ მონაწილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას.

გვჯერა, რომ სულ მალე, საქართველო გახდება ისეთი, როგორსაც უპირველესად თითოეული ვეტერანი იმსახურებს. ჩვენ ყველანი ვიცხოვრებთ ისეთ ქვეყანაში, რომელშიც სამშობლოსთვის მებრძოლი, თავდადებული ადამიანების ღვაწლი სათანადოდ იქნება დაფასებული“– ნათქვამია „დემოკრატიული მოძრაობის“ განცხადებაში.

ნიუსპრესი

## დავით უსუფაშვილი: „9 მაისი დემოკრატიული მსოფლიოს ზეიმია“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, ვაკის პარკში შეკრებილ ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე პირადად მიულოცა. მისი თქმით, 9 მაისი, დემოკრატიული მსოფლიოს ზეიმია.

„ჩვენ ვუერთდებით დემოკრატიული მსოფლიოს ზეიმს.

ფაშიზმზე გამარჯვება ეს არ იყო ერთი ქვეყნის მეორე ქვეყანაზე გამარჯვება, ეს იყო სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე და ამ საქმეში მთელი ცივილიზებული მსოფლიო იყო ჩართული. ჩვენ ყოველ წელს ამ დღეს, იმ გმირებს ვიხსენებთ, რომლებმაც სამშობლოსთვის თავი გაწირეს. ის ხალხი ვინც საქართველოდან ამ ომს თავი შესწირა, თავიანთ ქვეყანას იცავდნენ. სამწუხაროდ როდესაც ყოველ წელს აქ მოვდივართ, სულ უფრო ცოტა ვეტერანი გვხვდება გასაგები მიზეზების გამო. ამიტომ მათ, ვინც ჩვენს გვერდით არიან, მაქსიმალურად უნდა შევუმსუბუქოთ ცხოვრება და ღვაწლი დავუფასოთ“– განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ნიუსპრესი

# რატომ არ განიხილება ევროპის მინისტერიალზე საქართველოს კონფლიქტის საკითხი

ნათია ხურცილავა

**16 მაისს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის შეხვედრა გაიმართება. ევროსაბჭოს მინისტერიალზე 2008 წლის საქართველო-რუსეთის საკითხი განსახილველად შეტანილი არ არის და, შესაბამისად, აგვისტოს ომის საკითხების განხილვა ვერ მოხდება. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრების განცხადებით, აღნიშნულმა საკითხმა პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა თბილისში და საერთო არაფერი აქვს რეალურ დიპლომატიასთან.**

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, ევროპის საბჭოს მინისტერიალის დღის წესრიგში საქართველოში კონფლიქტის საკითხი მხოლოდ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხვდა. ამ თემაზე რიგი განცხადებები გაკეთდა, რომელმაც შეიძლება საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს.

— ევროპის საბჭოში საქართველოს საკითხი მუდმივად ფიგურირებს ორ მთავარ სეგმენტში. პირველია გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიში საქართველოს კონფლიქტის შესახებ; მეორე კი მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის დღის წესრიგში საკითხი — „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში". ოპონენტები აპელირებენ იმაზე, რომ თუკი საქართველოს საკითხი არ იქნება შეტანილი 15-16 მაისის მინისტერიალის დღის წესრიგში, ეს გაზრდის მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომებიდან მისი ეტაპობრივად გაქრობის ალბათობას. აღნიშნული კი შედეგად გამოიღებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის რეგულარული კონსოლიდირებული მოხსენების შეჩერებას და ყოველივე ეს შეასუსტებს ევროპის საბჭოს აქტივობას ამ მიმართულებით. საგარეო საქმეთა სამინისტრო სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ 15 მაისს მინისტერიალის დღის წესრიგში საქართველოს საკითხის გათვალისწინება ან არგათვალისწინება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს ზემოაღნიშნულ საკითხებზე. მინდა ხაზი გავუსვა, რომ მინისტერიალის დღის წესრიგში საქართველოს საკითხი ვერ მოხვდა მხოლოდ ტექნიკური მიზეზების გამო, თორემ მინისტერიალის შემდეგ მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის პირველივე სხდომაზე დაგეგმილია საკითხის — „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში" განხილვა, — განაცხადა ბერუჩაშვილმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, თუ გავიხსენებთ, ეს არაა პირველი პრეცედენტი.

— მაგალითად, 2009 წელს საქართველოს კონფლიქტის საკითხი ვერ მოხვდა მინისტერიალის დეკლარაციაში და ეს მოხდა ომიდან ერთი წლის თავზე, როცა საერთაშორისო თანამეგობრობა ძალიან მწვავედ განიხილავდა ამ საკითხს. მაშინ ქართულმა მხარემ ვერ მოახერხა ის, რომ დეკლარაციაში შეეტანა ეს თემა. ასევე, 2011 წლის მაისში სტამბოლის მინისტერიალზე არ იქნა შეტანილი ეს საკითხი და ამას არ მოჰყოლია მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის დღის წესრიგიდან საქართველოს საკითხის არც გაქრობა და არც გენერალური მდივნის მიერ კონსოლიდირებული მოხსენების მიღება შეფერხებულა. მინდა, დაგარწმუნოთ და დაგაიმედოთ, რომ მინისტერიალის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თავის მოხსენებაში ყველა სხვა საკითხთან ერთად შეეხება ყველა იმ მწვავე საკითხს, რომელიც უკავშირდება საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. ასევე, ევროსაბჭოს მხრიდან მაღალ დონეზე დაფიქსირდება საქართველოს მხარდაჭერა და ის, რომ ამ კონფლიქტის თემა მუდმივად იქნება ორგანიზაციის დღის წესრიგში, — განაცხადა ბერუჩაშვილმა.

მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ არ იცის დეტალები, თუ რა ტექნიკური დეტალების გამო არ მოხვდა საკითხი დღის წესრიგში, თუმცა



აღნიშნავს, რომ ამის შესახებ გენერალური მდივნის სამდივნოდან ეცნობათ.

ბერუჩაშვილი არასწორად მიიჩნევს ამ საკითხის დრამატიზებას.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გიორგი ვოლსკის განცხადებით, წელს ევროსაბჭოს მინისტერიალზე საქართველო-რუსეთის საკითხი გენერალური მდივნის კონსოლიდირებულ მოხსენებაში შესული იქნება.

აღნიშნული განცხადება ვოლსკიმ „პრაიმტაიმის" პრესკლუბში „ნაციონალური მოძრაობის" იმ განცხადებების კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმად, ევროსაბჭოს მინისტერიალის დღის წესრიგში საქართველოს საკითხი, კერძოდ, აგვისტოს ომის მოვლენები შეტანილი არ არის.

— ამ საკითხს ცუდი პოლიტიკური პროპაგანდისტული შეფუთვა ჰქონდა, თითქოს სტრასბურგში საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოხატულმა კონფლიქტის მოგვარების მიდგომებმა განაპირობა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ არის. სინამდვილეში, ეს თემები ერთმანეთთან არაფერ შუაშია. ეს არის პოლიტიკური ბრძოლა, რასაც „ნაციონალური მოძრაობა" აწარმოებს. პრინციპში, ეს გამაღიზიანებელიც კი არ არის, რადგან „ნაციონალების" ის წევრები, ვინც მეტ-ნაკლებად მაინც ერკვევა საერთაშორისო ურთიერთობებში, გამოთქვამენ მოსაზრებებს, რომელიც, სამწუხაროდ, პარტიულ, მერკანტილურ მიზნებს არის მორგებული, — აღნიშნა ვოლსკიმ.

პარლამენტის წევრის განცხადებით, აღნიშნული საკითხი 2011 წლის ევროსაბჭოს მინისტერიალის დღის წესრიგშიც არ იყო, თუმცა გენერალური მდივნის კონსოლიდირებულ მოხსენებაში საქართველო-რუსეთის ურთიერთობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. დეპუტატი აცხადებს, რომ წლევანდელ მინისტერიალზეც სწორედ ამგვარ ფაქტს ექნება ადგილი. მისივე განცხადებით, აღნიშნული თემა სამუშაო რეჟიმში ევროსაბჭოს განსახილველ საკითხთა ნუსხაში ყოველთვის იქნება.

გარდა ამისა, ვოლსკი მიიჩნევს, რომ განცხადებები, თითქოს ევროსაბჭოს მინისტერიალის განსახილველ საკითხთა ნუსხაში არარსებობა საქართველოს ხელისუფლების მიდგომების შეცვლამ გამოიწვია, არასწორია.

— ვთქვათ, საქართველოს ხელისუფლებამ შეარბილა თავისი გამონათქვამები და საქმიანი ურთიერთობების ინტენსივობასა და თუნდაც რუსეთთან მოლაპარაკებაზე გააკეთა აქცენტები. როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ამის გამო ევროსაბჭომ განაცხადოს, მოდით, ეს საკითხი აღარ შევიტანოთ დღის წესრიგში? ე.ი. ევროსაბჭოში საქართველოს ყოფილი ელჩის, ჟღენტის მარიფათზე იყო დამოკიდებული, მოხვდებოდა თუ არა ეს საკითხი მინისტერიალის დღის წესრიგში? ანუ ევროსაბჭოს აინტერესებდა ეს თემა და ვიღაცა მაგრად „ჩალიჩობდა", რომ ეს საკითხი დღის წესრიგში ყოფილიყო? — განაცხადა ვოლსკიმ.

დეპუტატი დასძენს, რომ ევროსაბჭო სერიოზული ორგანიზაციაა, რომელსაც კავკასიის რეგიონში თავისი ინტერესები აქვს და საქართველოს საკითხს არავითარ შემთხვევაში გვერდით არ გადადებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა ყოფილმა ელჩმა.

ევროპის საბჭოში საქართველოს ყოფილი ელჩის მამუკა ჟღენტის განცხადებით, საგარეო საქმეთა მინისტრი თავად ცდილობს, საზოგადოებას თავს არასწორი ინფორმაცია მოახვიოს.

ასსეტ განცხადებას აკეთებს მამუკა ჟღენტი. ყოფილი ელჩის განცხადებით, მაია ფანჯიკიძის იმ განცხადებას, რომლის თანახმადაც, „პირველი შემთხვევა არაა, როდესაც საქართველოში კონფლიქტის საკითხი ევროპის საბჭოს მინისტერიალის დღის წესრიგში არ ხვდება, ამიტომ ევროპის საბჭოში საქართველოს ყოფილი წარმომადგენლების იგულისხმება მამუკა ჟღენტი და ზურაბ ჭიაბერაშვილი განცხადებები იმის თაობაზე, რომ რაიმე შეიცვალა და ევროპის საბჭო ამ საკითხს მხარს აღარ უჭერს, აბსოლუტურად არასწორია და მოსახლეობის დეზინფორმირებას ემსახურება.

— მე არასდროს მითქვამს, რომ 2008 წლის მერე საკითხი იყო ყველა მინისტერიალის დღის წესრიგში, ახლა კი ვიტყვი ამას: დიახ, საქართველოს საკითხი განიხილებოდა ყველა მინისტერიალზე, გარდა მოახლოებულისა. ეს ნიშნავს, რომ 2009, 2010, 2012 წლებში საკითხი შეტანილი იყო ოფიციალურ დღის წესრიგში, ხოლო 2011 წელს საკითხი დღის წესრიგში ცალკე ნამდვილად არ იყო, თუმცა მინისტრებმა მიიღეს ფორმალური გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოში კონფლიქტის თაობაზე გენერალური მდივნის მორიგ მოხსენებას მიესალმნენ. მე მერჩივნა, ესეც ყოფილიყო და დღის წესრიგიც, მაგრამ რაც იყო, ის იყო. ის, რომ საკითხი არაა და არ იქნება ამ წლის მინისტერიალის დღის წესრიგში, არის სამწუხარო ფაქტი. მთავრობის პოლიტიკური ოპონენტებისგან განსხვავებით, არ ვამბობ, რომ ეს არის პრემიერის გამოსვლის შედეგი. პირიქით, ეს მოდის წინააღმდეგობაში იმასთან, რაც პრემიერ-მინისტრმა ღიად და არაორაზროვნად განაცხადა ასამბლეის ტრიბუნიდან. ასევე, არ ვამბობ (თუმცა კი შემიძლია, ამის საკუთარი წყაროებით დაზუსტება) და არ ვსპეკულირებ, თუ რატომ არ მოხვდა საკითხი მინისტერიალის დღის წესრიგში. რამდენიმე ვარიანტი არსებობს: ან არ მოვითხოვეთ შეტანა (და ეს, ჩემი შეფასებით, არასწორია და ასევე წინააღმდეგობაშია პრემიერის პოზიციასთან); მოვითხოვეთ და არ გამოგვივიდა. ეს ცუდია, მაგრამ არა დრამატული, ოღონდ ამ შემთხვევაში უნდა აგვიხსნან, რა ღონისძიებები ჩატარდა, რომ სანაცვლოდ მაინც რამე მიგვეღო. მე ვერაფერს მიღებულს ვერ ვხედავ. დაგვავიწყდა, გამოგვეპარა (ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ!). გარდა ამისა, ითქვა, სხვაგან ჩავსვამთ ამ საკითხსო — სადღა უნდა ჩასვან?! ყველგან დევს. მთავარია, არ ამოვიღოთ! რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას, ჯერ ერთი, არსად მითქვამს, რომ რაიმე შეიცვალა და ევროპაში მხარდაჭერა არ გვაქვს. ვთქვი, რომ ძალიან ცუდია, რომ საკითხი არ ჩაიდო დღის წესრიგში. ამას მინისტრიც ეთანხმება. თუ ვინმე საპირისპიროს დამისაბუთებს, სიამოვნებით გავიზიარებ ლოგიკურ არგუმენტებს, თუმცა დარწმუნებული ვარ, ეს შეუძლებელია. ქალბატონი მინისტრი თვითონ ცდილობს, საზოგადოებას არასწორი ინფორმაცია მოახვიოს. მაგალითად, 7 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მან ბრძანა, რომ მინისტერიალის დღის წესრიგის საკითხი ჯერ არ განხილულა და მალე გვექნება შედეგი.... ახლა აცხადებს, რომ ყველაფერი გაგვიკეთებია თურმე და არ გამოვიდა. გუშინ გავაკეთეთ ყველაფერი და არ გამოვიდა?! რომელი ვერსიაა სანდო?! ერთს ვიტყვი: მინისტერიალის დღის წესრიგის არსებული პროექტი ჯერ კიდევ გასული კვირის ოთხშაბათს შეთანხმდა და ეტყობა მინისტრმა მარტო იმიტომ შეიტყო, რომ მედიაში გაჟღერდა ეს თემა. მეორე არასწორი ინფორმაცია, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს, ისაა, რომ აღნიშნული საკითხი არც 2012 წლის მინისტერიალის დღის წესრიგში არ ყოფილა და არც ერთ მინისტერიალზე ამ საკითხს იდენტური სათაური არ ჰქონია. 2009, 2010, 2012 წლებში სათაურები იცვლებოდა. ასე რომ, რაღაც განსხვავებულის მოგონება 2012 წლის მინისტერიალთან მიმართებაში სიმართლეს არ შეესაბამება. დაბოლოს, დასმული კითხვები საჭიროებს პასუხებს და თუ ეს პასუხები არ გვაქვს, ძალზე უსუსურია შეურაცხყოფაზე გადასვლა, მით უმეტეს, პოლიტიკური თანამდებობის პირის მხრიდან, — აცხადებს მამუკა ჟღენტი.

ყოფილი ელჩი არ ეთანხმება გამოთქმულ აზრს, რომ საქმე ევროპის საბჭოში ელჩის არყოფნით გაფუჭდა.

— ელჩი, რა თქმა უნდა, ჯობია იყოს, თუმცა, მე ვიქნებოდი იქ, თუ ჩემი წინამორბედი, არაფერს შეცვლიდა. ასევე არ ცვლის იქ ელჩის არყოფნა. ყველა გავაკეთებდით იმას, რასაც გვეტყოდნენ თბილისიდან, ჰოდა, ეს მაინტერესებს ზუსტად, აქ რა მოხდა?! — აცხადებს ჟღენტი.

ამ საკითხს პოლიტოლოგებიც გამოეხმაურნენ. მამუკა არეშიძეს, ყოფილი ელჩებისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს. არეშიძის აზრით, ევროპის საბჭოს მინისტერიალზე საქართველოში კონფლიქტის საკითხის დღის წესრიგში არშეტანა, შეიძლება, ერთგვარი მანევრი იყოს.

— მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვას საქართველოს ინტერესების დაკნინება. გარკვეულწილად ეს შეიძლება, იყოს ერთგვარი მანევრი, ერთგვარი სვლა, რომლის ახსნა აუცილებლად უნდა მოვისმინოთ. ამიტომ ამ საკითხის მოხსნა ასე მარტივად არ უნდა მოხდეს. „დამოკლეს მახვილი", რომელიც რუსეთის თავზე კიდია, სულ უნდა ეკიდოს. შეიძლება, ამას არ ჰქონდეს ყოველდღიური შეხსენების ფორმა, მაგრამ პოლიტიკური თამაშის წესებიდან ამოღებული არ უნდა იყოს, — აღნიშნა არეშიძემ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ გიორგი ვაშაძის განცხადებით, ევროპის საბჭოს მინისტერიალზე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხის არშეტანა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არაქმედითუნარიანობის შედეგია.

— მაინტერესებს, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ანდორას, რომელიც წელს ევროპის საბჭოს მინისტერიალის ხელმძღვანელია, გაუგზავნა თუ არა წერილი დღის წესრიგში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხის შეტანასთან დაკავშირებით. ისაუბროს მაია ფანჯიკიძემ იმაზე, თუ რა ნაბიჯები გადადგა მინისტერიალზე საქართველოს საკითხის ფიგურირებისთვის, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის განცხადებით, 16 მაისს დაგეგმილ მინისტერიალზე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხის არგანხილვა, პირდაპირ შეუქმნის საფრთხეს კონფლიქტური რეგიონების არაღიარების პოლიტიკას.

გარდა ამისა, ვაშაძე მიიჩნევს, რომ ის მესიჯები, რომლებსაც დასავლეთი საქართველოსგან იღებს, საგანგაშოა.

## ირაკლი ალასანია: „მე ვიცი, ვინ იქნება „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მისივე განცხადებით, კოალიციაში შემავალი პოლიტიკური ძალა „თავისუფალი დემოკრატები" საპრეზიდენტო რესპუბლიკის მომხრეა, თუმცა დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, კოალიციის არჩევანს უწევს ანგარიშს. ამის მიუხედავად ამბობს, რომ აუცილებელია, საპარლამენტო მმართველობის ამ ახალ ფორმასაც მიეცეს შანსი.

— თვისობრივად იცვლება დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ; ახალი რეალობა გაჩნდა, ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება. „თავისუფალი დემოკრატები" ვართ და ვრჩებით მომხრედ საპრეზიდენტო რესპუბლიკის, თუმცა რეალობა არის ის, რომ კოალიციაში შემავალი ძალების უმრავლესობა საპარლამენტო რესპუბლიკას უჭერს მხარს. ჩვენმა ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა აღნიშნა კიდეც, რომ ჩვენ ასეთი კონსულტაციები ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გვქონდა და მათ ჰქონდათ გამოკვეთილი პოზიცია იმის თაობაზე, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა იყო მისაღები „რესპუბლიკელებისთვის". დებატები გრძელდებოდა და მე ისევ ვრჩები ჩემს აზრზე, მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ რეალობას, რა რეალობაშიც ვართ. ბუნებრივია, მხარს დავუჭერ კოალიციის და საზოგადოების უმრავლესობის მოსაზრებას, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, დადგება ის დრო, როდესაც ჩემი ოპონენტები ახალ რეალობას გაუსწორებენ თავს და შეიძლება, სხვა მოსაზრება ჰქონდეთ. დღეს კი ასეთი რეალობაა და მე ვთვლი, რომ აუცილებელია შანსი მივცეთ მმართველობის ამ ახალ ფორმას ჩვენს ქვეყანაში, — განაცხადა ალასანიამ.

როგორც მინისტრი ამბობს, საპრეზიდენტო კანდიდატს 11 მაისს შეარჩევენ. 13 მაისს კი მის ვინაობას მთელი ერი გაიგებს. 13 მაისამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი. ამ დღეებში კიდევ ვინმეს გვარი დასახელდება. პროგნოზების კეთება უმადური საქმეა. ასე რომ დაველოდოთ 13 მაისს.

## გიგი უგულავა: „საპრეზიდენტო კრიტერიუმებს დავით ბაქრაძე და ირაკლი ალასანია აკმაყოფილებენ"



ევროპის დღესთან დაკავშირებით, გუშინ თბილისის მერიამ მიღება გამართა, სადაც გიგი უგულავამ პრეზიდენტობის კანდიდატებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების შესახებ ისაუბრა.

უგულავას განცხადებით, პრეზიდენტობის კანდიდატურას „ქართული ოცნებიდან" ირაკლი ალასანია, ხოლო „ნაციონალური მოძრაობიდან" დავით ბაქრაძე შეესაბამება.

„წინასწარ არ ვიცით ვინ იქნება „ნაციონალური მოძრაობიდან" პრეზიდენტობის კანდიდატი. ამას „პრაიმერის" შემდეგ გავიგებთ. პრაიმერის შედეგი შეიძლება ჩემთვისაც და ნებისმიერისთვისაც მოულოდნელი იყოს. თუ ჩემი სუბიექტური აზრი გაინტერესებთ, ჩემი აზრით, ოცნების მხრიდან ამ თანამდებობას ირაკლი ალასანია, „ნაციონალური მოძრაობის" კი მხრიდან დავით ბაქრაძე შეესაბამება"— განაცხადა გიგი უგულავამ.

ნიუსპრესი

# რატომ დაიწუნეს შრომის კოდექსის ახალი ვარიანტი?

მერი ნამორაძე

ერთხელ უკვე მოწონებული შრომის კოდექსის ახალი ვარიანტი პროფკავშირების გულის გასახეთქად და დამსაქმებელთა გასახარად „დაწუნებული“ აღმოჩნდა. იუსტიციის სამინისტრო შრომის კოდექსის კომპრომისულ ვარიანტზე მუშაობას შეუდგა იმ მოტივით, რომ კარგი პროექტი შეიძლება უკეთესი გახდეს. მოტივი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ვიცე-პრემიერმა და შემდეგ უკვე პრემიერ-მინისტრმა ინვესტორთა დაფრთხობის საშიშროება დაინახა შრომის კოდექსის ახალ ვარიანტში. მაინც რა აქცენტები კეთდებოდა ახალ ვარიანტში, რომელმაც დამსაქმებლები ჩააფიქრა? ეჭვები ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას, 40-საათიანი სამუშაო კვირის დაწესებასა და მოკლევადიანი სამუშაო ხელშეკრულებების გაუქმებას მოჰყვა. სადავო სწორედ ეს მუხლები აღმოჩნდა. როგორც ჩანს, „დამფრთხალმა“ ბიზნესმენ-ინვესტორებმა ცოტა გვიან, მაგრამ მაინც მიაწვდინეს ხმა მთავრობას. დამატებით ცვლილებებზე უკვე სწორედ ბიზნესმენებთან და ინვესტორებთან ერთად მუშაობენ.

უმრავლესობაში აცხადებენ, რომ კანონმა დამქირავებლის ინტერესიც უნდა გაითვალისწინოს, რადგან სამუშაო ადგილებს სწორედ ისინი ქმნიან. ჩვენმა კანონმდებლებმა ოქროს კვეთი უნდა იპოვონ, რათა გული არც ერთ მხარეს არ დასწყვიტონ.

მეორე მოსმენით საკანონმდებლო ორგანოში უკვე კომპრომისული ვარიანტი იქნება წარდგენილი. მეორე ვარიანტმა ადეკვატურად უნდა ასახოს როგორც საერთაშორისო სტანდარტები, ასევე თანაბრად უნდა ასახოს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინტერესები.

არჩევნების შემდეგ ქვეყანაში აგორებულმა გაფიცვებმა, რომლის მიზეზი არაადეკვატური ანაზღაურება და არასათანადო შრომითი პირობები იყო, კარგად წარმოაჩინა სოციალური დიალოგის დეფიციტი დამსაქმებელთა, დასაქმებულთა და ხელისუფალთა შორის. დასაქმებულებმა ხმის ამოღება სწორედ წინასაარჩევნო დაპირების შემდეგ გაბედეს, რომელიც მათ შრომითი კანონიერი, ადამიანური უფლებების აღდგენას უკავშირდებოდა. ნიშნავს თუ არა შრომის კოდექსის კომპრომისულ ვარიანტზე მუშაობის დაწყება დაპირების უკან წაღებას, ეს მალე გახდება ცნობილი. ერთი კი ცხადია, რომ მიუხედავად ბენდუქიძის შრომის კოდექსის 9-წლიანი მოქმედებისა, არც ინვესტორები გაგიჟებულან საქართველოში ინვესტიციების უხვად ჩადებისთვის და არც შრომის ბაზარზე გაჩენილა ასარჩევი სამუშაო ადგილები. დასაქმებულები კი, იცოცხლე, იყვნენ ყოველ სამ თვეში თუ ერთ თვეშიც კი სამსახურიდან დათხოვნის მოლოდინში. ასეთი ბერკეტი პოლიტიკური მოტივებისთვისაც კარგი გამოსაყენებელი აღმოჩნდა – მომცემ ხმას? გექნება სამსახური, არ მომცემ? შეგიწყვეტ სამუშაო ხელშეკრულებას!




იუსტიციის მინისტრი გვპირდება, რომ ახალ ცვლილებებს თავად ჩაუდგება სათავეში. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ სამართლიანობის სწრაფად აღდგენის მოლოდინშია. თუ სოციალური სამართლიანობის აღდგენამაც დაიგვიანა ან ერთი მხარის სასიკეთოდ გადაიხარა, ახალი ხელისუფლების რეიტინგი ამით მაინცდამაინც ვერ გაიხარებს. მომავალ კვირას უკვე ცნობილი გახდება, რამდენად შეძლებენ ოქროს კვეთის პოვნას ჩვენი კანონმდებლები.

# პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრეცედენტი და გამოცხადებული „ვიდეოომის“ ქრონიკა

**ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, საქართველოში წლევანდელი ვნების შვიდეულიც განსხვავებული იყო. მიუხედავად სადღესასწაულო სამზადისისა, ღია, თუ კულისებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ტემპერატურა ოდნავადაც არ განელებულა, პირიქით, მოიმატა კიდეც, რაც თავის მხრივ იმის მანიშნებელია, რომ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, შტილს არც უახლოეს ხანებში უნდა ველოდოთ.**

**ახალი ხელისუფლების არჩევის შემდეგ, საქართველოს პირველი ექსმინისტრი ჰყავს. მართალია დავით კირვალიძეს ჯერჯერობით მხოლოდ უფლებამოსილება შეუჩერდა, მაგრამ თავად ეს ფაქტი საზოგადოების ცნობიერებისთვის ახალი რეალობა იყო, როდესაც მათ პოლიტიკური პასუხისმგებლობის მაგალითი დაინახეს.**

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე ვთქვით, ეს ფაქტი თავისი არსით ძალიან მნიშვნელოვანია, მსგავსი პრეცედენტები ამ ეტაპზე გარკვეულ რისკ-ფაქტორებს მაინც შეიცავს, რომელიც სასურველია, რომ ახალმა ხელისუფლებამ გაითვალისწინოს, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

მანამ კი, თუ სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას შევაფასებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ბოლო წლების საქართველოს ისტორიაში ნამდვილად უპრეცედენტო მოვლენა იყო.

თუმცა ამ შემთხვევაში სამწუხაროდ საქმე კონკრეტული მინისტრის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებასთან და არა საზოგადოების რეაქციასთან გვაქვს. საზოგადოება, დროა მივიდეს დასკვნამდე, რომ ხელისუფლების ნებისმიერი შტოს წარმომადგენლის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება თავისი რეაქციით თავადვე უზრუნველყოს და არ იყოს დამოკიდებული პრემიერის სიმკაცრეზე ან თუნდაც ამა თუ იმ მინისტრის შინაგან პასუხისმგებლობასა და წესიერებაზე. ამ შემთხვევაში კი, საქმე სწორედ იმ მოვლენასთან გვქონდა, როდესაც მინისტრმა მორალური თვალსაზრისით საჭიროდ ჩათვალა, რომ გამოძიების დასრულებამდე თანამდებობა დაეტოვებინა. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით, საზოგადოების სიფხიზლის და რეაქციის კოეფიციენტი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

რაც შეეხება თავად ფაქტს, ის ბოლო წლების საქართველოს ისტორიაში ნამდვილად უპრეცენდენტოა, რადგან საკმაოდ ძნელია და შეუძლებელიც კი, ისეთი მომენტის გახსენება, როდესაც ამა თუ იმ უწყების მაღალჩინოსნის დაკავების გამო მინისტრს თანამდებობა დაეტოვებინოს. უფრო მეტიც, გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრსა და დღეს საკმაოდ აქტიურ პარლამენტარს გოგა ხაჩიძეს, მინისტრობის დროს ლამის ნახევარი სამინისტრო დაუჭირეს, მაგრამ არც თავად ხაჩიძეს და რა თქმა უნდა არც სააკაშვილს, მაშინ აზრად არ მოსვლიათ, რომ მინისტრის პასუხისმგებლობის (თუნდაც მორალურის) საკითხი დამდგარიყო.

ამასთან, ამ მოვლენამ აშკარად აჩვენა, რომ ახალი ხელისუფლება კორუფციის მიმართ საკმაოდ პრინციპულ პოზიციას დაიკავებს და ის კორუფციის არც ე.წ."ელიტურ" და არც დაბალ ეშელონების გამოვლენის შესახებ გულგრილი არ დარჩება.

კორუფციასთან ბრძოლაში წარმატებას კი მხოლოდ დაპატიმრებები არ განაპირობებს. ამის ნათელი დასტური მთელ ერს, ბოლო 9 წლის განმავლობაში თვალწინ ჰქონდა, როცა საჩვენებელმა ტელედაპატიმრებებმა, საბოლოო ჯამში მაღალი დონის „ელიტარული“ კორუფციის ფორმირება განაპირობა. სასურველია, რომ კორუფციას ახალი ხელისუფლება არა მარტო ბორკილებით, არამედ სისტემის ჩამოყალიბებით შეებრძოლოს. მთავრობამ უნდა შეძლოს და შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის მძლავრი ურთიერთკონტროლის დამკვიდრების და პარალელიზმის აღმოფხვრის პირობებში, კორუფციას მაქსიმალურად გამორიცხავს. ამ პროცესში ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია არასამთავრობო სექტორსა და თავისუფალ მედიას.

დღეს კი, როდესაც ქვეყანას ჯერჯერობით კორუფციასთან ბრძოლის სტრატეგია და მით უმეტეს მისი საწინააღმდეგო სისტემა არ გააჩნია, ბრძოლის ძველმა მეთოდმა, ანუ მასიურმა დაპატიმრებებმა, შეიძლება კვლავ უკუეფექტი მოიტანოს და ამ ფორმამ, ისედაც ძნელად მოსაძებნი პროფესიონალი კადრების გარეშე დატოვოს ესა თუ ის სფერო.



სამწუხაროდ, ჯერჯერობით საქართველოში პოლიტიკური კულტურა იმ დონეზე არ დგას, როცა ხელქვეითის დანაშაულისთვის მინისტრმა პასუხი უნდა აგოს. ეს კულტურა რა თქმა უნდა ადრე თუ გვიან, საზოგადოების აქტიურობის ფონზე აუცილებლად უნდა დამკვიდრდეს, მაგრამ დღეს, იმის გამო, რომ, ამა თუ იმ სამინისტროს თანამშრომელმა, თუნდაც მაღალჩინოსანმა კორუფციულ გარიგებაში მიიღო მონაწილეობა – მინისტრი გადავაყენოთ, შეიძლება უკუეფექტი მოგვცეს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ხელისუფლება ქვეყანაში ახალი შეცვლილია და უნდა ვაღიაროთ, რომ ის ჯერჯერობით მთელი ქვეყნის მასშტაბით, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, სიტუაციას სრულად, ნიუანსების დონეზე ვერ ფლობს, რამაც შესაძლებელია ამა თუ იმ კონკრეტულ ჩინოსანზე მასტიმულირებლად იმოქმედოს და მას კორუფციისკენ უბიძგოს. ასეთი ჩინოსნის გამო კი, მისი უწყების პირველი პირის, ანუ მინისტრის მიერ თანამდებობის დატოვება, ძირეული რეფორმების პროცესში მყოფი ქვეყნისთვის მომგებიანი ნამდვილად ვერ იქნება.

ის, რომ ხელისუფლების ცვლის შემდეგ ქვეყანაში „არაელიტური“ კორუფციის ფაქტები მოიმატებდა, ძნელადპროგნოზირებადი ნამდვილად არ იყო, ვინაიდან ახალმა ხელისუფლებამ უარი თქვა ტერორზე, ხოლო ბრძოლის ახალი მეთოდის შემუშავებას და პრაქტიკაში გატარებას, ანუ სათანადო საკანონმდებლო ბაზისა და სისტემის შექმნას დრო სჭირდება. სწორედ ეს პერიოდია ყველაზე რთული ხელისუფლებისთვის, რადგან ნებისმიერი გადაცდომის ფაქტს, მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები და „ელიტური“ კორუფციის კლასიკოსები, სათანადო პიარმიმართულების მიცემის გზით, სათავისოდ გამოიყენებენ.

ასე, რომ მსგავსი შემთხვევების დროს, მინისტრის გადადგომა, ჯერჯერობით, ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, ერთადერთი და ყველაზე სწორი გადაწყვეტილება ნამდვილად არ არის.

კიდევ ერთი თემა, რასაც საფუძველი გასულ კვირაში დაედო, დღესაც გრძელდება და სავარაუდოდ, პერსონალების ცვლილების გათვალისწინებით, კიდევ დიდხანს გაგრძელდება, – ეს ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებაა, რომელიც ამა თუ იმ პერსონის პირად ცხოვრებას შეიძლება ასახავდეს.

ცალკე საკითხია არის თუ არა გამოქვეყნებული ჩანაწერები ფაბრიკაცია, ან არის თუ არა საქართველოში ვინმე მსგავსი საქმიანობით დაკავებული, – ამას პასუხი ექსპერტიზამ და გამოძიებამ უნდა გასცეს, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული „ვიდეოკადრების ომი“ კიდევ დიდხანს გაგრძელდება და მისი პერსონაჟების რეესტრიც გაფართოვდება.

ის, რომ წინა ხელისუფლება აქტიურად იყო დაკავებული მაკომპრომეტირებელი მასალების შეგროვებით და ამ მიზნით ისინი, არც პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმური დეტალების ფირზე აღბეჭდვას თაკილობდნენ, უცხო არავისთვის არ არის, მაგრამ დღეს ტექნიკა ნამდვილად იძლევა საშუალებას, რომ დადგინდეს ვისი ე.წ. „აიპი“ მისამართიდან ხორციელდება მსგავსი მასალების ინტერნეტსივრცეში განთავსება.

ასევე ნაკლებადდასაჯერებელია ვერსია, რომ ის ჩანაწერები, რაც შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს უწყებაში დახვდა და რომლის შესახებაც ღარიბაშვილმა რამდენჯერმე ხმამაღლა განაცხადა, – მხოლოდ-დამხოლოდ ორიგინალები და ერთადერთი ეგზემპლარები იყოს.

ჩანაწერები ყოფილი ხელისუფლების ძალოვანი უწყებების მაღალჩინოსნებს სავარაუდოდ რამენიმე ეგზემპლარად ექნებათ გადამრავლებული და გამორიცხული არ არის, მათი ინტერნეტსივრცეში განთავსება უცხოეთიდანაც ხდებოდეს, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დღევანდელი ტექნოლოგიური საშუალებების პირობებში, შეუძლებელი არაფერი არ არის.

მსგავსი საქმეების პრევენცია-გამოძიება შინაგან საქმეთა მინისტრის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან როგორც წესი, საერთაშორისო თანამეგობრობა პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაუცველობაზე საკმაოდ მტკივნეულად რეაგირებს და ეს ქვეყნის იმიჯზე ნეგატიურად შეიძლება აისახოს. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, იგივე საერთაშორისო თანამეგობრობა საკითხის ღრმად შესწავლით ნამდვილად არ ინტერესდება და ხელს ხელისუფლებისკენ იშვერს, რომელმაც პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გაუვრცელებლობა ვერ უზრუნველყო.

ხოლო ის, თუ ვის ხელეწიფება ყველაზე უკეთ ფარული ჩანაწერების მოპოვება და გავრცელება, საიდუმლოს არავისთვის არ წარმოადგენს.

ამის მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთი უკრაინული, არცთუ ცნობილი საიტის გამოყენებაც კმარა, სადაც განთავსებულ მასალებსაც, სააკაშვილის კონტროლირებადი ტელევიზიები ერთხმად და ოპერატიულად იღებდნენ და კონკრეტული ადამიანების მიმართ შავი პიარის ასაგორებლად იყენებდნენ.

ასე, რომ მეთოდები საკმაოდ ძველია, თუმცა ვისი კონკრეტული ინტერესი იყო ბოლო გახმაურებულ შემთხვევაში, ძნელი სათქმელია. არსებობის უფლება კი რამდენიმე ვერსიას აქვს.

რაც შეეხება ჩვენს მიერ ზემოთნახსენებ „სააკაშვილის კონტროლირებად“ ტელევიზიებს, ბოლო პერიოდში მათი რიცხვი კიდევ ერთით შემცირდა. ყოფილი ხელისუფლების აპოლოგეტ ტელეკომპანიებს ისეთი დიდი დაფარვის არეალის მქონე არხი გამოაკლდა, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელია. ამ ტელეკომპანიაში განვითარებული მოვლენები ალბათ ყველას კარგად გვახსოვს და კარგად გვახსოვს მისი სამეურვეო საბჭოს ისეთი უკანონო გადაწყვეტილებაც, რომელიც სააკაშვილ-კუბლაშვილის მოსამართლეებმაც კი ვერ გაამართლეს და არხის უკანონოდ გათავისუფლებული დირექტორი თანამდებობაზე აღადგინეს.

არხის საინფორმაციო პოლიტიკაში დაგეგმილი ცვლილებები, ამ ეტაპზე ნამდვილად იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მაქსიმალურად ობიექტურ საინფორმაციო პოლიტიკას გაატარებს, რაც მისი მაყურებლის რაოდენობას გაზრდის და რაც რა თქმა უნდა უდიდესი დარტყმა იქნება სააკაშვილის და მისი თანამოაზრეების პროპაგანდის მანქანისთვის.

კიდევ ერთი უდიდესი დარტყმა სააკაშვილის პროპაგანდის მანქანამ გასულ კვირაში განიცადა, როდესაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“–ის გასართობი და იუმორისტული პროგრამების რედაქციის შიდა სამზარეულო, თავად მათსავე გუნდის წევრებმა გამოიტანეს სამზეოზე.

რა თქმა უნდა არცერთ ოდნავ მოაზროვნე ადამიანსაც კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ „კომედი შოუს,“ „ვანოს შოუს“ და მისი მონათესავე გადაცემების უკან ნაციონალური ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანა იდგა, მაგრამ ის ფაქტები, რაც ამ გუნდის ყოფილმა წევრებმა გაასაჯაროეს, საზოგადოებისთვის მაინც შოკისმომგვრელი აღმოჩნდა.

კონკრეტულად კი, მიშა სააკაშვილის სიყვარული ამ ბიჭებში, ფანატიზმის იმ ხარისხამდე ყოფილა აყვანილი, რომ ისინი „მიშას მოღალატე“ თანაგუნდელს ფიზიკურადაც კი უსწორდებოდნენ. ამასთან, როგორც მათივე გუნდის ყოფილი წევრი ამბობს, 2007 წლის 7 ნოემბერს, მაშინ როცა სააკაშვილ-მერაბიშვილის მიერ, მშვიდობიანი აქცია უსასტიკესად იქნა დარბეული, „რუსთავი 2“-ის „იუმორისტები“ დიდ მონიტორთან მდგარან და ისეთი შეძახილებით ამხნევებდნენ ისედაც დაუნდობელ სპეცრაზმს, როგორიცაა – „მიდი მოკალი“.

საზოგადოება ამ ყველაფრის შესახებ ინფორმაციებს ნელ-ნელა უკვე ღებულობს, რაც ამ ჯგუფის მიმართ მათი დამოკიდებულების ტრანსფორმაციას განაპირობებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილს ხელიდან, მისი პიარმანქანის ერთ-ერთი საყრდენი ჯგუფი ეცლება.

ამ ყველაფრის შემდეგ, გასაკვირი ნამდვილად არ უნდა იყოს, თუ რატომ ჩუქნიდა ახალაია „კომედი შოუს“ ბიჭებს ცეცხლსასროლ იარაღებს.

მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ ერთპიროვნულ მმართველობაზე და ავტორიტარიზმზე დამყარებული გუნდის მონოლითურობა დღითიდღე სუსტდება, საზოგადოების უკმაყოფილება როგორც ყოფილი ხელისუფლების, ასევე ახალი ხელისუფლების მიმართ მკვეთრად იზრდება და ამის მიზეზი, უკვე არაერთგზის ნახსენებ-განხილული კოაბიტაცია და სამართლიანობის აღდგენაა.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მოთხოვნა იმ ადამიანების გისოსებსმიღმა ხილვაა, ვინც დღეს ტელეეკრანებიდან კვლავ მუქარანარევი ტონით საუბრობს.

უფრო მეტიც, საზოგადოებამ წარმოუდგენელ სითავხედედ აღიქვა გია ბარამიძის განცხადება საპრეზიდენტო პრაიმერში მისი მონაწილეობის შესახებ. ეს ის გია ბარამიძეა, რომელიც სვანეთში, ოჯახის ამოწყვეტა-გაუბედურების შემდეგ ცხელ კუბდარს ითხოვდა.

მაშინ როცა ასეთ ადამიანს აქვს საშუალება, რომ თავისი საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ გააკეთოს განცხადება, ახალ ხელისუფლების ნეგატიური განწყობა გაიზრდება. აღარაფერს ვამბობ ვანო მერაბიშვილზე და სხვა ისეთ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# როგორია რობერტ სტურუასეული შექსპირის სამყარო?

ეკა ირემაშვილი



გაინტერესებთ როგორია რობერტ სტურუასეული შექსპირის სამყარო? ამის უფრო ახლოს გასაცნობად რუსთაველის თეატრი და მისი ხელმძღვანელი რობერტ სტურუა ახალ პროექტს იწყებს. 10 მაისისდან სტარტს აიღებს ღონისძიებების ციკლი, რომელსაც „ოთხი დღე სტურუას შექსპირის სამყაროში" ეწოდება.

პროექტის ორგანიზატორები არიან რუსთაველის თეატრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელოვნების ცენტრი „რუბიკონი" და თსუ-ს „საკვირაო ლიტერატურული კლუბი". „ოთხი დღე სტურუას შექსპირის სამყაროში" აერთიანებს გამოფენებს, შეხვედრებს და სპექტაკლების ვიდეოჩვენებებს.

ღონისძიებების პირველ დღეს 10 მაისს გაიხსნება გამოფენა და შედგება შეხვედრა რობერტ სტურუასთან, ღონისძიების დასასრულს კი მოეწყობა „რიჩარდ მესამის" ვიდეოჩვენება. 17 მაისს გამოფენისა და შეხვედრის პარალელურად, მოეწყობა „ჰამლეტის" ვიდეოჩვენება. 24 მაისს გამოფენასთან და შეხვედრასთან ერთად შეკრებილი საზოგადოებისთვის ნაჩვენები იქნება „შობის მეთორმეტე ღამე", 31 მაისს კი პროექტის დასასრულს დახურვის ცერემონიალზე მოეწყობა გამოფენა, შეხვედრა და „ქარიშხალის" ვიდეოჩვენება. დაგეგმილი ღონისძიებები ხელოვნების ცენტრში „რუბიკონი" ჩატარდება.

გამოფენებზე წარმოდგენილი იქნება რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული უნიკალური ექსპონატები, რომლებიც რობერტ სტურუას შექსპირული დადგმების ფოტო, ვიდეო და სხვა ისტორიულ მასალას ასახავენ.

რუსთაველის თეატრმა უკვე გამოაცხადა კონკურსი ახალგაზრდა რეჟისორებისთვის. როგორც რუსთაველის თეატრის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, კონკურსში გამარჯვებულ 4 მონაწილეს საშუალება მიეცემა დადგას სპექტაკლი რუსთაველის თეატრის მცირე ან ექსპერიმენტულ სცენაზე. კონკურსის ჩატარება დაგეგმილია 2 ტურად.

– 12 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით კონკურსანტებს რუსთაველის თეატრში უნდა წარმოედგინათ საკონკურსო პროექტი – თანამედროვე დრამატურგია (ქართული და უცხოური), 8 მაისიდან 20 მაისამდე მოხდება პროექტების განხილვა და გასაუბრება. რაც შეეხება კონკურსის პირობებს, საჭიროა თამამი ექსპერიმენტები და მინიმალური დეკორაცია. ამასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს პირადი სივი, პიესა, ექსპლიკაცია, ესკიზი და ბიუჯეტი, – აღნიშნულია რუსთაველის თეატრის განცხადებაში.

20 მაისს კი რუსთაველის თეატრში ახალგაზრდა მსახიობთა შერჩევა გაიმართება. მასში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ თეატრალური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა მსახიობებმა ან მეოთხე კურსის სტუდენტებმა.

# რაში ადანაშაულებენ ომარ მხეიძეს?

ეკა ირემაშვილი

მოცეკვავე ომარ მხეიძე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „ახალი თაობისთვის" მიცემულ ინტერვიუში ნათქვამმა მოსაზრებამ „ცეკვა ქართულს ვუწოდე ქართული ცეკვების გვირგვინი და ეს მართლაც ასეა. უცხოეთში ვერ იგებენ, რადგან მასში ქართული ტრადიცია, ეშხი და სინარნარეა გაერთიანებული. მაგრამ რაღა შორს მივდივართ, ცეკვა კინტაური ავიღოთ, ამ ცეკვას ვერ იგებს ვერც ბათუმი, ვერც გურია და ვერც ქუთაისი. ყველა ცეკვას თავისი ისტორია აქვს და თითოეულს თავისებური მაყურებელი სჭირდება" მოცეკვავის კოლეგები გაანაწყენა. ამიტომ ომარ მხეიძე იძულებული გახდა, თავისი ნათქვამი კიდევ უფრო კარგად განემარტა.

ომარ მხეიძე:

– უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. თქვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში მოსაზრებაში „ცეკვა ქართულს ვუწოდე ქართული ცეკვების გვირგვინი და ეს მართლაც ასეა. უც-




ხოეთში ვერ იგებენ, რადგან მასში ქართული ტრადიცია, ეშხი და სინარნარეა გაერთიანებული. მაგრამ რაღა შორს მივდივართ, ცეკვა კინტაური ავიღოთ, ამ ცეკვას ვერ იგებს ვერც ბათუმი, ვერც გურია და ვერც ქუთაისი. ყველა ცეკვას თავისი ისტორია აქვს და თითოეულს თავისებური მაყურებელი სჭირდება" გამეპარა სიტყვები „ვერ იგებენ", უნდა მეთქვა „სამწუხაროდ ის ეფექტი არ აქვს". ზოგიერთი ჩემი კოლეგა განაწყენდა, ამიტომ მინდა ყველაფერი განვმარტო. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ იმერლებისგან მინდა ვნახო იმერული ხასიათი და იმერული კოპწიაობა და არა კინტაური, აჭარლებისგან მინდა ვნახო „განდაგანა" და „ხორუმი" და არა კინტაური, გურიიდან მინდა ვნახო „ფარცა", „კალმახობა", „ხორუმის გურული ვარიანტი" და არა კინტაური, სვანეთდან მინდა ვნახო „სვანური ფერხულები" და არა კინტაური. იოსებ გრიშაშვილი თავის წიგნში" ძველი თბილისი" ძალიან კარგად წერს კინტოებსა და ყარაჩოხელებზე, ამიტომ ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია წაიკითხოს ეს წიგნი და ყველაფერი ნათელი გახდება. ნამდვილად არაფერი მითქვამს საწყენად და თუკი ვინმეს გული ვატკინე, ბოდიშს ვუხდი.

# პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრეცედენტი და გამოცხადებული „ვიდეოომის" ქრონიკა

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ყოფილ მაღალჩინოსნებზე, რომლებსაც არაერთი ადამიანის მკვლელობა და გაუბედურება პირადად უკავშირდება.

საზოგადოების ასეთი განწყობის ფონზე კი, კვლავ გაუგებრობა წარმოშვა პრემიერ-მინისტრის კიდევ ერთმა ფრაზამ, რომლის თანახმადაც, სამართლიანობის აღდგენის პროცესი მთელი სიმძლავრით დაახლოებით 1-2 თვეში ამოქმედდება.

ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებიდან ნახევარ წელზე მეტი გავიდა. ამ პერიოდის განმავლობაში საგამოძიებო უწყებებში თავი მოიყარა იმაზე ათასჯერ მეტმა მტკიცებულებამ, ვიდრე ეს ნებისმიერი ყოფილი მაღალჩინოსნის დასაკავებლადაა საჭირო.

როდესაც საზოგადოება მსგავს განცხადებას ისმენს, სავსებით ლოგიკური კითხვა უჩნდება, თუ რატომ არ დაიწყო ეს პროცესი მთელი სიმძლავრით ამდენი ხნის განმავლობაში და რატომ დაიწყება ის მაინცდამაინც 1 ან 2 თვის შემდეგ.

ამ ფაქტის ერთადერთი ახსნა ისევ და ისევ ახალი ხელისუფლების შიგნით არსებული წინააღმდეგობებით შეიძლება მოხდეს, ვინაიდან, როგორც ამის შესახებ ადრეც გვითქვამს, ახალ ხელისუფლებაში საკმაოდ არიან წარმოდგენილნი პოლიტიკური ძალები თუ ცალკეული სუბიექტები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილთან კოაბიტაციას, მასთან ოპონირების დროსაც კი ახერხებდნენ და საკმაოდ წარმატებითაც, თუმცა როგორც ვიცით, მსგავსი „კოაბიტაცია" ართუ უანგაროდ ხდება ხოლმე. ანგარებასთან დაკავშირებული ნებისმიერ ჩანაწერი კი ნაციონალებს სავარაუდოდ დღესაც ხელთ ექნებათ. ასე, რომ „ნაციონალურ მოძრაობას," ჯერჯერობით, ახალ ხელისუფლების ზოგიერთ ანგარიშგასაწევ წარმომადგენელზე, შანტაჟის მუქარით ზემოქმედების საკმაოდ ძლიერი მექანიზმი აქვს, რაც სავარაუდოდ განაპირობებს კიდეც სამართლიანობის აღდგენის პროცესის ასეთი ტემპებით მიმდინარეობას, უფრო სწორად კი, სამართლიანობის აღდგენის პროცესის ბაჩო ახალაიას დაკავებით დაწყება-დამთავრებას.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთაღნიშნული „სამართლიანობის აღდგენის" პროცესი ნამდვილად ამ მიზეზით ფერხდება, სასურველი იქნებოდა, რომ ამის შესახებ პრემიერს საზოგადოებისთვის პირდაპირ ეთქვა, რაც მისთვის პოლიტიკური თვალსაზრისით ნამდვილად მომგებიანი იქნებოდა, ხოლო საზოგადოებაში ღირსების დაბრუნების რეალურ მოლოდინს გააჩენდა.

**ალექსანდრე კაპანაძე**
**სააგენტო „ნიუსპრესი"**

# ეროვნული არქივი კინოარქივების საერთაშორისო ფედერაციის წევრია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივი კინოარქივების საერთაშორისო ფედერაციის ასოცირებული წევრი გახდა. გადაწყვეტილება 2013 წლის აპრილში, ბარსელონაში გამართულ კონგრესზე იქნა მიღებული, რომელშიც მონაწილეობდა ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორის მოადგილე ნინო ძანძავა.

– კინოარქივების საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანება ეროვნულ არქივს საშუალებას მისცემს, გააფართოვოს კავშირები ამ ორგანიზაციის სხვა წევრ არქივებთან, მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ ინიციატივებსა და პროექტებში, პოპულარიზაცია გაუწიოს საკუთარ კოლექციებს საერთაშორისო მასშტაბით, გააღრმავოს საკუთარი გამოცდილება და ცოდნა ფილმების კონსერვაციისა და დაცვის თანამედროვე შესაძლებლობებში, მოახდინოს ფილმების პრეზენტაცია, მოიძიოს ინფორმაცია კინოარქივების საერთაშორისო ფედერაციის წევრ არქივებსა და მუზეუმებში დაცული ქართული ან საქართველოსთან დაკავშირებული ფილმების შესახებ, – აღნიშნა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

მისივე თქმით, კინოარქივების საერთაშორისო ფედერაცია აერთიანებს არქივებს, რომლებიც კინოფილმებს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად და ისტორიულ დოკუმენტებად განიხილავს და რომელთა საქმიანობა ფილმების დაცვისა და შენახვისკენაა მიმართული.

– კინოარქივების საერთაშორისო ფედერაცია 1938 წელს პარიზში დაარსდა. ის მსოფლიოს წამყვანი კინოარქივების ასოციაციას წარმოადგენს. მისი მიზანია კინოფილმების სათანადო კონსერვაციისა და პრეზენტაციის საკითხებზე ზრუნვა. ამჟამად ამ ორგანიზაციის წევრია 77 ქვეყანაში არსებული 150-ზე მეტი არქივი, – განმარტა თეა ქიმერიძემ.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)**



## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# დინამო დუბლისთვის გაემზადა, ჩიხურა ევროთასებზეა

### დინამო – მეტალურგი 5:0

**თბილისი. დინამო არენა**

**1:0 ალვარო (21), 2:0 ჩისკო (57), 3:0 ალვარო (66), 4:0 ხმალაძე (69), 5:0 მერებაშვილი (87)**

**დინამო:** ლორია, სეთურიძე, გ.კვარაცხელია, უსტარიცი, გლიშიჩი, ალვარო (კოტო 84), ძარია (პაპავა 76), ხმალაძე, გრაიციარი, ჩისკო, დვალი (მერებაშვილი (73)

**მეტალურგი**: ალავიძე, ჯაფარიძე, ინწკირველი, გავაშელიშვილი, სუხიაშვილი, დობროვოლსკი (კორღალიძე 73), რაძმაძე, დ.საჯაია, მენთეშაშვილი (სიხარულიძე 67), გეწაძე (ხაბელაშვილი 70), ფიფია

პირველი ნახევარი მეტნაკლებად თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა. ტაიმის დასაწყისში, გრაიციარის და ჩისკოს დარტყმებს, რომელიც პირველ შემთხვევაში არაზუსტი იყო, ხოლო ესპანელს ალავიძემ აუღო, რუსთაველებმა მე-15 წუთზე ფიფიას შორეული დარტყმით უპასუხეს, რომელიც ლორიამ ეფექტურ ნახტომში მოიგერია და საკუთარი გუნდი გაშვებული გოლისგან იხსნა.

ერთ წუთში „დინამოს" ცენტრალურ მცველს თავად ჰქონდა გოლის გატანის შანსი: ჩისკოს მოწოდებული სტანდარტულის შემდეგ, იგი თავით ცდილობდა ბურთის კარში გადაგზავნას, თუმცა ხეირიანად დაარტყა.

„დინამომ" საჭირო გოლის გატანა მალევე მოახერხა. 21-ე წუთზე საჯარიმოს მისადგომებიდან მიკელ ალვაროს დარტყმული, მცირე რიკოშეტის შემდეგ, ალავიძის კარში აღმოჩნდა – 1:0.

გაშვებული გოლი რუსთაველებს უკვე შეტევაზე გადასვლას აიძულებდა. ისინი ასე თუ ისე ახერხებდნენ ბურთის კონტროლს, მაგრამ სახიფათო მომენტამდე საქმე მხოლოდ მატჩის 39-ე წუთზე მივიდა – „მეტალურგის" ფეხბურთელების მოწოდებულ კუთხურს „დინამოს" საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, რითიც ვერცერთმა რუსთაველმა ვერ ისარგებლა და საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმა ვერ მოახერხა. ტაიმიც საბოლოოდ ასეთივე ანგარიშით დასრულდა.

თუ შეხვედრის პირველ ნახევარში „მეტალურგი" ასე თუ ისე ახერხებდა წინააღმდეგობის გაწევას, მეორე ტაიმი „დინამოს" სრული უპირატესობით წარიმართა და 4 გატანილ გოლთან ერთად დინამოელებმა უამრავი საგოლე ეპიზოდის გაცუდებაც მოახერხეს.

მეორე გოლი 57-ე წუთზე გავიდა, მიკელ ალვაროს ფლანგური ჩაწოდების შემდეგ, საჯარიმოში ბურთს გავაშელიშვილი აცდა, კარის სიახლოვეს მყოფმა ჩისკომ კი მეტოქეს ეს შეცდომა არ აპატია და დაბრუნება გოლით აღნიშნა – 2:0.

ზუსტად 9 წუთში, მიკელ ალავარომ დუბლი გაიფორმა – ჩისკოს მოწოდებული კუთხურის შემდეგ, თავით ბურთს მიმართულება ხმალაძემ ოდნავ შეუცვალა, ესპანელმაც ასევე თავური დარტყმით გააგრძელა და საკუთარი გუნდის უპირატესობა სამბურთიანი გახადა – 3:0.

მეოთხე გოლის გასატანად „დინამოს" 4 წუთი დაჭირდა – კომბინაცია დვალმა წამოიწყო, რომელმაც გრაიციარი ფლანგზე ეფექტური პასით მოძებნა, სლოვაკმაც მცირე რეიდით მეტოქის საჯარიმომდე იარა და ხმალაძე მოხდენილი პასით მეკარეს შეატოვა პირისპირ, „დინამოს" 8 ნომერს არ გასჭირვებია შეტევის დასრულება – 4:0.



რუსთაველთა რბევა შეცვლაზე შემოსულმა გიორგი მერებაშვილმა დაასრულა, რომელიც საჯარიმოს სიახლოვეს ადვილად გაუსწორდა რამოდენიმე მეტოქეს და მოჭრილი დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 5:0.

### სიონი – ჩიხურა 1:0

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

**1:0 მიკუჩაძე (65პ)**

**სიონი**: მერლანი, ფოფხაძე, ქემოკლიძე, სვანიძე, ელიავა, ცხადაია (ისიანი 83), ჯოჯუა, ლექვთაძე (ბიბილეიშვილი 71), მანწკავა (უგრეხელიძე 59), მიკუჩაძე, უგულავა

**ჩიხურა**: სომხიშვილი, ოდიკაძე, საჯაია, რეხვიაშვილი, კაშია, ჩიკვაიძე (ქიმაძე 88), დილმელაშვილი, დ.ბოლქვაძე, კირკიტაძე (გ.ჩხეტიანი 63), კვასხვაძე, დეკანოიძე (რ.გოცირიძე 60)

ზემოიმერლები ფინალში გავიდნენ და ევროტურნირების საგზურიც გაინაღდეს. სოსო ფრუიძის გუნდმა თბილისის „დინამოსთან" ფინალი რომც წააგოს, ფინალისტის გზით უკვე მოპოვებული აქვს ევროსაგზური – „დინამო" ხომ ქვეყნის ჩემპიონია.

საწყის 20 წუთში ბოლნისელები ორჯერ გადაარჩინა ძელმა – ჯერ დავით ოდიკაძის, შემდეგ კი კვასხვაძის შორიდან დარტყმულების შემდეგ.

ამის მერე უკვე მარტო „სიონი" უტევდა, თუმცა საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. ერთადერთი გოლი კი მასპინძლებმა პენალტით გაიტანეს: 65-ე წუთი იყო, ზაალ ელიავამ ჯარიმა დაარტყა, ბურთი ხელზე მოხვდა ცოცხალ კედელში მდგომ ნიკა კვასხვაძეს და სირიელმა მსაჯმა აბდულა ბასლეჰლომ 11-მეტრიანი დანიშნა. კოკა მიკუჩაძემ ზუსტად დაარტყა – 1:0.

ბოლო 10 წუთი „სიონი" გააფთრებით უტევდა და ჯერ დაჩი ფოფხაძემ ახლოდან თავით ოდნავ ააცილა, ხოლო 87-ე წუთზე ვილი ისიანმა ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი კარისკენ და მეკარე გიორგი სომხიშვილმა ნახტომში მოიგერია.

# ოლიმპმა არმია დაჩაგრა, ქუთაისი შსს–ს გაუთანაბრდა

### ოლიმპი – არმია 103:67

არმიელებმა, რომლებმაც მეოთხედფინალში „დინამოსთან" დიდი ბრძოლა გადაიტანეს, მორიგ მეტოქეს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მატჩი სავარაუდოდ უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ არა არმიელთა 2 მეფარის – გიორგი შარაბიძისა და ზვიად ბაბიაშვილის არყოფნა. ამ კალათბურთელებმა მატჩი ტრავმის გამო გამოტოვეს.

„ოლიმპმა" პირველივე მეოთხედში გადაწყვიტა, რომელიც 27:8 მოიგო, მეორის შუაწელში კი 44:14 დაწინაურდა. სპორტის სამინისტროს გუნდის წევრებს შორი სროლებიც მისდიოდათ და ფარქვეშა ბრძოლებშიც გვარიანი უპირატესობა ჰქონდათ. სტევან მილოშევიჩი სამწამიანი ზონიდან ქულებს უხვად იხვეჭდა, ხოლო შორი დისტანციიდან ოლიმპელებმა პირველ ტაიმში 7 სამქულიანი ჩააგდეს. დიდი შესვენებისთვის კაზანჯიანის გუნდი 47:32 ლიდერობდა და ცხადი იყო, გამარჯვების მოპოვებაში წინ ველარავინ დაუდგებოდა.

მეორე ტაიმში არაფერი შეცვლილა. უფრო სწორედ, ის შეიცვალა, რომ ოლიმპელებმა ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცეს და ბოლო მეოთხედში მათმა უპირატესობამ 40 ქულას გადააჭარბა. საბოლოოდ, კაზანჯიანის გუნდმა 103:67 გაიმარჯვა და სერიაში დაწინაურდა. გამარჯვებულთაგან 7-მა კალათბურთელმა გამოსახა საკუთარი მონაგარი ორნიშნა რიცხვით. ყველაზე მეტი, 18 ქულა სტევან მილოშევიჩმა მიითვალა, რომელმაც საკუთარ ანგარიშზე 16 მოხსნაც ჩაიწერა. არმიელთაგან ბომბარდირი გიორგი გამყრელიძე გახდა, ხოლო გიორგი ჯგერენაიამ მატჩი ორმაგი დუბლით დაასრულა – 12 ქულა, 13 მოხსნა.

**გია კაზანჯიანი (ოლიმპი):**

– ვულოცავ ჩემს გუნდს გამარჯვებას. აღვნიშნავ თავდასხმაში და განსაკუთრებით დაცვაში კარგ თამაშს. არმიას 2 ძირითადი მოთამაშე აკლდა და ამანაც იქონია გავლენა. თუმცა არც ჩემს ბიჭებს დავუკარგავ ბრწყინვალე ასპარეზობას.

**კოტე ტუღუში (არმია):**

– ძალიან მძიმეა ჩემთვის კომენტარის გაკეთება. სამწუხაროა, რომ საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალის თამაშს ორგზის ჩემპიონი ასეთი ანგარიშით ვაგებთ. სეზონში ორჯერ გუნდის სრულიად სახეცვლილება ძალიან რთულია, იანვრის შემდეგ მოგვიწია ამის გაკეთება და ნახევარფინალების წინ კიდევ ერთხელ დავდექით ასეთი სირთულის წინაშე. დაგვაკლდა 2 წამყვანი მოთამაშე 4-5 ნომერზე. გულშემატკივარს ვერ ვაჩვენეთ ის თამაში, რომელსაც შეჩვეულები არიან. თუმცა სერია გრძელდება და მაქსიმალურად შევეცდებით ჩვენი შანსები გამოვიყენოთ. მძიმე თამაშები გველის, თუმცა ყველაფერს გავაკეთებთ მოგებისთვის. მივულოცავ ოლიმპს გამარჯვებას.

### შსს აკადემია – ქუთაისი 83:62

ქუთაისელებმა რეგულარული ჩემპიონატი მე-6 ადგილზე დაასრულეს და მეოთხედფინალიდან მე-3-ზე გასული „რუსთავი" რომ გამოაგდეს, ესეც სენსაციად მიიჩნიეს. იმერულმა კლუბმა ამ მატჩშიც ბოლომდე იბრძოლა, შედეგებით უფრო ძლიერ მეტოქეს სადამდეც შეეძლო, წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა საბოლოოდ მაინც დიდი სხვაობით დამარცხდა.

იყო პერიოდი, მეორე მეოთხედის შუაში, როცა ქუთაისელებს შორი სროლები წაუვიდათ, რასაც რიჩარდ მათიაშვილის ფარქვეშ წარმატებული თამაშიც დაერთო და სტუმრები 27:24 დაწინაურდნენ. ქუთაისლების ლიდერობა დიდხანს არ გაგრძელებულა. აკადემიელებმა მალევე მოახერხეს ლიდერობის დაბრუნება, რაც მათი მწყობრი დაცვისა და შედეგიანი შეტევის დამსახურება გახლდათ.

გამორჩეული დღე ჰქონდა „შსს-აკადემიის" ცენტრ ილია ლონდარიძეს, რომელიც მოედანზე მალევე გამოჩნდა და საბოლოოდ მატჩის ბომბარდირი გახდა. მესამე მეოთხედიდან აკადემიელთა ლიდერობამ ზრდა იწყო, რასაც ხელს ქუთაისელები უშლიდნენ, მაგრამ მეოთხე პერიოდში მასპინძლებმა მაინც თავისი გაიტანეს. როცა ანგარიშში სხვაობა 10 ქულის ფარგლებში მერყეობდა, აკადემიელთა ამერიკელმა გამთამაშებელმა დენოტა ვონმა 2 სამქულიანი ჩააგდო და მასპინძელთა უპირატესობამ 15 ქულას მიაღწია. „ქუთაისიც" აქ გატყდა და სერიაში პირველი მატჩის წასაგებად გაიწირა.

გამარჯვებულებს 20 ქულით ლონდარიძემ ულიდერა, 16 ქულით დაასრულა შეხვედრა ვონმა, ხოლო მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი – 15 ქულა და 12 მოხსნა აკადემიელთა ამერიკელმა ცენტრმა, კირკ არჩიბექმა გაიფორმა. ქუთაისელთაგან ყველაზე მეტი – 15 ქულა ზაურ ფაშაევმა დააგროვა, დავით ბარბაქაძის ანგარიშზე კი 13 დაგროვდა.

ამ გუნდემა მეორე მატჩის გამართვაც მოასწრეს. სერიის პირველი შეხვედრის მსგავსად უპირატესობა თავიდანვე ქუთაისელებმა მოიპოვეს და სოლიდურადაც დაწინაურდნენ (23:13), თუმცა „შსს-აკადემიამ" მეორე პერიოდში თამაშის გათანაბრება მოახერხა და ამის შემდეგ თანაბარი თამაში გაგრძელდა. ქუთაისელებს მეორე მეოთხედში დაუშავდათ ძირითადი გამთამაშებელი ზაურ ფაშაევი, რომელმაც მოედანი დატოვა და მოგვიანებით სასწრაფო დახმარების წარმომადგენლებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. ფაშაევმა მეტოქესთან შეტაკებისას წელი დაიზიანა და სავარაუდოდ, სერიის მომდევნო შეხვედრაში ქუთაისელებს ვერ დაეხმარება.

ქუთაისელები დანაკლისმა გააერთიანა და საბრძოლოდ განაწყო. უსტიაშვილის გუნდი წინ გაჭრილ აკადემიელებს შორს არ უშვებდა. კირკ არჩიბეკსა და ბენჯამინ რეიმონდს ფარქვეშ ტოლს არ უდებდა რიჩარდ მათიაშვილი, რომელსაც ძმები ბარბაქაძეები ეხმარებოდნენ. თუმცა ქუთაისელთა მთავარი კოზირი შორი სროლები და სწრაფი გარღვევები გახლდათ.

დიდი შესვენებისთვის შსს-ელები 1 ქულით იგებდნენ, გადამწყვეტი მეოთხედისთვის კი გიორგიოს კეცელიდისის გუნდი უკვე 55:51 იგებდა. ბოლო მეოთხედში დეონტა ვონმა აკადემიელთა შეტევებს სისწრაფე შემატა, მას მხარი აუბა შსს-ელთა ახალმა ლეგიონერმა ვასილის კუნასმაც, რომლის სამქულიანის შემდეგ აკადემიელები 65:60 დაწინაურდნენ. ვონმა შედეგიანი გარღვევაც განახორციელა და შეხვედრის დასრულებამდე 3,20 წუთით ადრე მასპინძლები 67:60 დაწინაურდნენ.

ქუთაისელები არ დანებდნენ და ბუბა კვიმსაძის 2 ზუსტი გარღვევის შემდეგ სტუმრებმა ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირეს. მორიგ შეტევაში აკადემიელებმა ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა გამოყოფილ 8 წამში ვერ მოახერხეს, რის საპასუხოდაც გიორგი ბარბაქაძემ ქუთაისელთა ჩამორჩენა 2 ქულამდე შეკვეცა – 66:68. ქუთაისელმა რიჩარდ მათიაშვილმა დაცვაში კარგად ითამაშა, კირკ არჩიბეკს დააფარა და ბუბა კვიმსაძემ საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე სამქულიანით ქუთაისელები დააწინაურა – 69:68.

ქუთაისელებმა დაცვაში შედეგიანი თამაში განაგრძეს და აკადემიელებს ორჯერ არ ჩააგდებინეს, ხოლო კვიმსაძემ ზუსტი საჯარიმოთი სირენამდე 24 წამით ადრე იმერული კლუბი 70:68 დააწინაურა. „შსს-აკადემიამ" გადამწყვეტი შეტევა წამოიწყო და დასრულებამდე 7 წამით ადრე სამქულიანი მერაბ ბოქოლიშვილმა ისროლა, ბურთი მიზანს ასცდა და მოხსნისთვის ბრძოლაში ეს უკანასკნელი, გიორგი ბარბაქიძეზე დაჯარიმდა. ბარბაქაძემ ორივე სროლა ზუსტად შეასრულა და ქუთაისელებს გამარჯვება გაუნაღდა.

23 ქულით ქუთაისელებს კვიმსაძემ ულიდერა, რიჩარდ მათიაშვილმა 14 მიითვალა, ხოლო თემურ ბაბუნაშვილმა იმერლებს 12 ქულა და 8 მოხსნა შესძინა. აკადემიელთაგან 17 ქულით საუკეთესო კირკ არჩიბეკი გახლდათ, დენოტა ვონმა პირად ანგარიშზე 16 ქულა ჩაიწერა, ხოლო რეიმონდმა შეხვედრა 15 ქულით დაასრულა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ტოტენჰემი ........................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 36 | 27 | 4 | 5 | 79:37 | 85 |
| 2.სიტი | 36 | 22 | 9 | 5 | 62:31 | 75 |
| 3.ჩელსი | 36 | 20 | 9 | 7 | 71:37 | 69 |
| 4.არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 67:36 | 67 |
| 5.ტოტენჰემი | 36 | 19 | 9 | 8 | 63:45 | 66 |
| 6.ევერტონი | 36 | 15 | 15 | 6 | 52:38 | 60 |
| 7.ლივერპული | 36 | 14 | 13 | 9 | 67:42 | 55 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 36 | 14 | 6 | 16 | 48:48 | 48 |
| 9.სუონსი | 36 | 11 | 13 | 12 | 46:46 | 46 |
| 10.ვესტ ჰემი | 36 | 11 | 10 | 15 | 41:49 | 43 |
| 11.სტოკი | 36 | 9 | 14 | 13 | 32:42 | 41 |
| 12.ფულემი | 36 | 10 | 10 | 16 | 46:57 | 40 |
| 13.ასტონ ვილა | 36 | 10 | 10 | 16 | 44:65 | 40 |
| 14.საუთჰემპტონი | 36 | 9 | 12 | 15 | 47:58 | 39 |
| 15.სანდერლენდი | 36 | 9 | 11 | 16 | 40:52 | 38 |
| 16.ნორვიჩი | 36 | 8 | 14 | 14 | 34:56 | 38 |
| 17.ნიუკასლი | 36 | 10 | 8 | 18 | 43:66 | 38 |
| 18.უიგანი | 36 | 9 | 8 | 19 | 44:67 | 35 |
| 19.რედინგი | 36 | 6 | 10 | 20 | 41:67 | 28 |
| 20.ქპრ | 36 | 4 | 13 | 19 | 29:57 | 25 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-ატლეტიკო ........................ 1:3

რეალი-მალაგა ............................... 6:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 34 | 28 | 4 | 2 | 105-37 | 88 |
| 2.რეალი | 35 | 25 | 5 | 5 | 95-36 | 80 |
| 3.ატლეტიკო | 35 | 22 | 6 | 7 | 61-28 | 72 |
| 4.სოსიედადი | 34 | 16 | 10 | 8 | 62-43 | 58 |
| 5.ვალენსია | 34 | 16 | 8 | 10 | 58-50 | 56 |
| 6.მალაგა | 35 | 15 | 8 | 12 | 49-45 | 53 |
| 7.ბეტისი | 34 | 14 | 7 | 13 | 51-54 | 49 |
| 8.ხეტაფე | 34 | 13 | 8 | 13 | 42-51 | 47 |
| 9.სევილია | 34 | 13 | 7 | 14 | 52-47 | 46 |
| 10.რაიო | 34 | 14 | 4 | 16 | 43-57 | 46 |
| 11.ესპანიოლი | 34 | 11 | 10 | 13 | 42-46 | 43 |
| 12.ლევანტე | 34 | 11 | 8 | 15 | 36-53 | 41 |
| 13.ვალიადოლიდი | 34 | 10 | 10 | 14 | 45-50 | 40 |
| 14.ბილბაო | 34 | 10 | 8 | 16 | 38-60 | 38 |
| 15.გრანადა | 34 | 9 | 8 | 17 | 30-51 | 35 |
| 16.სარაგოსა | 34 | 9 | 6 | 19 | 35-53 | 33 |
| 17.ოსასუნა | 34 | 8 | 9 | 17 | 28-42 | 33 |
| 18.დეპორტივო | 34 | 7 | 11 | 16 | 44-65 | 32 |
| 19.სელტა | 35 | 8 | 7 | 20 | 34-51 | 31 |
| 20.მალიორკა | 34 | 7 | 8 | 19 | 37-68 | 29 |

**იტალია. სერია ა**

პესკარა-მილანი ............................ 0:4

ატალანტა-იუვენტუსი .................... 0:1

ბოლონია-ნაპოლი ......................... 0:3

კალიარი-პარმა .............................. 0:1

პალერმო-უდინეზე ........................ 2:3

სამპდორია-კატანია ....................... 1:1

სიენა-ფიორენტინა ........................ 0:1

ჯენოა-ტორინო ............................. 0:0

ინტერი-ლაციო .............................. 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 36 | 27 | 5 | 4 | 68-20 | 86 |
| 2.ნაპოლი | 36 | 22 | 9 | 5 | 70-33 | 75 |
| 3.მილანი | 36 | 20 | 8 | 8 | 65-38 | 68 |
| 4.ფიორენტინა | 36 | 19 | 7 | 10 | 66-43 | 64 |
| 5.უდინეზე | 36 | 16 | 12 | 8 | 52-42 | 60 |
| 6.ლაციო | 36 | 17 | 7 | 12 | 49-41 | 58 |
| 7.რომა | 36 | 17 | 7 | 12 | 69-55 | 58 |
| 8.ინტერი | 36 | 16 | 5 | 15 | 53-52 | 53 |
| 9.კატანია | 36 | 14 | 10 | 12 | 47-44 | 52 |
| 10.პარმა | 36 | 12 | 10 | 14 | 42-43 | 46 |
| 11.კიევო | 36 | 12 | 7 | 17 | 34-49 | 43 |
| 12.კალიარი | 36 | 11 | 10 | 15 | 41-54 | 43 |
| 13.ბოლონია | 36 | 10 | 10 | 16 | 44-52 | 40 |
| 14.ატალანტა | 36 | 11 | 8 | 17 | 36-52 | 39 |
| 15.სამპდორია | 36 | 10 | 10 | 16 | 40-47 | 39 |
| 16.ტორინო | 36 | 8 | 14 | 14 | 43-52 | 37 |
| 17.ჯენოა | 36 | 8 | 12 | 16 | 38-52 | 36 |
| 18.პალერმო | 36 | 6 | 14 | 16 | 33-50 | 32 |
| 19.სიენა | 36 | 9 | 9 | 18 | 34-53 | 30 |
| 20.პესკარა | 36 | 6 | 4 | 26 | 26-78 | 22 |

*შენიშვნა:*

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

**საფრანგეთი. თასი**

ევიანი-ლორიანი ........................... 4:0

**რუსეთი. თასი**

ზენიტი-ანჟი ................................... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-სიონი ............................... 1:3

ლუცერნი-სტ.გალენი ..................... 2:0

ციურიხი-ბაზელი ........................... 3:1

**ავსტრია. თასი**

რიდი-აუსტრია .............................. 1:3

**ჩეხეთი. თასი**

სპარტა-ბოლესლავი ...................... 1:2

იაბლონეცი-ლიბერეცი ................. 2:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

რუსენბორგი-ტრომსო .................. 2:1

ვალერენგა-ჰონეფოსი .................. 1:2

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ველეზი-ტიგრე ................................ 1:2

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფები**

მაიამი-ჩიკაგო .......................... 115:78

სერიის ანგარიში: ......................... 1:1

სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი91:100

სერიის ანგარიში: ......................... 1:1

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფები**

ტორონტო-ბოსტონი ............. 3:4(ოტ)

სერიის ანგარიში: ......................... 1:3

რეინჯერსი-ვაშინგტონი .............. 4:3

სერიის ანგარიში: ......................... 2:2

სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი 2:3(ოტ)

სერიის ანგარიში: ......................... 2:3

ანაჰაიმი-დეტროიტი ..................... 3:2

სერიის ანგარიში: ......................... 3:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# გურამ ოდიშარიამ აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის მინისტრს უმასპინძლა

ეკა ირემაშვილი




საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრს აბულფაზ გარაევს უმასპინძლა. საქართველოს ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი ორი დღით ეწვია.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ბატონმა აბულფაზ გარაევმა ოფიციალური შეხვედრა გამართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან გურამ ოდიშარიასთან. მოგვიანებით კულტურის მინისტრთან ერთად აზერბაიჯანის დელეგაცია დაესწრო მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის რესტავრირებული სახლ-მუზეუმის გახსნას, ქალაქ რუსთავში კი ჰეიდარ ალიევის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გაიხსნა მისივე სახელობის პარკი. ვიზიტის ფარგლებში ასევე დაიგეგმა ჰეიდარ ალიევის სახელობის მემორიალისა და მისივე სახელობის პარკის დათვალიერება. დელეგაციამ მოინახულა მირზა ფათალი ახუნდოვის საფლავი თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

აზერბაიჯანული დელეგაციის შემადგენლობაში გაერთიანდნენ აბულფაზ გარაევი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი), როვნაგ აბდულაევი (კომპანია „სოკარის“ პრეზიდენტი), აზერ ჰუსეინი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში), ელშად ნასიროვი (კომპანია „სოკარის“ ვიცე-პრეზიდენტი მარკეტინგის დარგში), ვაგიფ ალიევი (კომპანია „სოკარის“ ინვესტიციების განყოფილების უფროსი), ანარ ალიევი (კომპანია „სოკარის“ წარმომადგენელი), მაჰირ მამედოვი (კომპანია „სოკარის“ საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი), ფარიდ სადიგოვი (კომპანია „სოკარის“ პრეზიდენტის ასისტენტი), აზადე ჰუსეინოვა (აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მუზეუმების საქმეთა დეპარტამენტის უფროსი), რაფიგ ბაირამოვი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურის მინისტრის ასისტენტი) და ადნან ახმადზადე (კომპანია „სოკარის“ წარმომადგენელი).

გურამ ოდიშარია და აბულფაზ გარაევი ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ. როგორც მინისტრებმა აღნიშნეს, საუბარი საკმაოდ ნაყოფიერი იყო და სამომავლო პერსპექტივებიც უკვე გამოკვეთილია.

– პირველი შეხვედრა დადებითი განწყობით დავასრულეთ. ორივე ქვეყანას საერთო მიზნები და ამოცანები გვაქვს. გვინდა არსებული პრობლემების სწრაფად მოგვარება. მსგავსი საკითხები მომავალშიც იარსებებს, ისევე როგორც ოჯახშია წვრილწვრილი პრობლემები, მაგრამ ყველაფერი მოგვარებადია, მთავარია, ერთობლივი ძალებით გადავჭრათ პრობლემები, – აღნიშნა აბულფაზ გარაევმა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას თქმით კი, აზერბაიჯანელი კოლეგის ორდღიანი ვიზიტი საკმაოდ ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

– ჩვენ ყველა ის ღირსშესანიშნავი ადგილები მოვინახულეთ, რომელიც აზერბაიჯანული მხარისთვის მნიშვნელოვანია. საზეიმოდ გავხსენით მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმი, ჩავედით რუსთავშიც, სადაც ჰეიდარ ალიევის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით მისივე სახელობის სკვერი გაიხსნა. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ვითარდება და ჩვენს შორის კულტურული ურთიერთობებიც პერსპექტიულია. ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზეც, ზაფხულში ისტორიულ ჰერეთს ვესტუმრებით და ქართველებით დასახლებულ ადგილებს მოვინახულებ. ამჯერად უკვე მასპინძლობას და მეგზურობას აბულფაზ გარაევი გამიწევს, – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

# ფესტივალი „ქართული სული“ ახალციხეში გადაინაცვლებს

ეკა ირემაშვილი

ხელოვნების ფესტივალი „ქართული სული 2013“ 10 მაისიდან ახალციხეში გადაინაცვლებს. ტრადიციული საგაზაფხულო ფესტივალი 28 აპრილს ჩარგალში დაიწყო და იგი წელს უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 30 წლისთავს ეძღვნება.

10-11 მაისს ახალციხეში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებია დაგეგმილი. ფესტივალის მეორე ეტაპი დაიწყება აწყურის მონასტრის მონახულებით, გაგრძელდება ახალციხის უნივერსიტეტის დათვალიერებით, ივანე ჯავახიშვილისა და გრიგოლ ხანძთელის ძეგლების შემკობით.

11 მაისს ფესტივალის მონაწილეები თამარ მეფის ძეგლის ყვავილებით შეამკობენ, ჩატარდება თამარ მეფის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „თამარ მეფე და ქართველი ერი“, რომელიც უნივერსიტეტის II კორპუსის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება. ფესტივალის ეგიდით მოეწყობა ექსკურსია საფარაში, დღის ბოლოს კი ჩატარდება კონცერტი ახალციხის ციხე რაბათზე. მასში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლები „ქართული ხმები“, „სიმი“, „ახალციხე“, „მესხეთი“, „მზეკარი“ და გია ბაღაშვილი, ბესო ვერულაშვილი და პოეტი შოთა წურწუმია. ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია.

რიგით მეათე ხელოვნების ფესტივალი „ქართული სული“ 28 აპრილს საზეიმო ვითარებაში ფშავიდან დაიწყო. 5 ივნისის ჩათვლით 4 ღონისძიებაა დაგეგმილი და ისინი ჩატარდება როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში. ფესტივალის ეგიდით საღამოები ჩარგალსა და ახალციხეში დაიგეგმა, შემდეგ კი თბილისში გადმოინაცვლებს. ღონისძიება ჩარგალში ეთნოკულტურული წარმოდგენით გაიხსნა. ღონისძიებას ეწოდა „ლექსო ნუ დაიკარგები“ და მასში ქართველი მეცნიერები, პოეტები, მომღერლები და მსახიობები გაერთიანდნენ. ხელოვანთა ერთობლივი სანახაობა ღია ცის ქვეშ გაიმართა. ფესტივალის პირველ საღამოს თამაზ ტყემალაძე უძღვებოდა და მასში მონაწილეობას იღებდნენ „ქართული ხმები“, ტრიო „სიმი“, დები გოგოჭურები და დები ნაყეურები.

– ეს ფესტივალი ყოველწლიურია, ამიტომ ჩვენც ვცდილობთ, ის იყოს გამორჩეული და მრავალფეროვანი. ის მოიცავს როგორც დედაქალაქს, ასევე საქართველოს რეგიონებს. წელს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ახალციხე, რადგან ვიცით, რომ პატრიარქმა 2013 წელი თამარ მეფის წლად გამოაცხადა და ჩვენ ვატარებთ გრანდიოზულ ღონისძიებას ისტორიულ მესხეთში, – აცხადებს ფესტივალის დამფუძნებელი ია მაქაცარია.

„ქართული სულის“ ორგანიზატორები ფესტივალის მიმდინარეობისას ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამორჩეულ წარმომადგენლებსაც დააჯილდოვებენ.

– ეს იდეა თავად ქართულმა სულმა გვიკარნახა. თავდაპირველად ფესტივალი სწორედ ჩვენს ფოლკლორზე, სიმღერაზე და ქორეოგრაფიაზე იყო გათვლილი, მაგრამ შემდეგ ფესტივალის პროგრამაში გაჩნდა ქართული სულით გაჯერებული ხელოვნების სხვადასხვა დარგები – ქართული მწერლობა, სახვითი ხელოვნება, დიდი წინაპრები. ფესტივალი ტარდება უკვე მეათე წელია. ღონისძიებები თვეზე მეტ პერიოდზეა გათვლილი და მასში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულების საღამოები. ჩვენი ფესტივალის ტრადიციას უნდა დავუჭიროთ მხარი და ახალგაზრდები ქართული კულტურის პოპულარიზაციაში აქტიურად ჩავრთოთ. რეგიონებში ჩასვლის ტრადიციას ჩავუყარეთ საფუძველი რამდენიმე წლის წინ და ამას არც წელს დავარღვევთ. 28-ში გვექნება დიდი ვაჟას მშობლიურ სოფელში ფესტივალის გახსნა და ფესტივალის ეგიდით წელს სულ 4 ღონისძიებას ჩავატარებთ, – ამბობს ფესტივალის დირექტორი ზურაბ ჩახიძე.

ფესტივალი „ქართული სული“ 2005 წლიდან ყოველ გაზაფხულზე ტარდება. მისი მიზანი საზოგადოებაში ქართული კულტურის პოპულარიზაციაა.

– ყველაზე მნიშვნელოვანია თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული კონფერენცია და ქართული სულის ზეიმი მესხეთის უნივერსიტეტში. ამ დღეს მთელი საქართველო ჩავა მესხეთში და თამარ მეფის სიყვარული ყველას კიდევ ერთხელ გაგვაერთიანებს, – განაცხადა თამაზ ტყემალაძემ.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ფოლადის ბაგირი; 2. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 3. ზმნის დრო გრამატიკაში; 5. აეროპორტი პარიზში; 6. ტვირთის სათავსო გემზე; 8. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 13. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 14. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 15. მთიანეთი აზიაში; 19. სამკითხაო ბანქო.

**თარაზულად**: 1. შაქრითა და სუნელებით შეზავებული, ცხელი წითელი ღვინისგან მომზადებული სასმელი; 4. აზნაურის ტიტული საფრანგეთში; 7. პოპულარული ჰოლანდიური ლუდი; 9 ზომიერება, მომჭირნეობა ხარჯვაში; 10. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. მდგომარეობა ჭიდაობაში; 17. „დედინაცვლის ენა“-დ წოდებული კაქტუსის ერთერთი სახეობა; 18. სხვისი კეთილდღეობისთვის უანგაროდ მზრუნველი ადამიანი; 20. დაბალი რანგის დიპლომატი; 21. თვალმარგალიტით შემკული თავსამკაული; 22. უნივერსიტეტი ინგლისში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომეში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მარსელი; 2. კაპუცინი; 3. ცერული; 4. ტოსკა; 5. უილიამსი; 8. ფოლკლორი; 12. დუმა; 13. ციცერონი; 14. ტიბეტი; 16. ბაჯაღლო; 18. ლობიო; 20. პერუ.

**თარაზულად:** 6. მალვაზია; 7. სტეტსონი; 8. ფატუმა; 9. ბერიო; 10. ცირეკიძე; 11. სენდვიჩი; 15. ჰიპერტონია; 17. ჰავანა; 19. ტრიპიტაკა; 21. კოლუმბი; 22. ციტოლოგია; 23. მურილიო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პლზენი; 2. რიკოთი; 3. იფქლი; 5. გემა; 6. თაგორი; 8. მორენო; 11. აბსოლუცია; 13. მუტრუკი; 14. ქანქარა; 15. ხითხითი; 19. იორი.

**თარაზულად:** 1. პოლიქრომია; 4. გოლგოთა; 7. ზვარაკი; 9. ლაკოსტა; 10. თართი; 12. კრეისერი; 16. ბოლივუდი; 17. ეტალონი; 18. აქუბარდია; 20. იაგუარი; 21. პიცა; 22. კოსტიოლი.

# ხელნაწერთა ცენტრში ილუსტრირებული სახარების პრეზენტაცია გაიმართება

ეკა ირემაშვილი

10 მაისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გელათის ოთხთავის (XII საუკუნე) მინიატურებით ილუსტრირებული სახარების ახალი გამოცემის პრეზენტაცია გაიმართება. პრეზენტაციასთან ერთად ილია აბულაძის საგამოფენო დარბაზში დაგეგმილია გელათის ოთხთავის გამოფენა. სახარება გამოიცა გამომცემლობა „ბაკმისა“ და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი მუშაობის შედეგად უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საგამომცემლო პროექტის „განძირჩეული“-ს ფარგლებში. წმიდა ოთხთავის ტექსტი მომზადდა „ახალი აღთქმის“ საქართველოს საპატრიარქოს 1963 წლის გამოცემის მიხედვით და ილუსტრირებულია „გელათის სახარების“ მინიატურებით. სახარება დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

– გელათის სახარების მინიატურები ოქროს ხანის პერიოდის ნიმუშებიდან გამორჩეულია სიუჟეტური მრავალფეროვნებით, ფერადოვნებით, სიმდიდრითა და რაოდენობით, მხატვრული ღირებულებითა და შესრულების უზადო ტექნიკით. წმიდა ოთხთავი ძველი მინიატურებით დასურათებული პირველი ბეჭდური გამოცემაა საქართველოში. შემთხვევითი არ არის, რომ მის გასაფორმებლად სწორედ გელათის სახარების მინიატურები შეირჩა. ეს ამავდროულად გელათური ოთხთავის მინიატურებისა და საზედაო ასოების პირველი, თითქმის სრული გამოცემაცაა, – აღნიშნულია ხელნაწერთა ცენტრის განცხადებაში.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ქუთაისის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ქუთაისის პირველ სკოლაგი გაიმართა გამოფენა „ექვთიმე თაყაიშვილი – საზოგადო საკულტურო საქმისთვის“, სადაც წარმოდგენილი იყო ცენტრში დაცული ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივიდან ავტობიოგრაფია, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან დაკავშირებული, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებისა და მუშაობის ამსახველი დოკუმენტები, ექვთიმესა და მისი მეუღლის პასპორტები, მეუღლის, ნინო პოლტარაცკაიას წერილები ექვთიმეს მიმართ, იმერეთის, გურიის, ტაო-კლარჯეთის ექსპედიციების ამსახველი, საქართველოდან განძის გატანის და უცხოეთში ექვთიმეს მიერ ამ განძის მოვლის ამსახველი მასალები. ასევე, წარმოდგენილი იყო 15 საინფორმაციო ბანერი. ექსპოზიცია ქუთაისობისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კორნელი კეკელიძის სამეცნიერო სემინარზე ნათია მიროტაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ტექსტის სტილი და თარგმანის ტექნიკა“ (ესთერის წიგნის ოშკური ვერსიის მაგალითზე).

– ესთერის წიგნში ექვსი მოზრდილი აპოკრიფული ჩანართია, რომლებიც სტილისტურად განსხვავებულია კანონიკური ნაწილისაგან, განსაკუთრებით ეს და ჩანართების შესახებ ითქმის. ეს განსხვავებულობა თარგმანის ხასიათშიც იჩენს თავს. ჩვენ ამ განსხვავებულობის ჩვენება ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის, კვანტიტატიური ცვლილებებისა და ტრანსპოზიციის მაგალითზე შევეცადეთ, – განმარტა ნათია მიროტაძემ.

კორნელი კეკელიძის სამეცნიერო სემინარზე ლელა გოცირიძემ კი წაიკითხა მოხსენება თემაზე „მცირე ლოცვანი“ (ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ)

– 2012-2013 წლებში რესტავრაცია-კონსერვაციის ლაბორატორიაში, სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, მოხდა ერეკლე II-ის სტამბაში გამოცემული ძველნაბეჭდი წიგნის „მცირე ლოცვანი“-ს რესტავრაცია. რესტავრაციის მსვლელობისას შესწავლილ იქნა წიგნის მდგომარეობა, ჩატარდა ფურცლებისა და ყდის რესტავრაცია. კვლევის მონაცემების შესაბამისად განხორციელდა სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები, – აღნიშნა ლელა გოცირიძემ.

მისივე თქმით, სემინარზე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია ჩატარებული კვლევისა და სამუშაოების სპეციფიკის, აღმოჩენილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კორნელი კეკელიძის საკონფერენციო დარბაზმა სტაჟიორთა ახალი ნაკადის შესახებ საინფორმაციო კონფერენციას უმასპინძლა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა სრული ინფორმაცია მიეწოდებინა სტაჟიორებისა და მათი ხელმძღვანელებისთვის სტაჟირების წესზე, სტაჟიორთა უფლებებსა და მოვალეობებზე, დღიურის წარმოების ვალდებულებაზე, სტაჟირების შემდეგ სერთიფიკატის გაცემის პირობებისა და სასერთიფიკაციო გასაუბრების კომისიის მუშაობის ფორმატზე. მთლიანობაში ხელნაწერთა ცენტრმა 52 სტაჟიორი მიიღო სხვადასხვა დეპარტამენტში.

2013 წლის გაზაფხულზე მიღებულ სტაჟიორთა სია კი ასე გამოიყურება: გამოფენის დეპარტამენტი – რატი ჩიქვილიძე, ვერიკო მხეიძე, მარიამ კიკალიშვილი, მარიამ ჯაბიძე; ტექსტოლოგია-კოდიკოლოგიის დეპარტამენტი – ანა მაისურაძე; განათლების დეპარტამენტი – მარიამ ცერცვაძე, სოფიკო ძულიაშვილი, ნინო წითურიშვილი, ნათია ვეკუა, იზა ლიპარტაშვილი; ბიბლიოთეკის დეპარტამენტი – თამარ გიგაური, ქეთევან მარიდაშვილი, ეთერ ქარსაშვილი, თათია ლაბაძე, მარიამ კოდანაშვილი, თამარ ურეკაძე, მარიამ ქავთარაძე, მამუკა უგრეხელიძე, გიორგი წიკლაური, ნათია ზარიძე, გიორგი ცომაია, თამარ ალექსიძე, ია ჟიჟიაშვილი, თეკლე მოდებაძე, ციცინო ლილუაშვილი, გვანცა ქარდავა, ფატიმა შავაძე, დავით წერეთელი, ალექსანდრე ხმალაძე; წყაროთმცოდნეობის დეპარტამენტი – თორნიკე ჯავახაძე, ლალი გვარამაძე, ლექსო ვეშაგული, ელენე კიკნაძე; დიგიტალიზაციის ლაბორატორია – ფაჰიმეჰ რეზვანი, თამარ მეგრელიშვილი, მარიამ მერაბიშვილი, ნინო კალატოზიშვილი, სოფიო წკრიალაშვილი, მირანდა ზედაშიძე; სამეცნიერო პროექტები – სალომე ბუჩუკური, რუსუდან გოგინაშვილი, ეკატერინე ჟვანია, ხატია ზივზივაძე; რესტავრაციისა და კონსერვაციის ლაბორატორია – ლელა გოცირიძე, თამარ გამგებელი, შალვა კაპანაძე; არქივთმცოდნეობის დეპარტამენტი – თამუნა ბუთხუზი, ნინო მახაური, ნანა სიხარულიძე; საგამომცემლო სამსახური – ნატო გორდელაძე, ნათია კენჭიაშვილი, სალომე მათიაშვილი.

# თენგიზ ამირეჯიბს მოწაფეებმა ფესტივალი მიუძღვნეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროა.

ქართველი პიანისტი თენგიზ ამირეჯიბი საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორია. მან მრავალი ქართველი პიანისტი აღზარდა, მათ შორის ოცზე მეტი პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია — მანანა დოიჯაშვილი, ალექსანდრე კორსანტია, ელისო ბოლქვაძე, თამარ ლიჩელი, ხატია ბუნიათიშვილი. მაესტრო თბილისის კონსერვატორიის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ და საკონცერტო მოღვაწეობას ეწეოდა. იგი კონცერტებით გამოდიოდა რუსეთში, გერმანიაში, კანადაში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. განსაკუთრებული ადგილი მის რეპერტუარში ეჭირა შოპენის ნაწარმოებებს, რომელთა ინტერპრეტაციაში ნათლად ჩანდა პიანისტის არტისტული ბუნების თავისებურება. ამავე დროს თენგიზ ამირეჯიბი მრავალი ქართული საფორტეპიანო ნაწარმოების პირველ ინტერპრეტატორად არის მიჩნეული. თენგიზ ამირეჯიბი 9 მარტს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ თამარ ლიჩელმა პედაგოგს წიგნიც მიუძღვნა, რომელშიც თენგიზ ამირეჯიბის ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო და ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ფაქტებია გაერთიანებული. თამარ ლიჩელმა ამ წიგნზე მუშაობა მაესტროს სიცოცხლეშივე დაიწყო, თუმცა კრებულის გამოცემას პედაგოგი ველარ მოესწრო. წიგნი „თენგიზ ამირეჯიბი“ სამენოვანია — ქართული, რუსული და ინგლისური.

ამჯერად თენგიზ ამირეჯიბის მოწაფეები უკვე საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს გამართავენ, რომელითაც კიდევ ერთხელ მიაგებენ პატივს პედაგოგის ნათელ ხსოვნას.

— ჩვენთვის, ბატონი გიზის მოწაფეებისთვის მნიშვნელოვანია ეს ფესტივალი, არა იმიტომ, რომ გარკვეული წვლილი მიგვიძღვის მის დაარსებაში, არამედ იმიტომ, რომ იგი ატარებს ჩვენთვის ყველასთვის სათაყვანებელი მუსიკოსის, ჩვენი უსაყვარლესი პედაგოგის თენგიზ ამირეჯიბის სახელს. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართულ მუსიკალურ სამყაროში, ჩვენ ვალდებულები ვართ არ დავივიწყოთ მისი სახელი და მომავლ თაობებს გადავცეთ, — აღნიშნა პიანისტრმა თამარ ლიჩელმა.

—გიზი ამირეჯიბთან არის დაკავშირებული ჩემი ცხოვრების ყველაზე საყვარელი და ნათელი მომენტები. ის ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ნაწილია. რაც გააკეთა მან საქართველოს კულტურისთვის არის თითქმის მიუწვდომელი და დაუფასებელი, ამიტომაც ჩვენ დავაარსეთ მისი სახელობის მუსიკალური ფესტივალი, რომელშიც მისი მოწაფეები დავუკრავთ, — განაცხადა ალექსანდრე კორსანტიამ.

# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, პოლიციის პოლკოვნიკი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი

**სოსო მიხეილის ძე თოლორდავა**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: 11 მაისს.
გამოსვენება: 14 საათზე
მის. ქ.ქუთაისი, ხარებავას ქ. №52

---

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენთვის საყვარელი, სათნო და უფროსი მეგობარი

**თინა ახვლედიანი**

და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის დიდ ოჯახს.

***მანანა ხარატიშვილი, მაია ბოკუჩავა, მანანა და ფისო ხვედელიანები, დოდო გვასალია, დარეჯან საყვარელიძე, ნაილი ჭინჭარაული, ნატა იაკობაშვილი, მანანა იაშვილი, მარინა ინოზემცევა და იამზე მაჭავარიანი.***

---

შვილები ნინო, თამარ წერეთლები, და მერი ახვლედიანი, სიძეები გრიგოლ ფულარიანი, გივი შუღაროვი, რამაზ სალარაძე, შვილიშვილები სერგი, თიკო შუღაროვები, სიძე აკაკი ალადაშვილი, რძალი ეთი კონჭოშვილი, შვილთაშვილები ნინო, სალომე, ნინო, ეკატერინე, დისშვილები მარინა, დავით, გოჩა ფულარიანები, მაზლიშვილები ავთანდილ, ვანო, გოგა წერეთლები, ალეკო ლომაია ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თინა დავითის ასული ახვლედიანი-წერეთელი**

პანაშვიდი: 9, 10 მაისს.
გამოსვენება: 11 მაისს, 15 საათზე.
მის:. ფალიაშვილის 38.

---

შვილი ნინო წერეთელი, სიძე გივი შუღაროვი, შვილიშვილები სერგი, თიკო შუღაროვები, რძალი ეთი კონჭოშვილი, სიძე კოკა ალადაშვილი, შვილთაშვილები ნინო, სალომე, ნინო, ეკატერინე, მძახლები ნელი კაკულია, ლალი, თამაზ კონჭოშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თინა დავითის ასული ახვლედიანი-წერეთელი**

პანაშვიდი: 9, 10 მაისს.
გამოსვენება: 11 მაისს, 15 საათზე.
მის:. ფალიაშვილის 38.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ქართული ფეხბურთის ახალი პრობლემა — თუ დილა გადარჩება, ზესტაფონი დაიშლება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შეხვედრის დამთავრების შემდეგ, ყველა იმედით ტოვებდა ცენტრალურ სტადიონს, რაც ჩვენც ოპტიმიზმით აღგვავსებს, რომ ყველაფერი მალე თავის კალაპოტში ჩადგება და ეს პრობლემები უკან იქნება მოტოვებული.

**ლევან ყიფიანი:**

— ჩვენ დღეს პრობლემების გარშემო შევიკრიბეთ და ვფიქრობ ერთობლივად ამის გადაჭრა შეგვიძლია. ვესაუბრეთ როგორც მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს, ასევე გუნდის ხელმძღვანელებს. უახლოეს ხანში, უკვე ხვალ ჩვენ ადგილობრივი ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტი, ფეხბურთის ფედერაცია და სპორტის სამინისტრო, რომლებმაც ერთობლივად შევქმენით კომისია განიხილავს გორის „დილას“ საკითხს. ეს პირველ რიგში ეხება დავალიანებას და მომავალში გუნდის ფუნქციონირებას. ასე რომ, ყველანაირად შევეცდებით ის პრობლემები, რომლებიც გამოჩნდა დადებითად გადაწყდეს უახლოეს ხანში, რათა ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს ხელი არ შეეშალოთ თავიანთ საქმიანობაში. მე ვფიქრობ, ეს გუნდი არის და უცილობლად უნდა იყოს, ამიტომ შექმნილი სიტუაცია უნდა აღმოვფხვრათ ყველანაირი ძალებით და დღევანდელი დღიდან დავიწყეთ ამაზე მუშაობა. ჩვენ ერთობლივად გადავწყვიტეთ, რომ ხვალ ყველაფერი მზად იქნება იმისთვის რომ ჩვენ რეალური სურათი ვნახოთ იმისა, თუ რა იქნება მომავალში გასაკეთებელი.

***— კონკრეტულად რა მიმართულებით იმუშავებს კომისია?***

— პირველ რიგში მთავარი პრობლემა ფინანსებია, რომელიც შეიქმნა და შესაბამისად ამის მოგვარებას შევეცდებით უახლოეს მომავალში.

***— კლუბს აქვს დავალიანება ფეხბურთელებთან და საერთოდ შტაბთან. ეს საკითხი როგორ იქნება, როცა წინ ევროტურნირია?***

**დომენტი სიჭინავა:**

— ამაზე პასუხს მე გაგცემთ. მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვამბობ გორის „დილა“ არის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი საქართველოში, ამიტომ ეს გუნდი უნდა იყოს და უნდა გამოვიდეს ღირსეულად, როგორც გამოვიდა შარშან. გახსოვთ გორის „დილამ“ ოთხი ეტაპი იბრძოლა და სარეიტინგო ქულები მოუტანა ჩვენს ქვეყანას. რაც შეეხება დავალიანებას რომლის შესახებაც დასვით კითხვა. მე დღესვე შემიძლია ბატონ მინისტრთან ერთად გითხრათ, რომ ეს დავალიანება რომელიც არსებობს, გადაწყვეტილების მიღება ფედერაციას შეუძლია მაისის ბოლოს. იმიტომ ჩამოვედით გორში, რომ ლაპარაკი იყოს გორის „დილა“ 2013-14 წლების სეზონზე და არა გორის „დილა“ 2012-13 წლების პირველ ივნისამდე. ჩვენთვის არის ამ გორის „დილას“ მომავალი გადასაწყვეტი და ამიტომაც ვართ აქ. ჩვენთან არიან ადგილობრივი ხელმძღვანელობა, რომლებთანაც გვქონდა ჩვენ საუბარი, ბატონმა მინისტრმაც აიღო ინიციატივა, მისი აზრი იყო ერთობლივი კომისიის ჩამოყალიბება. ჩვენ ხვალიდან უკვე ვიმუშავებთ გორში, ჩამოვალთ და შევისწავლით ყველაფერს. იმედია მენეჯმენტი მოგვაწვდის სრულ ინფორმაციას დავალიანებასთან დაკავშირებით. გუნდი საუკეთესო იყო და არის დღესაც. ჩვენი მიზანი არის ერთი, რა გზები მოვძებნოთ იმისთვის რომ გორის „დილა“ 2013-14 წლებში იყოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი საქართველოში. კლუბის ტრადიცია იყო, როცა გუნდი ლიგიდან ლიგაში გადადიოდა. ახლა კი ფანკლუბი ჰყავს, სახელი აქვს, ევროპაშიც ცნობილია. დაივიწყეთ დავალიანებები, მაგას ჩვენ მოვაგვარებთ. ჩვენ ვესაუბრეთ ფეხბურთელებს და არცერთ მათგანს არ უთქვამს, რომ გაგვისტუმრე ვალი და წავალთ. ყველა იმას იძახის რა ვქნათ? როგორ გამოვიდეთ უეფაზე? როგორ მოვემზადოთ შემდეგი სეზონისთვის? ანუ მზად არის გუნდი რომ ახაროს თავისი გულშემატკივარი.

**სოსო ვახტანგაშვილი:**

— პირველ რიგში მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ ლევანს, ბატონ ზვიადის ჩამობრძანებისთვის. გორის „დილას“ ისტორიაში ასეთი დიდი წარმატება არ ყოფილა. ვიცე-ჩემპიონები გახდნენ და ბუნებრივია ამ წარმატებას უნდა შენარჩუნება. ეს კი უნდა მოხერხდეს საერთო ძალებით. მარტო ვერც სპორტის სამინისტრო, ვერც ფედერაცია და ვერც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ვერ შეძლებს გუნდის ევროტურნირზე ასპარეზობა სრულად უზრუნველყოს, მაგრამ ჩვენ უნდა შევქმნათ სტაბილური სიტუაცია, რომელიც ითვალისწინებს საბიუჯეტო დახმარებას ამ კლუბისთვის და მომავალში, რა თქმა უნდა, უკეთესი მდგომარეობით იქნება წარმოდგენილი. გუნდს სტაბილურობის განცდა ექნება. ისეთი სტრუქტურები არიან ჩაბმული რომ სხვანაირად არც შეიძლება რომ იყოს. 2-3 წელიწადში, რა თქმა უნდა თუ გამოჩნდება ადამიანი რომელსაც შეეძლება საკუთარი ბიზნესის წყაროდ აქციოს, ხელი მოკიდოს და განავითაროს გორში ფეხბურთი, ბუნებრივია ჩვენ ხელს შევუწყობთ. სახელმწიფო არ იქნება ამის წინააღმდეგი პირიქით, რაც უფრო მეტი კერძო დაფინანსება ექნებათ კლუბებს, ჩვენთვის სასიხარულო იქნება.

**გია ისიანი (დილას მენეჯერი):**

— კარგია რომ ყველანი აქ ხართ, ამით ვისარგებლებ და მოკლედ ვიტყვი ჩემი პროექტის შესახებ, რომელიც არ არის ერთწლიანი, არის სამწლიანი და ეს პროექტი აქვს როგორც ბატონ ზვიად სიჭინავას, ასევე მინისტრსაც და ბატონი სოსო ვახტანგაშვილიც გარკვეულია ამ თემაში. კარგია თუ სამწლიან პროექტზე გადავალთ და აღარ იქნება ერთი და ორწლიანი გაურკვეველი პროექტები. რაც შეეხება სტადიონის შემოღობვას მე მხოლოდ იმას ვიტყვი, არის იმის იმედი, რომ ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ჩატარდეს გორში და ამაზე ზრუნვა დაწყებულია.

როგორც უკვე გითხარით ამ ფაქტმა აღაშფოთა და ვიტყვით რომ საკმაოდ სამართლიანადაც საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია, რომელმაც თავის მხრივ პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ თუ სახელმწიფო ან ერთნაირად არ დააფინანსებს ყველა კლუბს ან კერძო სექტორს თუ არ გაუხსნის გზას, მაშინ ფეხბურთიდან წასვლას აპირებს.

**ილია კოკაია:**

— დღევანდელი კატასტროფული ვითარებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, მომეწვიეთ აქ და თქვენთვის გამეზიარებინა ჩემი გულისტკივილი. მუნიციპალური გუნდები ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ პრობლემად მიმაჩნია. სახელმწიფოს და ფეხბურთის ურთიერთდამოკიდებულება არის მეტად მნიშვნელოვანი თემა, რომელსაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ახლანდელი სიტუაციით ასეა — ფეხბურთში ფულს ვდებ მე, თან სახელმწიფოს ვუხდი გადასახადს და მერე ეს ჩემი გადახდილი ფული ხმარდება ჩემი კონკურენტების გაძლიერებას. ჩემი მოსაზრება ასეთია: ან სახელმწიფომ ყველა კლუბი ერთნაირად უნდა დააფინანსოს, ან საერთოდ აღარ უნდა იყოს სახელმწიფო გუნდები საქართველოს ჩემპიონატში და ყველა გუნდს უნდა ჰყავდეს კერძო ინვესტორი. ისე არ არის, რომ სახელმწიფომ ზოგიერთი გუნდი დააფინანსოს და კერძო ინვესტორების გუნდები კი — არა. თუ მხოლოდ სახელმწიფო გუნდები ითამაშებენ საქართველოს ჩემპიონატში, გარიგებული თამაშები კიდევ უფრო მომრავლდება. შარშან ამ დროს ჩავატარე პრესკონფერენცია და ვთქვი, რომ ეჭვი მქონდა რამდენიმე გარიგებულ თამაშზე. ამ ცოტა ხნის წინათ დაბარებული გახლდით საგამომძიებლო ორგანოებში. ვერც კი წარმოიდგენთ, იქ რა ვნახე. ტომები დევს გარიგებულ მატჩებზე. ყველაფერზე დეტალური ინფორმაცია აქვთ. გარიგებულ თამაშს რომ ფეხბურთელი თამაშობს, ის ანგელოზი ვერ იქნება. ჩემი ერთი ყოფილი ფეხბურთელიც იყო იმათში, ვინც გამოააშკარავეს. მან „ზესტაფონს: დიდი სამსახური გაუწია, მაგრამ მაპატიეთ და ანგელოზად ვერ აღვიქვამ. უთქვამს კიდეც — რატომ ლაპარაკობს ილია კოკაია ჩემზე ასეო. ფეხბურთი ასეთია — თუ ერთხელ მოგეცხო ჭუჭყი, მერე ველარ მოიშორებ.

***— საქართველოს ჩემპიონატში სულ ხუთი კერძო კლუბია. სხვებიც იზიარებენ თქვენს პოზიციას?***

— ყველა ერთ აზრზე ვართ. გორის „დილას“ რომ ლიცენზია მისცეს, ეს იყო დიდი ტრაგედია. ფედერაციას ვადანაშაულებ ამაში. როგორ შეიძლება, გამგებლის მოადგილის საგარანტიო წერილის საფუძველზე გასცე ლიცენზია. „დილა“ ძალიან კარგი გუნდია. ალალად გვაჯობა ზესტაფონში და „დინამოს“ პრეზიდენტ რომან ფიფიას ვუთხარი კიდეც, „დინამოზე“ მეტად „დილა“ მომეწონა-მეთქი. ეტყობა, რომ ვალდას ივანაუსკასი მაგარი მწვრთნელია. სწორი მიდგომით ეს გუნდი ბევრს მიაღწევს, მაგრამ თავის დროზე არასწორი საფუძველი ჩაიყარა. ზევიდან დაიწყო შენობის შენება. ცხრა მილიონი დახარჯეს იმისთვის, რომ საქართველოს თასი მოეგოთ. იმ თასის ფინალში გაუგონარი სიბინძურე მოხდა. აგერ ბოლოს, გორში რომ ვითამაშეთ, ნახევარი საათი იყო გასული მატჩის დაწყებიდან, სტადიონი რომ დავტოვე. ასე არასოდეს მოვქცეულვარ, მაგრამ შევატყვე, წინასწარ იყო ყველაფერი გადაწყვეტილი. უდიდეს პატივს ვცემ თითოეულ გორელს, მაგრამ ამ გუნდს, რომელიც თავის დროზე არასწორ საფუძველზე შეიქმნა, ვერ გავაიგივებ გორთან, გორელებთან.

***— როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი ჩემპიონატის ისეთი ფორმატი, რომელსაც „ზესტაფონი“ დაეთანხმება?***

— პირველი: სახელმწიფო იყოს ფეხბურთში და ერთნაირად დააფინანსოს თითოეული კლუბი. ისე არ არის, რომ ილია კოკაია ფულს ხარჯავს და მას მაინც არ სჭირდება სახელმწიფოს მხარდაჭერა, ხოლო კოკაიასგან აღებული ფულით სხვა გუნდები გაძლიერდეს. მილიონ გადასახადს ვიხდი და ის ფული ჩემ წინააღმდეგ რატომ უნდა წავიდეს?

მეორე: მოეძებნოს კერძო ინვესტორი ყველა გუნდს, რაც საუკეთესო გზად მიმაჩნია, რადგან ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება გუბერნატორების ჩემპიონატების აჩრდილი ქართულ ფეხბურთში.

***— ალბათ ძალიან პრობლემურია აგენტების საკითხი, რომლებიც აწყობილ გუნდებს შლიან. რუსეთში ცოტა ხნის წინ მათ წინააღმდეგ საგანგებო რეზოლუცია მიიღეს. თქვენს კოლეგებთან თუ გქონიათ ამაზე მსჯელობა?***

— შარშანდელ სეზონში გუნდი სწორედ აგენტებმა დამიშალეს ჩემპიონთა ლიგის წინ და რა მივიღეთ შედეგად „ნეფთჩისგან“, ყველამ ნახეთ. ეს ისეთი საქმეა, რომ თვითონ ფეხბურთელი უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე და იცოდეს, ვის ელაპარაკოს, თორემ როგორ გინდა, კაცს კაცთან შეხვედრა და ლაპარაკი დაუშალო?

**პ.ს.** უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეულ ასპექტში ვეთანხმებით ბატონ კოკაის. თუ რა არგუმენტები გვაქვს ჩვენი მხრიდან, ამას შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ.

# TV პროგრამა

**პარასკევი 10 მაისი**

6.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ბორჯია„ 17.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო შიარაღება„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ბორჯია„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „ოფსაიტი„ (ტიტ.)

8.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ I ნაწ. 14.00 დ/ფ „ღრუბელი სამყაროს თავზე„ 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 2 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

7.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 16.35 რომ გადახვალ„ გააჩერე 17.50 სერ. „მაზნატები„ 8 სერ. 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ– ღია ეთერი 00.15 მხ/ფ „სიყვარულის დღესასწაული„ (გ.კინეარი)02.10 მუსიკა

7.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ01.00 მხ/ფ03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

6.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „გემღერებოდეს დედაო„ 08.00 დილის ლოცვა 08.10 სახარება 08.15 ერთი წვეთი 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ „სტუმრად პატრიარქთან„ 11.00 დოკ/ფ „სიმებიანი კვარტეტი„ 11.45 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ლიმილის ბიჭები„ 13.35 კონცერტი - თამარ ჭოხონელიძე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 დოკ/ფ „ წმინდა მიწაზე„ V ნაწ. 16.10 მოკ/ფ „სამოთხის გვრიტები„ 17.00 საუბრები ლიტერატურაზე 17.30 დოკ/ფ „გიორგი ჯიბლაძე„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ჩარირამა„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 მოკ/ფ „სიყვარულის ცეცხლი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

**მაესტრო** 7.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30, 16.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ 19.15 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.00 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფორმაციის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 მაისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,645 | ევრო — 2,1594 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5496 | 100 რუსული რუბლი — 5,2923 |

## ამინდის პროგნოზი 10 მაისისთვის





25 აპრილიდან
„ახალ თაობასთან“
ერთად
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ტომი 2
ჩეხური ზღაპრები




უკვე გამოსულია:
ტომი 1. ამერიკული ზღაპრები
გამოსაცემად მზადდება:
ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები
ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


# ოთარ მეღვინეთუხუცესი გარდაიცვალა

ეკა ირემაშვილი

ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდა ოთარ მეღვინეთუხუცესი 81 წლის ასაკში საავადმყოფოში გარდაიცვალა. მას საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის უკვდავთა თალში ანაბეჭდი თეატრის საერთაშორისო დღეს საზეიმოდ გაუხსნეს, ხოლო შარშან 80 წლის იუბილეზე თეატრის მოღვაწეთა კავშირმა ხორავას სახლში გრანდიოზული იუბილე მოუწყო.

ოთარ მეღვინეთუხუცესი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად მუშაობდა მშობლიურ მარჯანიშვილის თეატრში. იგი სამ სპექტაკლში იყო დაკავებული და თითოეული მათგანი მაყურებლისთვის გამორჩეული და საინტერესო აღმოჩნდა. ოთარ მეღვინეთუხუცესი მონაწილეობდა თემურ ჩხეიძის სპექტაკლში „ანტიგონე“, დავით საყვარელიძის სპექტაკლში „წიგნი“ და ირაკლი გოგიას სპექტაკლში „მემუარები“. სამივე სპექტაკლში მსახიობს მთავარი როლი ჰქონდა. მისი უკანასკნელი ნამუშევარი მშობლიურ მარჯანიშვილის თეატრში აღმოჩნდა „მემუარები“, რომელშიც მეუღლესთან გურანდა გაბუნიასთან ერთად მონაწილეობდა. ამ სპექტაკლის პრემიერა მარტის თვეში შედგა. ავადმყოფობის მიუხედავად, მსახიობმა თავი არ დაზოგა და პრემიერაზე ბრონქიტიანმა მაინც უწყვეტად იმუშავა. ხანგრძლივი კარიერის პერიოდში ოთარ მეღვინეთუხუცესმა თავისი შესაძლებლობები წარმოაჩინა თბილისის სანიტარული კულტურის თეატრში, მარჯანიშვილის თეატრში, რუსთავის თეატრში, მოსკოვის სამხატვრო თეატრში კი თემურ ჩხეიძემ „ანტიგონეში“ მიიწვია.

ოთარ მეღვინეთუხუცესი საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი და მსახიობისთვის არაერთი მნიშვნელოვანი პრემიის მფლობელია. მას მიღებული აქვს ღირსების ორდენი, რუსთაველის სახელმწიფო პრემია, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, საქართველოს სახელმწიფო პრემია, სტანისლავსკის სახელობის რუსეთის სახელმწიფო პრემია, რუსეთის თეატრალური სფეროსა და ბიზნეს სამყაროს პრემია „კუმირი“, რუსეთის



თეატრალური საზოგადოების პრემია „თოლია“, ტოკიოს კინოფესტივალზე კი მთავარი პრიზი მოიპოვა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში „განვედ ჩემგან“. მადლიერმა ქართულმა საზოგადოებამ ოთარ მეღვინეთუხუცესს მშობლიური მარჯანიშვილის თეატრის წინ ვარსკვლავიც გაუხსნა.

რაც შეეხება კინოკარიერას, მსახიობს განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა გიგა ლორთქიფანიძის ფილმმა „დათა თუთაშხია“, სადაც მან მთავარი როლი შეასრულა. მსახიობმა მონაწილეობა მიიღო ფილმებში „თეთრი ბაირაღები“, „ფატიმა“, „ვედრება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „მთვარის მოტაცება“, „ნატვრის ხე“, „კეთილი ადამიანები“, „მზე შემოდგომისა“.

ოთარ მეღვინეთუხუცესი ვერიკო ტურაშვილმა კლიპშიც მიიწვია, რომლის რეჟისორიც ასევე მომღერალი ანრი ჯოხაძეა. მომღერალმა გოგი დოლიძის მიერ შესრულებული სიმღერის „გავა დრო და მოვუყვებით შვილებს“ თავისებური ინტერპრეტაცია შექმნა, რომელშიც ოთარ მეღვინეთუხუცესთან ერთად ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, გურანდა გაბუნია, ლეილა აბაშიძე, ნინო ხომასურიძე, ნანკა კალატოზიშვილი, დუტა სხირტლაძე და მაკა შალიკაშვილი დააკავა.

მსახიობის ოჯახის წევრების გადაწყვეტილებით, ოთარ მეღვინეთუხუცესს კვირას 12 მაისს დაკრძალავენ. სამოქალაქო პანაშვიდი 10-11 მაისს მსახიობის სახლში გაიმართება. ოთარ მეღვინეთუხუცესს შაბათ საღამოს მარჯანიშვილის თეატრში გადაასვენებენ, სადაც კვირას მასთან გამოთხოვების საშუალება სრულიად საქართველოს მიეცემა, ამის შემდეგ კი მსახიობს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალავენ. მსახიობის სახლთან შეიკრიბნენ მისი მეგობრები, კოლეგები, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები და პატივი მიაგეს მის ხსოვნას. ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო, რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ გადადო თავისი ვარსკვლავის გახსნის საზეიმო ცერემონიალი, რომელიც 9 მაისს კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ უნდა გამართულიყო. მისი თქმით, ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი გლოვის დღეების დასრულების შემდეგ გაიმართება.

საქართველოს პრემიერ მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვა. სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“ სამძიმრის წერილი გამოაქვეყნა.

„კიდევ ერთი დიდი კაცი გამოგვაკლდა – ოთარ მეღვინეთუხუცესი გარდაიცვალა. თანაგრძნობას გამოვთქვამ და ვუერთდები ქართველი ხალხის მწუხარებას. ძლიერი და ღირსეული, ვაჟკაცური და რომანტიკული – ასეთი იყო ოთარ მეღვინეთუხუცესი და მისი გმირებიც მას ჰგავდნენ.

ოთარ მეღვინეთუხუცესი ჩვენი ეპოქის უდიდესი მსახიობი იყო. თითქმის არ დარჩა არც ერთი უმაღლესი პრემია და ჯილდო, რომლის მფლობელიც იგი არ იყო, მაგრამ მთავარი ჯილდო გაჰყვა თან – ხალხის დიდი სიყვარული. ყველა მის გმირს ერთი უმთავრესი რამ აერთიანებს – ჭეშმარიტების ძიება და ასეთი იყო თავადაც. მეამაყება, რომ იგი ჩემი უფროსი მეგობარი იყო.

კიდევ ერთხელ, დიდ მწუხარებას გამოვთქვამ ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო, სამძიმარს ვუცხადებ ქალბატონ გურანდას, მის ოჯახს და მთელს საქართველოს“ – აღნიშნულია ბიძინა ივანიშვილის სამძიმრის წერილში.

## ასტროპროგნოზი 10 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კირჩხიბი** – თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ლომი** – მშვენიერი დღეა, ბედი გწყალობთ. **ქალწული** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, მათგან ახალ ამბავსაც გაიგებთ. **სასწორი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, კარგად დაისვენეთ. **ღრიანკალი** – პრობლემა მოგეხსნებათ, მთავარია, არ ინერვიულოთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – ახალ სამსახურს შეეგუებით, უკვე მოგწონთ კიდეც. **მერწყული** – კითხვა გაწუხებთ, პასუხს მალე იპოვით. **თევზები** – სახლში დიდი შენაძენია მოსალოდნელი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ბალზაკის მოთხრობა; 2. შავყურძოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. იზოლირებული სადენი; 4. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ბელგიელი კონსტრუქტორი; 5. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 8. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება; 12. ჩეხეთის ნაკრებისა და „ჩელსის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 13. იტალიური კომედიური თეატრის ერთერთი მთავარი პერსონაჟი; 14. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 18. დასაკეცი ჯიბის დანა; 20. ღვინის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

**თარაზულად**: 6. ხმის ჩანაწერების არქივი; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 8. მზის სისტემის პლანეტა; 9. ფულის ერთეული ყაზახეთში; 10. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 11. ზოდიაქოს ნიშანი; 15. ცნობილი ამერიკელი ზანგი, ჯაზმენი; 17. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 21. ვერცხლისწყლის ქართული სახელწოდება; 22. ყველაზე დაბალი ქალის სასიმღერო ხმა; 23. უღელტეხილი აჭარაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# ქართული ფეხბურთის ახალი პრობლემა — თუ დილა გადარჩება, ზესტაფონი დაიშლება

დიდი ამბებია ქართულ ფეხბურთში მოსალოდნელი. ბოლო დროს უფულოდ მყოფი გორის „დილა“ დაშლის პირას არის და მის გადასარჩენად ზრუნვა სახელმწიფომ, სპორტის სამინისტრომ და ფეხბურთის ფედერაციამ დაიწყეს. სამაგიეროდ, ამ ფაქტმა აღაშფოთა „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია და ახლა ის დაიმუქრა, თუ „დილას“ სახელმწიფო დაეხმარება, მაშინ მე დავშლი გუნდსო.

მოკლედ, მივყვეთ თავიდან:

გორში ცენტრალურ სტადიონზე საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი შეიკრიბა გორის „დილას“ მხარდასაჭერად. იქ იყვნენ სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დომენტი სიჭინავა, ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე.

ასევე იმყოფებოდნენ მაჟორიტარი-დეპუტატი სოსო ვახტანგაშვილი, ქალაქის გამგებელი პაპუნა კობერიძე და სხვა საპატიო სტუმრები. ისინი შეხვდნენ კლუბის ხელმძღვანელობას და ფეხბურთელებს, შემდეგ გადმოინაცვლეს საპრესკონფერენციო დარბაზში.

პრესკონფერენცია ძალიან საინტერესოდ წარიმართა, ჟურნალისტების მხრიდან დასმული იქნა ყველა ის შეკითხვა, რაც



კლუბის მომავალთან იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდთან შეხვედრაზე იმყოფებოდნენ სპორტის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებიც, რომლებმაც გამოხატეს საკუთარი თანადგომა კლუბის მიმართ.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# თენგიზ ამირეჯიბს მოწაფეებმა ფესტივალი მიუძღვნეს



ეკა ირემაშვილი

უდიდესი ქართველი პიანისტისა და პროფესორის თენგიზ ამირეჯიბის სახელის უკვდავსაყოფად მისმა მოსწავლეებმა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი დააფუძნეს, რომელიც წელს პირველად ჩატარდება და იგი კონსერვატორიაში 15 მაისს გაიხსნება.

როგორც კონსერვატორიაში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე ფესტივალის ორგანიზატორებმა და თენგიზ ამირეჯიბის მოწაფეებმა განაცხადეს, ეს იქნება პირველი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი, რომელიც გიზი ამირეჯიბის სახელობის იქნება.

– ჩვენ დავაარსეთ უდიდესი ქართველი პიანისტის და პროფესორის თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალი, რომლის საზეიმო გახსნა 15 მაისს შედგება. პირველ ფესტივალს სიმბოლურად გახსნიან ბატონი თენგიზის მოწაფეები, მსოფლიოში აღიარებული პიანისტები, მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები ალექსანდრე კორსანტია, მანანა დოიჯაშვილი, თამარ ლიჩელი, მარინა ნადირაძე, მზია ჯაჯანიძე, ირმა გიგანი, – აღნიშნა ფესტივალის დირექტორმა მანანა ფაცურიამ.

პრესკონფერენციას თენგიზ ამირეჯიბის მოწაფეებმა ალექსანდრე კორსანტიამ, მანანა დოიჯაშვილმა, თამარ ლიჩელმა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ ბადრი გრუზინსკიმ ისაუბრეს. მათი თქმით, თენგიზ ამირეჯიბი იყო ის ადამიანი, რომელმაც ქართულ კულტურაში თავისი წარუშლელი კვალი დატოვა და ამიტომაც მისი სახელი საკადრისად უნდა იყოს დაფასებული. თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის მხარდამჭერი საქარ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე